

თენგიზ გარეჩილაძე



# სეზონი 80

თბილისი 2014







# 77

გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 აპრილი ოთხშაბათი 2011  
№ 005 (13302) ჯამი 60 თეთრი

წაიკითხეთ  
თქვენთვის  
ახალი

## აბრამოვიჩი და ლიგა: რომანი არ გამოდის

მანჩესტერი და ბარსელონა  
ნახევარფინალში გავიდნენ  
რეალს და შლესს დღეს ვიღობთ



ენოს  
კიდევ  
ერთი  
ჯილდო

საღმრთაო  
განცხადება



# 77

პირველი ქართული სპორტული გაზეთი  
გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან  
11 აპრილი ხუთშაბათი 2011  
№ 004 (14 000) ჯამი 80 თეთრი

თქვენ  
კითხულობთ  
ლელოს  
საიუბილეო  
ნომერს



საპატენტო მასი  
დინამო (თბ)  
მეტალურგი  
სიონი  
ჩიხურა

1/2

უინალისტები

ჩაპოშინა ლიგა  
დორტმუნდი  
ბარსელონა  
პარიზი  
რეალი

დარცა  
უსანეთი  
და  
გერმანია



თენგიზ ბაჩერილაძე



## გაზეთი მემატიანე

დრო, მოვლენები  
და ფაქტები

გამოცემა ეძღვნება  
გაზეთ „ლელოსა“ და  
ქართული სპორტის  
თანაღმშენებლის 80 წლის  
საიუბილეო თარიღს

თბილისი 2014

## ავტორისაგან

„ლელოს“ ბიოგრაფია ადამიანისას ჩამოჰგავს – დაიბადა, განვლო სიჭაბუკის წლები, დავაჟუკაცდა, დაჭარმაგდა და დღეგრძელობს... მეორე სახელიც ჰქონდა ნათლობამდე. ადამიანივით გამოიარა ტკივილიან – სიხარულიანი წლები, არ გატყდა, ნირი და ხასიათი არ შეიცვალა, დარჩა ტრადიციების ერთგული, თაობების სპორტულ წარმატებათა მეხსიერების შემნახველი, საერო საქმის სიკეთით მსახური. აუგინად არ უცხოვრია და ახლა 80 წლის გადასახედიდან წელგამართული გადაჰყურებს განვლილ გზას, მომავალს კი უფრო იმედიანად გასცქერის. წელთა სიმრავლით დაბრძენებული ადამიანის დარად, ამ ასაკის „ლელოსაც“ ბევრი რამ საინტერესო აქვს მოსაგონარ-მოსათხრობი. პატივი მთხრობელისა კი გაზეთის ამჟამინდელ მთავარ რედაქტორს მხვდა წილად. თავს მივიჩნევ ბედნიერად, რომ წარსულსა და აწმყოს შორის თუნდაც სიმბოლური მეკავშირის ფუნქცია მე დამეკისრა.





## წინათმბა

„საქართველოს ფიზკულტურელი“, „ფიზკულტურელი“, „ლელო“ – მიყოლებით ერთმანეთის სამართალმემკვიდრე სამი სახელწოდების მატარებელი ეს ერთი გაზეთი, ისტორიას საბოლოოდ და სამარადჟამოდ ეროვნული სულისკვეთების სახელით შემორჩა. 2014 წელი საიუბილეოა – 13 აპრილს საქართველოს პირველ ქართულ სპორტული გაზეთს გამოცემის ათვლიდან 80 წელი შეუსრულდა. ამ რვა ათეული წლის განმავლობაში ეს გაზეთი და ქართული სპორტი ერთად, ერთიანი ძალით ეწევიან მძიმე, მაგრამ უაღრესად საპატიო ჭაპანს საქართველოში სპორტის განვითარებისა და მისი ინტერესების დაცვის საველ გზაზე. შევეცდებით, ამ თარიღთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად, თვალი გადავავლოთ ქართულ სპორტთან ერთად „ლელოს“ განვლილ წლებს. მოკრძალებით გავაცნოთ მკითხველს გაზეთის და ქართული სპორტის თანაცხოვრების მთელი 80 წლის ისტორია.

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ (ზაურ ბოლქვაძე) საქართველოს სპორტული ცხოვრებისა და ამ სფეროში მიღწევების მემატყანეცაა ეს გაზეთი. გავიხსენებთ მნიშვნელოვან მოვლენებს, ფაქტებს და ღირსსახსოვარ თარიღებს, ღვანწმოსილ ხალხს. პატივს და დაფასებას უდავოდ იმსახურებენ არა მხოლოდ სპორტულ, არამედ იმდროინდელ სხვადასხვა სახელმწიფო თუ სამეურნეო სტრუქტურებში მომუშავე ადამიანები, რომლებსაც ქართული სპორტისთვის მუდამ გულანთებულებს შეუტანიათ საერთო საქმეში საკუთარი წვლილი ღირსეული თანადგომით.

მთელი ჩემი ცხოვრება (შეძლებისდაგვარად, რასაკვირველია), სპორტს და სპორტის ჟურნალისტიკასაა ადევნებული და გარედან პასიურ მაცურებლად არასდროს დავრჩენილვარ ჟამთასვლაში. დღიურების წერა თავის დროზე აუცილებლობად არ მიმაჩნდა და ახლა სინანულის გრძნობაც კი მეუფლება ამის გამო. ამიტომ ვრჩები მხოლოდ იმის იმედად, რაც გონებაში ამონათდება და ამოტივტივდება (თავს ვერ გამოვიდებ, რომ მნიშვნელოვანი მოვლენებიდან არაფერი გამომრჩება ან ვინმეს პიროვნულ ღვანწს ვერ გავიხსენებ. მაგრამ ისინიც კი, ვისაც გავიხსენებ, ღრმად ვარ დარწმუნებული, მეტ დაფასებას იმსახურებენ ვიდრე მე შევძლებ ამას). ვმშვიდდები მხოლოდ იმით, რომ ცხოვრებაში არავისთან არასდროს სერიოზული კონფლიქტი არ მქონია და მტრად არავინ მომიკიდეტია, წყენა კი, რა მოსატანია და, გამიტარებია. ბუნებით ასეთი ვარ.

## „საპართველოს ფიზკულტურელიდან“ – „ლელომდე“

„ქართველები ოდითგანვე კარგი მოასპარეზენი ყოფილან და ეს მრავალი დოკუმენტით დასტურდება უწინარესად – ისტორიული, არქეოლოგიური და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალებით, ლიტერატურული წყაროებით, ქართველ თუ უცხოელ მემატყანეთა ცნობებით“ („სპორტის ენციკლოპედია“, თბილისი, 2006). ციტირება მიგვანიშნებს, რომ ასპარეზობებთან დაკავშირებული ინფორმაცია საქართველოში აღმოცენებულია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ფუძემდებელი იმ ეროვნულ ტრადიციებზე, როცა ჩვენი წინაპრები თავიანთ ყოფაში ხალხურ თამაშობებს თუ რაინდულ ორთაბრძოლებს ამკვიდრებდნენ.



XIX საუკუნის მეორე ნახევარში კი, როგორც ისტორიამ დაადასტურა, ქართული გაზეთები, „დროება“ და „ივერია“, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებზე თავიანთ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ქმნიდნენ სამომავლოდ საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში სპეციალური გამოცემების წინაპირობას. გაზეთზე უნინ ქართველმა მკითხველმა სპორტული ჟურნალები იხილა. ეს პირვე-

წელს კი ისევ „საბჭოთა ფიზკულტურა“ ეწოდა.

საქართველოს პირველი სპორტული გაზეთისადმი საზოგადოების შეუწელებელი ინტერესი ქართული სპორტის აღმასვლის თვალსაჩინო პროცესმა განაპირობა, რამაც ასე ძალუმად თავი იჩინა XX საუკუნის 30-იანი წლებში. პირველი ქართული სპორტული გაზეთი სწორედ რომ პროგრესულად განვითარებადი ამ პროცესის ავანგარდში ჩადგა. 1934 წლის 13 აპრილიდან მკითხველთა ფართო წრის საყვარელი გამოცემა გახდა ეს გაზეთი. 1936 წელს „ფიზკულტურელი“ ეწოდა. მისი ბოლო ნომერი გამოვიდა 1939 წლის 28 თებერვალს. მაშინ უკვე 103 ათასი ეგზემპლარი იბეჭდებოდა, რაც ძალიან სოლიდური რაოდენობა იყო იმ პერიოდისთვის. ტირაჟის შეუწელებელი ზრდა კი სულ რაღაც 3 ათასიდან დაიწყო.



ლი ქართული სპორტული ნაბეჭდი პროდუქცია, 1920 წლის თებერვალში ქუთაისში დასტამბული ჟურნალი „შევარდენი“ იყო. მერე, 1922 წელს იგივე სახელით თბილისში გამოიცა – ესეც სულ მხოლოდ ერთადერთი ნომერი. 1925 წელს ასევე თბილისში გამოდის ჟურნალი „ფიზიკური კულტურა“, რომელსაც 1927 წელს „საბჭოთა ფიზკულტურა“ დაერქვა, ხოლო ერთი წლის შემდეგ „თავდაცვა და ფიზკულტურა“, ბოლოს, 1930

ქართული სპორტისთვის და სპორტის გულშემატკივრებისთვის მსოფლიოს სპორტულ სამყაროში გზამკვლევის ფუნქცია პირველ ქართულ სპორტულ გაზეთს დრომ არგუნა. შეუძლებელია ყველაფერი სრულად აღინუსხოს, რაც დაკავშირებულია ამ გაზეთის არსებობასთან. ჩვენს პუბლიკაციებში, საქართველოს სპორტული ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებთან კონტექსტში მკითხვე-





**ნინო დუმბაძე**


ლი ისევ და ისევ მხოლოდ გამორჩეულად მნიშვნელოვან ფაქტებს და მოვლენებს გაეცნობა.

პირველმა ქართულმა სპორტულმა გაზეთმა შემოგვინახა იმის შესახებ უტყუარი ცნობები, თუ რა განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ 30-იან წლებში ჩვენი ტანმოვარჯიშეები და მძლეონები, ძალოსნები, ფეხბურთელები, მოჭადრაკე ვაჟები, სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები. 1936 წელს ფეხბურთში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ჩაება თბილისის „დინამო“ და ფინალშიც გააღწია. გადამწყვეტი მატჩი კი მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივის“ გამარჯვებით (2:1) დამთავრდა. **ნინო დუმბაძე** პირველი

საბჭოთა მძლეოსანი იყო, რომელმაც მსოფლიოს რეკორდი გააუმჯობესა ბადროს ტყორცნაში. სსრკ-ის მძლეოსნობის ფედერაცია, მსოფლიო ორგანიზაციის წევრი რადგან არ იყო ოფიციალურად, ეს მიღწევა არ დაფიქსირდა. საერთაშორისო შეჯიბრებებში სპორტის სხვადასხვა სახეობებშიც ამავე მიზეზით ვერ ხერხდებოდა მონაწილეობა და რეკორდების აღიარება.

პირველი სპორტული გაზეთის გამოცემის დროებითა შეჩერებამ, გარდა იმისა, რომ ამ სფეროში საინფორმაციო ვაკუუმი შექმნა, ქართული სპორტის მატინამაც იმ განაცდენში ბევრი დაკარგა, გაქრა იმპულსის გულიდან-გულში გადაცემის შესაძლებლობა, თითქოს ქართულ სპორტს მთავარი ნერვი გადაუჭრეს.

არადა, იმ პერიოდშიც ბევრი საინტერესო ამბავი მოხდა საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში.



\*\*\*

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ სხვა რეალობის წინაშე დადგა საერთაშორისო სპორტი. 1920 წლიდან მოყოლებული 1952 წლამდე არც ზაფხულისა და არც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კავშირის სახელით სპორტსმენებს არ უასპარეზიათ. მსოფლიო ოლიმპიური თანამეგობრობა საბჭოთა კავშირს,







როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იურიდიულად არ აღიარებდა. ამიტომ, ხსენებულ პერიოდში, არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) წევრად მისი მიღების საკითხი დამდგარა დღის წესრიგში. კომუნისტური რუსეთი ოკუპანტ ქვეყნად მიიჩნეოდა. ახალი პოლიტიკური რეალობის წინაშე დააყენა ქვეყნებს შორის ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეებთან ერთად საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ. სსრ კავშირისა და, შესაბამისად, მის შემადგენლობაში შემავალი ხალხების სპორტსმენთა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში ღირებულებათა გადაფასების შედეგად ვეტო მოეხსნა.

1948 წელს ზაფხულის ოლიმპიადა ლონდონში ჩატარდა. მინვევა საბჭოთა კავშირმაც მიიღო, მაგრამ... წინააღმდეგი **სტალინი** წასულა – მიპატიჟება დაუბლოკავს. რატომ? მისი აზრით, ჯერ ომის ჭრილობების მოშუშება, ოლიმპიადისთვის კარგად მომზადება იყო საჭირო, რათა თავისი სიძლიერე გამარჯვებულ ქვეყანას მშვიდობიან ომში, სპორტულ სარბიელზეც დაემტკიცებინა. ცხადია, ბელადის არგუმენტს ვერავინ შეენინააღმდეგებოდა.



ომის შემდგომ ასე თუ ისე მოძლიერებულმა ქვეყანამ სპორტისთვისაც მოიცალა. ამას ვამბობთ ფართო გაგებით, თორემ სპორტული ცხოვრება, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ომის პერიოდში სრულად არც ჩამკვდარა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ხსენებული პოლიტიკური ვითარების ფონზე შეიძინა განვითარების ახალი იმპულსი საბჭოთა სპორტულმა მოძრაობამ. ეს იმპულსი ვერანაირად ვერ გაძლიერდებოდა და ვერც საჭირო შედეგს მოიტანდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანადგომის გარეშე. ამიტომაც საბჭოთა მთავრობამ მიიღო რესპუბლიკებში სპორტული გაზეთების გამოცემის გადანაცვტილება. ჩვენთან, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა საბჭოთა რესპუბლიკაში, სპორტული გაზეთის გამოცემა, ფაქტობრივად, განახლდა. 1949 წლის 10 ივლისიდან ქართულმა მკითხველმა **მიხეილ კაკაბაძის** რედაქტორობით უკვე მიიღო გაზეთი „ლელო“, რომელიც ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული წინამორბედი სპორტული გამოცემის სამართალმემკვიდრე იყო.

რატომ „ლელო“? ვის მიერაა ეს სახელი შერჩეული? **მიხეილ კაკაბაძის** თანამედროვე, ცნობილი ჟურნალისტი **თენგიზ გიორგაძე (1925-2012)** წიგნში „ლელო“ და ლელოელები“ აღნიშნავს: „მიხეილ კაკაბაძეს უამბია ჩემთვის, რომ გაზეთის სახელი „ლელო“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან **კანდიდ ჩარკვიანს** შემოუთავაზებია. თავის ავტობიოგრაფიაში მიშა წერს: „ჩემი ინიციატივით შეიცვალა გაზეთის სახელწოდება და ფიზკულტურელის ნაცვლად გაზეთს უძველესი, ვაჟკაცური, ჭეშმარიტად ხალხური სახელი „ლელო“ ეწოდა“.

1949 წლიდან, პირველი სპორტული გაზეთის გამოცემის განახლებისთანავე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის არა მხოლოდ პროპაგანდა, არამედ მორგანიზებელი ფუნქციაც დაისახა „ლელომ“ ამოცანად და კიდევ მიაღწია მიზანს. მეტიც, ამ საქმეში მისაბაძი გახდა. ამასთან, გაზეთმა წინამორბედი სპორტული გამოცემის მიერ ფუძეჩაყრილი ქართული სპორტის მემკვიდრის ფუნქცია ღირსეულად გააგრძელა. **მიხეილ კაკაბაძემ** გაზეთში სამუშაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები მიიწვია, რომლებიც მალე ცნობილი სპორტული ჟურნალისტები გახდნენ. შემდეგ მათ შექმნეს „ლელოს“ ინტელექტუალურ ბაზაზე ამ დარგში მომუშავე ჟურნალისტთა პირველი საზოგადოებრივი გაერთიანება. ცხადია, იყვნენ სხვებიც, მაგრამ ისინი ერთ ფედერაციაში შეკავშირდნენ ლელოელებთან. ასეთი ფედერაციის შექმნაც დრომ მოიტანა მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ მოძრაობაში საბჭოთა კავშირი უკვე ჩაერთო.


\*\*\*

საყოველთაო ყურადღება „ლელომ“ სინათლის ხილვის პირველი დღიდანვე მიიპყრო. განახლებული სპორტული გამოცემის ის ნომერი (საერთო ათვლით 363-ე) დასაბეჭდად მომზადდა ვერის ბაღში მდებარე ალპინისტთა კლუბში, ასე ვთქვათ, მართლაც რომ საველე პირობებში. რამდენიმე თვეში კი რედაქციამ ბინა დაიდო ელბაქიდის დაღმართზე №13 სახლში, მეორე სართულზე. 1963 წლამდე იყო იქ, ვიდრე ახლანდელ კოსტავას ქუჩის №14-ში მარცხენა ფრთის მე-5 სართულზე არ გადავიდა. გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობას მარჯვენა მხარეს მერე ახალი კორპუსი მიუშენდა ბელინსკის (ახლანდელ ჭოველიძის) ქუჩიდან და მერე „ლელოს“ იქ გამოუყვეს გაცილებით მეტი ფართი 1968 წელს. რედაქცია აქ უკვე შესანიშნავ პირობებში მუშაობდა. სამწუხაროდ, ყველაფერი მოულოდნელად დასრულდა 2007 წლის ზაფხულში, როცა გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში განთავსებული ყველა რედაქცია, ხელისუფლებამ, გაუფრთხილებლად გამოყარა ქუჩაში.

### ოლიმპიური ათვლა

მას შემდეგ, რაც 1952 წელს ჰელსინკში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის საკითხი გადაწყდა, მთელ საბჭოთა სივრცეში დაიწყო ჩვენი პლანეტის ამ უდიდესი და უზოპულარესი სპორტული ასპარეზობისთვის მზადება. ამ მოვლენით ფაქტობრივად საფუძველი ეყრებოდა სპორტში მუშაობის სისტემის განახლებას, რასაც მასობრიობა დაედო ქვაკუთხედად. სპორტი, სასწავლებელი იქნებოდა თუ შრომითი კოლექტივი, ყველგან იკიდებდა ფეხს. უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში სწორად იყო გაგებუ-





იმარჯვებს დავით ციმაკურიძე

ლი ხალხური ტრადიციების მნიშვნელობა. ვგულისხმობთ, სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშობების აღორძინებისადმი ზრუნვის გაძლიერებას. უდიდესი ეფექტი ამ ნაბიჯისა იყო ის, რომ ჩვენ ახალგაზრდობას აღარ უძნელდებოდა რიგი სპორტის საერთაშორისო სახეობების გათავისება და რეალობად იქცა ფიჭვი წარმატებებზე. ხალხური ტრადიციები უფრო მაინც სოფლად მცხოვრებთა გენში იყო გამოჯდარი და სპორტში მისი გამოვლენის დრო რომ დადგა, საოცრებად იჩინა თავი. მეტწილად რეგიონებიდან დაიძრა სპორტული ტალანტები დიდი სპორტისკენ. სასწაული ისიც იყო, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ კანდიდატა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში საბჭოთა ნაკრები გუნდის

მთავარმა მწვრთნელებმა უკვე 1951 წლის დასაწყისიდანვე ათეულობით საქართველოს წარმომადგენლის გვარი მონიშნეს.

დიდი გულისყურით აკვირდებოდნენ სპეციალისტები თითოეულ მათგანს საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე ასპარეზობისას. საბჭოთა სპორტული დელეგაციის 1952 წლის ოლიმპიური თამაშების საბოლოო განაცხადში 14 სპორტსმენი მოხვდა საქართველოდან: **ლევან სანაძე, ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი** (ოთხივე – მძლეოსნობა); **ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია** (ორივე – კალათბურთი); **ავთანდილ ლოლობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი** (ორივე – ფეხბურთი); **დავით ციმაკურიძე** (თავისუფალი ჭიდაობა); **რაფაელ ჩიმიშკიანი** (ძალოსნობა); **მედეა (მზია) ჯუღელი** (ტანვარჯიში); **ოთარ დადუნაშვილი** (ველოსპორტი); **აკაკი მეიფარიანი** (ფარიკაობა), **ვლადიმერ ლავრინენკო** (ცურვა).

ჩვენი ათლეტები ტრიუმფალური მიღწევებით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ოქროს სამი (ციმაკურიძე, ჩიმიშკიანი, ჯუღელი), ვერცხლის ოთხი (ქორქია, ჯორჯიკია, სანაძე, ჯუღელი), ბრინჯაოს ორი (ხნიკინა-დვალიშვილი, დუმბაძე) მედალი – ასეთი იყო საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი ჰელსინკის ოლიმპიადაზე. როგორც ხედავთ, ოლიმპიადის 14 მონაწილიდან შინ 9 დაბრუნდა მედლით.

ვინც მოისურვებს და „ლელოს“ იმ პერიოდის ნომრებს გადაფურცლავს, დარწმუნდება თუ რა ტიტანური შრომა გასწიეს ჩვენმა ყურნალისტებმა ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში და შემდეგაც. ჩვენმა ხალხმა აბსოლუტურად ყველაფერი იცოდა





ოლიმპიელებზე, თამაშების შემდეგ კი „ლელოს“ ღირსეული პატივი მიაგო მათ მთელ ქვეყანასთან ერთად. ჰელსინკში ჩვენი ოლიმპიელების თვალსაჩინო წარმატებამ დიდი სტიმული მისცა სპორტის განვითარებას საქართველოში.

სამწუხაროდ, „ლელოს“ ჟურნალისტებს არ ჰქონდათ 1952 წლის ოლიმპიადაზე დასწრების შესაძლებლობა და საკუთარი თვალით ვერ იხილეს საქართველოს პირველ ოლიმ-



პიელთა პირველი წარმატებები. არ შემოგვრჩა იმ თამაშებზე მათი ასპარეზობის ამსახველი ფოტომასალა, დოკუმენტურ კინოკადრებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მხოლოდ მოგვიანებით აღირსეს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტულ გამოცემებს ჟურნალისტების მივლინება ოლიმპიურ თამაშებზე. მანამდე კი იქ ნანახ-განცდილი შინ დაბრუნებულ

ოლიმპიელებს „ლელოს“ ფურცლებზე თავიანთი მონათხრობით მიჰქონდათ მრავალრიცხოვან მკითხველამდე.

პირველი ქართულ სპორტული გაზეთის ფურცლებიდანაც კარგად იგრძნობა, რომ სარედაქციო გუდნთან აქტიურად თანამშრომლობდნენ იმ პერიოდში საქართველოს სპორტის თავკაცები – **ალექსანდრე ჭელიძე (1936)** და **თედო სხირტლაძე (1936-46)**, ქართული სპორტული სამყაროს სხვა ხელმძღვანელები თუ დარგის ცალკეული სპეციალისტები. როგორც ხედავთ, ქართულ სპორტს სრული 10 წელიწადი თედო სხირტლაძე ედგა სათავეში, გამოატარა ომის წლები. შემდეგ მოვიდა **ალექსანდრე ფარულავა (1946-1952)**. ამ ადამიანმა გასწია ფაქტობრივად ფასდაუდებელი შრომა ჩვენთვის პირველ ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა ნაკრებთან ერთად საქართველოს სპორტსმენთა მოსამზადებლად და მონაწილეობის მისაღებად. **1952-1954** წლების გარკვეულ პერიოდში ქართულ სპორტს ყოფილი მოკრივე, **ბორის კვინიხიძე** თავკაცობდა.

1954 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ **გიორგი სისარულიძე** დაინიშნა. 1973 წლამდე მან იღვანა ამ თანამდებობაზე და ღირსეულად დაიმკვიდრა ქართული სპორტის „ოქროს ხანის“ წარმატებული შემოქმედის სახელი. კარგად იყო ცნობილი, რომ ამ ადამიანმა ორგანიზატორის საუკეთესო უნარ-თვისებები სატრანსპორტო სისტემაში მუშაობისას გამოავლინა, სპორტთან კი ახალგაზრდობის დროინდელი ფეხბურთელობა აკავშირებდა. გადაუჭარბებლად შეიძლება



ითქვას, რომ მოსალოდნელზე მეტად გაამართლა მისმა დანიშვნამ ახალ თანამდებობაზე. ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით ამ პიროვნების დამსახურებას. ჯერ სპორტში მაშინდელ საერთო ვითარებაზე და გაზეთ „ლელოს“ როლზე ვთქვავთ.

როცა საბჭოთა ეპოქაზე ვლაპარაკობთ, განცალკევებით ქართულ სპორტს მხოლოდ პირობითად და სიმბოლურად თუ წარმოვიდგენთ და გავაცნობიერებთ. მართალია, ერთიანი საბჭოთა სპორტის შემადგენელი ნაწილი იყო ქართული სპორტი, მაგრამ მუდამ იდგა მის ავანგარდში. რომ არა ნაციონალურ პოლიტიკაში რუსეთის დომინირება, გაცილებით შთამბეჭდავი და უზვი იქნებოდა საქართველოს სპორტსმენების ადგილი ნაკრებ გუნდებში და შესაბამისად მაღალი სპორტული ჯილდოების მონაგარი.



**გიორგი სიხარულიძე და ილია დათუნაშვილი**

დასამალი დღეს არაფერია. ძალიან ძნელი იყო საბჭოთა ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. მით უფრო მერე და მერე, როცა უკვე საბჭოთა სპორტის არნახული წინსვლის შედეგად, სპორტის უმეტეს სახეობაში, თითოეულ ადგილზე ერთიმეორეზე უკეთესი 5-7 რჩეული სპორტსმენი მაინც აცხადებდა ნაკრებში პირველობაზე პრეტენზიას. სხვა ეროვნების კონკურენტი, არარუსზე მინიმუმ ორჯერ ძლიერი მაინც უნდა ყოფილიყო, რომ რჩეულთა შორის მოხვედრილიყო. ოფიციალურად არადეკლარირებული, მაგრამ უთქმელად და უსიტყვოდ ყველასთვის გასაგები ეს მოთხოვნა, სხვების რა გითხრათ, ქართველი ათლეტებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის ნამდვილად იყო დამატებითი მოტივაცია ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად.

**გიორგი სიხარულიძემ** შესანიშნავად იცოდა გაზეთ „ლელოს“ მნიშვნელობა და ფასი, ამიტომაც მხარში ედგა ყოველთვის. იგრძნობოდა, რომ ამ გაზეთით ის ამაყოფიდა კიდევ. რედაქტორი, როგორც წესი, აუცილებლად უნდა ყოფილიყო სპორტის ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოს კოლეგიის წევრი.



„ლელოში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს მხოლოდ სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზე როდი იხილავდნენ. ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც.

**სიხარულიძე** საოცარი ხედვის და გუმანის ისეთი ხელმძღვანელი გახლდათ, რომ შეუძლებელი იყო ვინმეს შეეყვანა შეცდომაში, ამას ვერც ვერავინ გაბედავდა, რადგან ზღვა ინფორმაციას ფლობდა. ნებისმიერ გადანყვეტილებას იღებდა თავდაჯერებით და ეჭვი არავის შეჰქონდა მის კომპენტენტურობაში. კარგად მახსოვს სპორტის ღვანღმოსილი ვეტერანი მუშაკებისადმი მისი გულსხმიერი დამოკიდებულება. ახალგაზრდებს კი ყველანაირად ხელს უწყობდა შესაძლებლობების გამოვლენაში, ახალისებდა. ისეთი სისტემა დანერგა, საქმიანი ურთიერთობებით გადადიოდა ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვეტერანებიდან ახალგაზრდებში, იქმნებოდა მემკვიდრეობითობის უწყვეტობის მტკიცე კავშირი. ასეთი დამოკიდებულების შედეგიც იყო, რომ თვალსაჩინოდ და აშკარად იგრძნობოდა სისხლსავსე ცხოვრება ქართულ სპორტული სამყაროში.

**სიხარულიძის** პრინციპულობის ერთ მაგალითს მოვიტან, რომელის მონაწილე და მომხსნე, შიძლება ითქვას, მიზეზიც კი, თავად ვარ. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტში ერთხანს თავი იჩინა მისაღები გამოცდებზე აბიტურიენტების შეფასების გაყალბებამ, – მავანთათვის ჩასარიცხად სასურველი აბიტურიენტის ნიშანი ბევრგან საგამოცდო უწყისში, ისე ოსტატურად იყო გადაკეთებული, რომ საბოლოოდ გამსვლელი ქულების ჯამს იძლეოდა. ეს ხდება 60-იანი წლების მეორე ნახევარში. ფაქტების შესწავლა არა კომისიას, არამედ ერთპიროვნულად მაშინ „ლელოს“ სრულიად ახალგაზრდა კორესპონდენტს, მე დამევალა. გაეცნო თუ არა, ასე ვთქვათ, ჩემს მიერ ჟურნალისტური გამოძიებით მოკვლეულ მასალებს, განკარგულება სიხარულიძემ იქვე გასცა – საკითხი შეეტანათ უახლოესი კოლეგიის სხდომის დღის წესრიგში. ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა სპორტის სახელმწიფო კომიტეტი და პირადად **სიხარულიძე** რედაქტორის რეკომენდაციით, „ლელოს“ ახალგაზრდა ჟურნალისტებს დიდ ნდობას უცხადებდა.

„ლელო“ სპორტკომიტეტისა და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი ორგანო იყო, მაგრამ პროფკავშირი ნაკლებად, ან სულაც არ იხედებოდა გაზეთისკენ. სარედაქციო მუშაობაში მოუზომავად, მით უფრო უხეშად, არც სპორტკომიტეტი ერეოდა, კეთილ რჩევებს კი არ იშურებდა. ყველა ვხედავდით და ვგრძნობდით, რომ საქართველოს სპორტულ მოძრაობას და მის ხელმძღვანელობას ესაჭიროებოდათ გაზეთის ავტორიტეტი და სპორტკომიტეტი მისი კრიტიკით ცუდ მაგალითს ვერ მისცემდა სხვა ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებს და უწყებებს. ობიექტური კრიტიკით განაწყენებულნი კი, რა დასამალია, ჩვენ გაზეთს საკმაოდ ჰყავდა.

### **„ლელოს“ პირველი აპრელიტაცია ოლიმპიადაზე**

ქართულ სპორტში „სიხარულიძის ეპოქას“ დაუზბრუნდეთ. „ლელოს“ ფურცლებმა სრულად შემოგვინახა მოვლენების ქრონოლოგია. ქართული სპორტის სათავეში **გიორგი სიხარულიძის** მოსვლის დროს საბჭოთა სპორტს და შესაბამისად ქართულსაც, უკვე მიღებული ჰქონდა ოლიმპიურ თამაშებში





მონაწილეობის გამოცდილება. სპორტი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ამაღლდა. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი საბჭოთა კავშირი ეკონომიკურად საკმაოდ მომძლავრდა. მთლად ხმამაღლა არ ცხადდებოდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ პრიორიტეტულად მიიჩნეოდა თავდაცვა და სპორტი. სპორტში გამარჯვება, გარკვეულწილად, მსოფლიოს თვალში ომში გამარჯვების ტოლფასად აღიქმებოდა. დაფინანსების გაზრდასთან ერთად მოკავშირე რესპუბლიკებში ამაღლდა პასუხისმგებლობა, გაიზარდა კონკურენცია ნაკრებ გუნდებში მოსახვედრად.

დაბრუნდა: ოქროთი – კარტოზია და ცალქალამანიძე; ბრინჯაოთი – ბალავაძე, სხირტლაძე, ძნელაძე, დვალიშვილი-ხნიკინა, ნიკიტინი, გვახარია.

დიდი საერთაშორისო სპორტული ასპარეზოების შემდეგ საქართველოს სახელოვანი სპორტსმენების „ლელოს“ რედაქციაში მოწვევა ტრადიციად დამკვიდრდა. საზოგადოების გაზრდილ ინტერესს სრულად აკმაყოფილებდა მათთან ინტერვიუები, ნარკვევები, ჩანახატები თუ სხვა ჟანრის საგაზეთო მასალები. მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით მოელოდა ოლიმპიურ და არა მხოლოდ ოლიმპიურ თემაზე „ლელოს“ ცნობილი ჟურნალისტის და უბრწყინვალესი პიროვნების, **ნოდარ გუგუშვილის** პუბლიკაციებს...

\*\*\*

ფაქტობრივად, უწყვეტი ციკლით გრძელდებოდა მზადება ოლიმპიური თამაშებისთვის, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებისთვის თუ სხვა მასშტაბური სპორტული ასპარეზოებისთვის. საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მწვავე კონკურენციისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განუხრელად ზრდის პირობებში, ორგანიზაციულ სფეროშიც დღის წესრიგში დადგა სიახლეების მოძიება და დანერგვა. მასობრიობა თითქმის უზრუნველყოფილი და გარანტირებული იყო. ახლა საქმემ მოითხოვა ამ პროცესს მოეტანა მეტი ეფექტი მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებაში. ანუ, რეალობად ქცეულიყო მონოდება „მასობრიობიდან – ოსტატობისკენ!“ მიღწეულ-მონაპოვარმა რაღაც ისეთის მიგნება-დამკვიდრებაზე დაფიქრება წამოიწია წინა პლანზე, რაც მასობრიობის ხარისხსაც შეა-



**გიორგი სიხარულიძე ნონა გაფრინდაშვილთან და ომარ ფხაკაძესთან ერთად**

მომდევნო, 1956 წლის ოლიმპიადაზე მელბურნში საქართველოდან 10 სპორტსმენი გამოდიოდა: **ვანტანგ ბალავაძე**, **მირიან ცალქალამანიძე**, **გიორგი სხირტლაძე** (სამივე – თავისუფალი ჭიდაობა); **გივი კარტოზია**, **რომან ძნელაძე** (ორივე – კლასიკური ჭიდაობა); **ნადეჟდა დვალიშვილი-ხნიკინა** (მძლეოსნობა); **ბორის ნიკიტინი** (ცურვა), **ნოდარ გვახარია** (წყალბურთი), **რევაზ ცირეკიძე**, **იური ოსიპოვი** (ორივე – ფარიკაობა). შინ მედლით 8

მონმებდა, მაღალი კლასის ათლეტებსაც გამოავლენდა და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე ამყად და თავდაჯერებით გასასვლელად მორალურად და ფსიქოლოგიურადაც სპორტსმენებს მოამზადებდა, მეტ გამოცდილებას შექმნდა მათ. და აი, ასეთი ასპარეზობაც იშვა – „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა“, რომელიც 1956 წლიდან ჯერ ტარდებოდა ოლიმპიადების წელიწადს, შემდეგ კი ოლიმპიადებამდე ერთი წლით ადრე. აქვე ვიტყვი, რომ მსგავსი კომპლექსური ასპარეზობა პირველად 1928 წელსაც ჩატარდა, მაგრამ განსხვავებული ფორმატით. რაც მთავარია, მაშინ საამისოდ მზად არ იყო ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა და ერთგვარად რეალობიდან ამოვარდნილი წინმსწრები ნაბიჯი გამოდგა.

1956 წლიდან მოყოლებული, ხალხთა ზაფხულის (ზამთრისაც ტარდებოდა) სპარტაკიადა უმნიშვნელოვანეს სპორტულ მოვლენად იქცა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქვეყნის ეს უპირველესი და გრანდიოზული სპორტული ასპარეზობა ზოგიერთ სპორტის სახეობაში კონკურენტუნარიანობით არ ჩამოუვარდებოდა ევროპის და მსო-



ფლიოს ჩემპიონატებსაც კი. „ლელომ“ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებაც, რომ სულ ჩატარდა ზაფხულის 9 სპარტაკიადა. მე-10 საიუბილეო, სსრ კავშირის დაშლის გამო ვეღარ დასრულდა. მაშინ ჩვენგან ასპარეზობა მოასწრეს ძიუდოსიტებმა და გუნდური ჩემპიონობაც იზეიმეს. საერთოდ, საქართველოს სასპარტაკიადო ჯამური მონაპოვარი ასეთია: ოქროს-96, ვერცხლის-98 და ბრინჯაოს 120 მედალი.

... დაიწყო მზადება 1960

წლის ოლიმპიური თამაშებისთვის, რომელსაც რომმა უმასპინძლა. წინა ორმა ოლიმპიადამ მსოფლიოს დაანახვა, რომ სპორტში ლიდერ ქვეყნებს და უპირველესად კი აშშ-ს ოლიმპიურ სარბიელზე გამოუჩნდა ძლიერი კონკურენტი – სსრ კავშირი.

საქართველოდან რომში 16 ათლეტი გამოდიოდა, შინ კი მედლით 10 დაბრუნდა. ოქროთი – მძლეოსანი **რობერტ შავლაყაძე** და ბერძნულ რომაული სტილის მოჭიდავე **ავთანდილ ქორიძე**; ვერცხლით – კალათბურთელები **გურამ მინაშვილი**, **ვლადიმერ უგრეხელიძე**, წყალბურთელები **გივი ჩიქვანაია**, **ლერი გოგოლაძე**, თავისუფალი სტილის მოჭიდავე **გიორგი სხირტლაძე**; ბრინჯაოთი – ბერძნულ-რომაულის მო-





რომი, 1960 წ. რობერტ შავლაყაძე

ჭიდავე გივი კარტოზია, თავისუფლი სტილის მოჭიდავე ვლადიმერ რუბაშვილი, მოფარიკავე გურამ კოსტავა. კიდევ ჩვენმა სამმა სპორტსმენმა ათეულში დაიმკვიდრა ადგილი.

რობერტ შავლაყაძის მიღწევა ოლიმპიური თამაშების სენსაციად მოინათლა. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სიმალლეზე სტომაში ასე მოულოდნე-

ლად დაემხოზოდა ამერიკელთა ჰეგემონია მსოფლიოში.

კარგად მახსოვს, ჟურნალისტებმა საქართველოს ოლიმპიური მონაგარი, რომის თამაშების შემდეგ, ისე, ჩვენთვის დავითვალეთ და შევადარეთ დანარჩენი ქვეყნებისას. ამა თუ იმ სინჯის მედლის ღირსი მხოლოდ 44 ქვეყანა გახდა. უმედლოდ კი თითქმის ამდენივე დარჩა. ჯილდოების რაოდენობით და ხარისხით, მედალოსან ქვეყნების ჩამონათვალში, ჩვენ მე-13 ადგილზე „აღმოვჩნდით“. დიდად ჩამოგვრჩა იუგოსლავია (ოქრო-1, ვერცხლი-1, ბრინჯაო-0), საფრანგეთი (0, 2, 3), არგენტინა(0, 1, 1), კანადა (0, 1, 0), ესპანეთი (0, 0, 1), მექსიკა (0, 0, 1)...

საბჭოთა დელეგაციაში სპორტული ჟურნალისტები საქართველოდან პირველად რომში გაემგზავრნენ ოლიმპიური თამაშებზე. ისინი ორნი იყვნენ გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე ზურაბ ჯაფარიძე და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში გარუნ აკოფოვი.

## ტოკიოსა და მხსიკოში

მრავალმხრივ გამორჩეული იყო 1960-იანი წლები ქართული სპორტისა და ჩვენი გაზეთისთვისაც. იგულისხმება ყველაფერი, რაც საქართველოში ბიძგს აძლევდა, როგორც სპორტის, ისე სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებას. უკვე ვთქვით, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი გაერთიანება – ფედერაცია, „ლელოს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა. სპორტული პრესის საერთაშორისო ორგანიზაცია 1924 წლიდან არსებობს. საქართველოს ფედერაცია, რომელიც 1959 წელს შეიქმნა, საბჭოთა ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი გახდა. მაშინ სხვაგვარად შეუძლებელი იყო. მოსკოვიდან მოდიოდა დირექტივები, ცენტრი ანაწილებდა საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე მისავლინებელ ჟურნალისტთა კვოტებსაც. უნდა ითქვას, რომ კარგი ურთიერთობა გვქონდა მოსკოველ კოლეგებთან და კვოტებში ნამდვილად არ ვიჩაგრებოდით. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის შემდეგ საქართველო საბჭოთა კავშირში აშკარად გამორჩეული სპორტული რესპუბლიკა იყო. მოკლედ, სიტყვა გვეთქმოდა.

1959-1991 წლებში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცი-






ის თავკაცები მხოლოდ „ლელოს“ რედაქტორები იყვნენ. **მიხეილ კაკაბაძის** შემდეგ (ის უყო პირველი თავმჯდომარე), ფედერაციას **არჩილ გოგელია** ხელმძღვანელობდა, რომელიც 1985 წელს მე შევცვალე. 1991 წელს კი ყოფილი ლელოელი **ელგუჯა ბერიშვილი** ჩაუდგა სათავეში უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას. ამ ასოციაციამ წინამორბედი

ფედერაციის სამართალმემკვიდრედ აღიარა თავი. 2012 წელს **ელგუჯა ბერიშვილი** სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გახდა და ჟურნალისტთა ამ გაერთიანებაში, არჩევნების შედეგად, მისი ადგილი დაიკავა ჟურნალ „ათიანის“ რედაქტორმა **გიორგი გორგოძემ**.

„ლელოს“ მაორგანიზებელი როლი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებაში კიდევ უფრო ამაღლდა. სათანადოდ ჟურნალისტების შრომაც ფასდებოდა. ყველა აღიარებდა გაზეთის დამსახურებას და მაღალ ავტორიტეტს, რაც იმანაც დიდად განაპირობა, რომ „ლელოს“ ახლა უკვე ბრწყინვალე პიროვნება და რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** მეორედ ჩაუყენეს სათავეში. ქართული სპორტის ისტორიაში **გიორგი სინარულიძის** მოღვაწეობის პერიოდი ოქროს ხანა იყო, როცა ვამბობთ, შეი-




ძლება თამამად ითქვას, ამ ეპოქის მეორე შემოქმედი, „ლელი“ და მისი გამობრძმედილი რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** გახლდათ.

საამაყო მონაპოვრით დასრულდა 1960-იანი წლების პირველ ოლიმპიურ ოთხწლეულში მუხლჩაუხრელი გარჯა. საქართველოდან 18 ათლეტი ჩაირიცხა ტოკიოში ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ საბჭოთა სპორტულ დელეგაციაში. ეს ჩაითვალა

ძალიან თვალსაჩინო მიღწევად გაზრდილი კონკურენციისა და მკაცრი შერჩევის გავითვალისწინებით. უნდა ითქვას, რომ ნამდვილად დიდი იყო ოლიმპიადაზე წარმატების მოლოდინი, რაც კიდევ გამართლდა. ჩვენი ოლიმპიელებიდან მედლით შინ 11 ათლეტი დაბრუნდა: მოფარიკავე **ნუგზარ ასათიანი** და ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა** ჩემპიონები; **რომან რურუა** (ბრ ჭიდაობა), **გურამ სალარაძე** (თავ. ჭიდაობა), **შოთა ქველიაშვილი** (ტყვ. სროლა) და **ლევან მოსეშვილი** (კალათბურთი) – მეორე; ხოლო **გურამ კოსტავა** (ფარიკაობა), **ნოდარ ხონაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **დავით გვანცელაძე** (ბრ ჭიდაობა), **ანზორ კიკნაძე** (ძიუდო) და **ფარნაოზ ჩიკვილაძე** (ძიუდო) მესამე პრიზიორები გახდნენ. აკრედიტაცია „ლელიდან“ ამ თამაშებზეც **ზურაბ ჯაფარიძემ** მიიღო.

ოპერატიულად საგაზეთო მასალების უშუალო კავშირით





*ომარ ფხაკაძე*

მიღება მაშინ ჯერ კიდევ არ ხერხდებოდა. თამაშებიდან არც პირდაპირი ტელეგადაცემები იყო, ამიტომ შინ დაბრუნებული ყურნალისტისა და თვით ოლიმპიელების „ლელოს“ ფურცლებზე ნაამბობს მკითხველი შეუწყნებელი ინტერესით ეცნობოდა.

თხრობას ბარემ 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაზე და ამ საქმეში „ლელოს“ ყურნალისტების წვლილით გავაგრძელებ. მზადება მიმდინარეობდა უწყვეტ პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო საიმედო ხელში ტრადიციების გადაცემისთვის მყარი საფუძვლების შესაქმნელად, თაობათა უმტკივნეულოდ ცვლისთვის. წარმატებით იპრობდნენ ახალ სპორტულ მწვერვალებს ჩვენი ათლეტები. ჭეშმარიტად ღირსსახსოვარ მოვლენად დარჩა ქართული სპორტის ისტორიაში 1964 წელს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის „ოქროს მატჩი“ ტაშკენტში. 1965 წელს სან-სებასტიანში **ომარ ფხაკაძე** პირველი ქართველი

მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ველორბოლაში, იმავე წელს **ნონა გაფრინდაშვილი** ალა კუშნირთან გადამწყვეტ მატჩში ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი შეინარჩუნა. მომდევნო წელმა **შოთა ლომიძეს** მოუტანა დიდი წარმატება. მან კარლსრუეში ევროპის ჩემპიონატი მოიგო და კონტინენტის უძლიერესი ფალანგის სახელი თავისუფალ ჭიდაობაში პირველად მოიპოვა. იქვე ჩემპიონობა უკვე მეორედ იხეიმა **ზარბეგ ბერიაშვილი**ა.

მეხიკო გულმოდგინედ ემზადებოდა 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის. ერთი წლით ადრე ოლიმპიურ ბაზებზე აპრობაცია-ადაპტაციის მიზნით მაღალი რანგის სხვადასხვა ასპარეზობა ტარდებოდა. 1967 წელს იქაურ ტრეკზე **ომარ ფხაკაძემ** მსოფლიოს რეკორდიც კი დაამყარა. ეს მიღწევა 1980 წლამდე დარჩა ხელუხლები.



*ვიქტორ სანევი*





მეხიკო, 1968 წ. მარცხნიდან: რომან რურუა, დიტო შანიძე, ვიქტორ სანეევი

მეხიკოს ოლიმპიადა მსოფლიო ყურადღების ცენტრში იმის გამოც მოექცა, რომ თამაშები პირველად ტარდებოდა სასიმალო (2134 მ. ზღვის დონიდან) პირობებში. ფართოდ და საინტერესოდ აისახებოდა მიმდინარე პროცესები „ლელოს“ ფურცლებზე. ბუნებრივია, ქართველი მკითხველი მეტ და მეტ ინფორმაციას მოელოდა თანამემამულე ათლეტების ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით. მკითხველთა დაკვეთას კი გაზეთის შემოქმედებითმა მუშაკებმა წარმატებით გაართვეს თავი. საყოველთაო სიყვარულით, განსაკუთრებით „ლელოს“ მეშვეობით, დამუხტული ჩვენი 14 ოლიმპიელი გაემგზავრა მეხიკოში. მონაგარი – სამივე სინჯის ორ-ორი ოლიმპიური მედალი.

ლეგენდარული სამმხტომელი ვიქტორ სანეევი სწორედ მეხიკოში გახდა პირველად ოლიმპიური ჩემპიონი. ამ თამაშებზე ოქროს მეორე მედალი **რომან რურუას** (ბრ ჭიდაობა) წილად მოდის. ვერცხლის მედლები მოიპოვეს **დიტო შანიძემ** ძალოსნობასა და **შოთა ლომიძემ** თავისუფალ ჭიდაობაში, ბრინჯაოსი – კალათბურთელებმა **ზურაბ საკანდელიძემ** და **სერგეი კოვალენკომ**.


### „ლელო“ და სიხარულიძის შიმდგომი ეპოქა

1972 წელს საქართველოში ხელმძღვანელობა შეიცვალა. სპორტი ყოველთვის იყო პოლიტიზირებული საბჭოთა ეპოქაში, მაგრამ ის, რაც მოხდა **გიორგი სიხარულიძის** შეცვლით და შემდეგაც, მეტისმეტი იყო – ქართული სპორტის წინამძღოლად ერთიმეორის მიყოლებით ინიშნებოდნენ პარტიული მუშაკები. პირველი იყო **ფილიპე მახარაძე**, თბილისის კალინინის პარტრიაკომის ყოფილი პირველი მდივანი. ამ კოლორიტულ პიროვნებას ბევრი კარგი თვისება ჰქონდა, პატრიოტიც იყო, მაგრამ მანამდე დარგს სულ სხვა ყაიდის ადამიანები თავკაცობდნენ და ადვილი არ იყო მისთვის მაღალპროფესიულ დონეზე ურთიერთობების შენარჩუნება, თუმცა ყველაფერს აკეთებდა საამისოდ. წინამორბედის მიერ აწყობილი საქმე **ფილიპე მახარაძის** დროსაც არ მიდიოდა ცუდად. ნამყვან



ათლეტებს ყურადღება არც ცენტრიდან აკლდათ. მით უფრო, რომ მონრეალის ოლიმპიური თამაშები წინ იყო. მოკლედ, სისტემა მუშაობდა. შეფასებებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ისე მოხდა, რომ, სამწუხაროდ, **ფილიპე მასარაძეს** არ დასცალდა ხსენებული ოლიმპიური ციკლის ჩამთავრება.

1972 წლის ოლიმპიადის მიუნხენში ჩატარების გადამწყვეტილება ჯერ კიდევ იმ პერიოდში მიიღეს, როცა დასავლეთ გერმანიასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობას თბილი და სასურველი ნამდვილად რომ არ ეთქმოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ოლიმპიადისთვის მზადება და გერმანიის ამ ქალაქში თამაშებში მონაწილეობა გერმანია-სსრ კავშირის ურთიერთობას სასიკეთოდ ნაწილობრივ მაინც შეცვლიდა. ჩვენამდე ინფორმაცია არ აღწევდა, მაგრამ უთუოდ იქნებოდა მიუნხენში თემატური მიწვევები ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკა-



ლევან თედიაშვილი



ვშირებით. რჩებოდა ბოლო შანსი – „ოლიმპიური კვირეული“, რომელიც თამაშების ყველა მასპინძელ ქალაქებში ტარდებოდა ტრადიციულად ოლიმპიური ბაზების აპრობაციის მიზნით. აი, აქ კი გადამწყდა მიუნხენში საბჭოთა სპეციალისტების მივლინება. გასაკვირია, მაგრამ რატომღაც საბჭოთა მთავრობამ კვირეულზე მხოლოდ საქართველოს სპეციალისტებით დაკომპლექტებული დელეგაცია მიავლინა, რომლის შემადგენლობაში ორი ჟურნალისტი, მე და საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი, **თენგიზ სულხანიშვილი** ჩაგვრთეს. იმ კვირეულზე გაიხსნა მიუნხენის ოლიმპიური სტადიონი სსრ კავშირისა გფრ-ის საფეხბურთო ნაკრები გუნდების მატჩით. ქართველებიდან **მურთაზ სურცილავა** და **რევაზ ძოძუაშვილი** მონაწილეობდნენ. განსაკუთრებით ძოძუშვილის თამაში დამამახსოვრდა, რომელიც მცველის პოზიციიდან ხშირად გადადიოდა თავდასხმაში და მაყურებლის აღტაცებას იწვევდა. მაშინ ტექნიკის იმჟა-



მინდელ უახლეს შესაძლებლობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე ფლობდნენ, მაგრამ, რაც ვიხილეთ, ნამდვილ საოცრებად ჩავთვალეთ ჟურნალისტიკა – სპეციალურ ფერად და ილუსტრირებულ გაზეთს, რომელშიაც ეს-ესაა დამთავრებული მატჩის მიმოხილვა და მატჩთან დაკავშირებული სხვა



**Munich 1972**

საინტერესო ინფორმაციები იყო დაბეჭდილი, უკვე სტადიონიდან გასასვლელში უნიფორმაში გამოწყობილი გოგონები გვთავაზობდნენ.

საქართველოსთვის სარეკორდო რაოდენობამ დაიმსახურა მიუნხენის საიუბილეო, ზაფხულის XX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება. უხვი იყო მოპოვებული მედლების რაოდენობაც – ჩვენი 16 ოლიმპიელიდან მხოლოდ ხუთი დარჩა კვარცხლბეკის მიღმა. ჩემპიონები გახდნენ: **ვიქტორ სანევეი** (მძლეოსნობა), **ლევან თე**

**დიაშვილი** (თავ. ჭიდაობა), **შოთა ჩოჩიანი** (ძიუ-დო), კალათბურთელები **ზურაბ საკანდელიძე** და **მიხეილ ქორქია**, ნიჩბოსანი **ვიქტორ კრატასიუკი**; ვერცხლის პრიზიორობა ხვდა წილად **დიტო შანიძეს** (ძალოსნობა),



**Montréal 1976**

ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ **ომარ ფხაკაძე** (ველოსპორტი), **გივი ონაშვილი** (ძიუ-დო), ფეხბურთელები **მურთაზ ხურცილავა** და **რევაზ ძიძუაშვილი**.

თავკაცად ქართულ სპორტს 1975 წელს ასევე კომკავშირსა და პარტიის მიერ გამობრძანებული **დავით პეტრიაშვილი** მოეწვინა.

მან მიითვალა ჩვენი 1976 და 1980 წლის ოლიმპიური წარმატებები. პარტიული კადრებით სპორტის გაპოლიტიკურება საბჭოთა კავშირის დაშლამდე გაგრძელდა.

1976 წლის ოლიმპიური თამაშები მონრეალში ჩატარდა. საქართველოდან, ყველა გათვლებით, მინიმუმ 10 სპორტსმენი მაინც მოხვდებოდა ამ თამაშებზე. საბჭოთა სპორტი იმ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა, შესაბამისად, გაიზარდა კონკურენცია. 11 ჩვენი სპორტსმენი გაემგზავრა მონრეალში. ნამდვილად არ იყო ურიგო მონაპოვარი. რაც მთავარია, **ვიქტორ სანევეი** სამსტომში ზედიზედ მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, **ლევან თედიანი** კი თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიურ ოქროს მედალს მეორედ დაეუფლა. საქართველოს სწორედ






აქ მოვევლინა ხელბურთში თავისი პირველი ოლიმპიონიკი **ალექსანდრე ანპილოგოვი**. ვერცხლის მედალს დაეუფლა ძიუდოსტი **რამაზ ხარშილაძე**, სპორტის ამავე სახეობაში წინა ოლიმპიადის გამარჯვებული **შოთა ჩოჩიშვილი** კი ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა. მიუნხენის „ვერცხლს“ „ბრინჯაო“ შემატა **მიხეილ ქორქიამ**.

მონრეალში „ლელოდან“ აკრედიტებული ჟურნალისტები იყვნენ **მიხეილ კაკაბაძე** და **ნოდარ გუგუშვილი**.

**დავით პერტენავა** ისევ გამოცდილმა პარტემუშაკმა, მაგრამ წინამორბედებისგან განსხვავებით სპორტში უფრო ღრმად ჩახედულმა **რამაზ გოგლიძემ** შეცვალა. ქართული სპორტის ავტორიტეტი **1982-1986** წლებში მისი მმართველობით ნამდვილად ამაღლდა. მან გამორჩეულად ეფექტურად გამოიყენა საერთო საქმის სასიკეთოდ ჩვენი გაზეთის შესაძლებლობები. ის აღმოჩნდა ქართული სპორტის პირველი ხელმძღვანელი, რომელიც დაინტერესდა „ლელოს“ მუშაკთა სოციალური საკითხებით. მოინდომა და კიდევ მიაღწია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდას. ვერასოდეს დავივიწყებ მის რეაქციას და მყისიერად მიღებულ გადაწყვეტილებას „ლელოს“ ვეტერანი რეპორტიორის **მიხეილ ზარგარიანის** ფოტოარქივთან დაკავშირებით, რომელიც ინახებოდა ფოტოხელოვანის ოჯახში. მისი გარდაცვალების (1979) შემდეგ არქივის შესაძენად სომხეთის წარმომადგენლებს შეუთავაზებიათ სოლიდური თანხა მემკვიდრისთვის. ვაჟიშვილი ბორისი, რედაქციაში მოვიდა და მითხრა ეს ამბავი. შენუხებული ჩანდა, არ უნდოდა საქართველოდან გაეტანათ მამის დანატოვარი, მხოლოდ სიმბოლურ თანხას ითხო-

ვდა, რაც არქივის დამუშავებას და ფირების ფოტოქაღალდზე დაკონტაქტებას დასჭირდებოდა. აი, ეს ვუამბე თავის კაბინეტში **რამაზ გოგლიძეს**. ნუთითაც არ დაფიქრებულა, ისე გაცა ფულის გადახდის განკარგულება.

რამაზ გოგლიძის სახელს უკავშირდება აგრეთვე „**მერანის**“ გამოცემა, რომელიც „ლელოს“ საჭადრაკო დამატება იყო და **თენგიზ გიორგაძის** რედაქტორობით ჩვენში საჭადრაკო ხელოვნების დანინაურებას მეტი სტიმული მისცა.



*მიხეილ ზარგარიანი. გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი*

ვფიქრობ, მოკლედ უნდა შევეხებო ამ გამოცემის დღის სინათლეზე მოვლენის ამბავსაც. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველო, ქალთა ჭადრაკის წარმატებებით მთელმა მსოფლიომ გაიცნო როგორც საჭადრაკო ქვეყანა, რასაც საფუძველი ვაჟ მოჭადრაკეთა შემოქმედებამ ჩაუყარა 1930-იან წლებში. ჯერ კიდევ მაშინ, „ლელოს“ წინამორბედი გაზეთი „ფიზკულტურელი“ ინიციატივით გამოვიდა და მკითხველს თავისი დამატება „ჭადრაკი და შაში“ შესთავაზა. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ღირსსახსოვარ თარიღად დაფიქსირდა 1984 წლის 26 ივლისი – ამ დღეს გამოვიდა „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ პირველი ნომერი, რომლის სულისჩამდგემელი და ფაქტობრივი რედაქტორი იყო **თენგიზ გიორგაძე** (ზემდგომი ხელმძღვანელების მითითებით, რედაქტორად იწერებოდა **მაია ჩიბურდანიძე**, თუმცა გამოცემის საქმიანობაში მონაწილეობა არასდროს მიუღია თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ქალბატონ **მაიას** საამისოდ არც ეცალა). მე კი ვფიქრობ, ეს მაღალჩინოსანთა ახირება კი არა, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, გონივრული სვლა იყო – მაშინ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა თვითინიციატივით რაიმე ახალ გამოცემაზე ნებართვის მიღებაზე თუ ეს არ იქნებოდა შეთანხმებული მოსკოვთან. იქიდანაც თანხმობა, ცხადია, ყოველთვის როდი მოდიოდა. მყარი არგუმენტი ამ შემთხვევაში ქართველ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო აღიარება და ის იყო, რომ ახალი გამოცემის რედაქტორად მსოფლიოს ჩემპიონი **მაია ჩიბურდანიძე** სახელდებოდა.



„მერანის“ გამოცემა 1991 წელს შეწყდა.

### კრიტიკა მხოლოდ საქმის სასიკეთოდ

1960-იანი წლებიდან მოყოლებული, დიდი გასაქანი მიეცა პროფკავშირის შესაძლებლობების აქტიურად ჩართვას სპორტში. ეკონომიკურად მომძლავრებული ძირითადი პროფკავშირული სპორტული ორგანიზაციები „სპარტაკი“, „განთიადი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „ლოკომოტივი“ ქართული სპორტის საიმედო დასაყრდენ ძალად იქცნენ. მათმა ბაზებმა, სპორტულმა სექციებმა თუ სპორტულმა სკოლებმა მოიცვა მთელი რესპუბლიკა, მათ შორის სოფლად, რაც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ დამსახურება იყო. „ლელო“, რომელიც 1960 წლიდან უკვე ყოველდღიური გამოცემა გახდა, ბუნებრივია, მხარში ედგა ქართული სპორტის, საბოლოო ჯამში კი ახალგაზრდობის შესაძლებლობებისა და ხალხის კეთილდღეობის სასიკეთოდ განეულ დიდ საერთო ძალისხმევას. ამას მოვალეობად მივიჩნევდით და ლელოელი ჟურნალისტები ძალიან პრინციპულებიც ვიყავით, რაც ყველამ კარგად იცოდა. არავის არაფერს ვპატიობდით, რადგან გვწამდა, რომ ჩვენც უპირველესად ფიზიკურად და სუ-





ლიერად ჯანსაღი თაობის აღზრდის სამსახურში ვიდევით. გაზეთი შეურიგებელი იყო ამ სფეროში გამოვლენილ გულგრილობა-უგულისყურობასადმი და ლაზათიანად შერჩეული რუბრიკებით კრიტიკის ქარცეცხლს თავს ატეხდა გულარხეინ ხელმძღვანელებს. ასეთებს განსაკუთრებით შიშის ზარს სცემდა რუბრიკა „**ლახტის წრეში**“. მტრისას, ვისაც გაზეთი „ამ წრეში შეაგდებდა“. ეს რუბრიკა, ისევე როგორც თვით გაზეთის სახელი, ჩვენი ეროვნულ-ხალხური თამაშების ძვირფასი საგანძურიდან შეირჩა. რა ვქნათ, არაერთი ამბიციური ხელმძღვანელის კარიერა თუ დასრულებულა ამ რუბრიკაში მოხვედრით. წინსვლის სტიმულს იძლეოდა შეურიგებლობა, მიუხედავად იმისა, ვინმეს მოსწონდა თუ არა ჩვენი შეუვალი პოზიცია ნაკლოვანებების სამართლიან მხილებაში.



რაკი სიტყვა კრიტიკაზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ქართული სპორტის სამსახურში „ლელომ“ იმთავითვე დაამკვიდრა პირუთვნელობის ტრადიცია, რაც ბრძნული გამოთქმის მოშველიებით ასე შეიძლება ხატოვნად გამოიხატოს: „მოყვარეს პირში უზრახე!“. ინერებოდა ფელეტონებიც. რედაქტორის მოადგილე **ზურაბ ჯაფარიძე** და შესანიშნავი ჟურნალისტი **გივი კაკაბაძე** ამ ჟანრში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ. მკითხველი და მთელი ჩვენი სპორტული სამყარო კარგად იცნობდა უმწვავესი მამხილებელი პუბლიკაციებით **ვლადიმერ მდივანს, ოთარ გელაშვილს, ვიქტორ ბუკინს...** მე ჯერ კიდევ „ლელომდე“, მოსწავლეობის პერიოდში ვაქვეყნებდი კრიტიკულ წერილებს. ამიტომ, როცა ამას საქმე მოითხოვდა, აღარ გამძნელებია შემესრულებინა სარედაქციო დავალებები. რაც მეტი იყო კრიტიკა ჩვენს გაზეთში, მით მეტი საგანგაშო სიგნალები მოდიოდა ხალხისგან – ქალაქებიდან და რაიონებიდან იქ თავჩენილი ნაკლოვანებების შესახებ. ამან გაახშირა სარედაქციო დავალებებით მივლინებები. ძალზე სერიოზულ საქმეზე რედაქტორი ოროს გვაგზავნიდა მივლინებაში ფაქტების შესასწავლად. განსაკუთრებით სერიოზულად კი ითვლებოდა ის საქმე, როცა კრიტიკის ობიექტი პარტიული თუ სამეურნეო ხელმძღვანელი ხდებოდა. მე პირადად, მეტწილად, ეულადაც მიწვედა სარედაქციო მივლინება. ეს კი ყოველთვის გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული – დიდი იყო მოსალოდნელი პროვოკაციის ალბათობა, რაც წინდახედულად რამდენჯერმე ავიცილე თავიდან.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმედია, დღემდე შემორჩა წინა თაობების მკითხველთა მესხიერებას. გადაფურცლეთ „ლელოს“ 1950-1980-იანი წლების ნომრები და იქ გაცილებით მეტს შეიტყობთ, ვიდრე ახლა მე ვიხსენებ. ამ თემაზე კიდევ მაქვს სათქმელი, მაგრამ ჯერ მინდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან გაზეთის კრიტიკული გამოსვლებისადმი დამოკიდებულებას უკავშირდება. ერთი კია, „ლელო“ არ იყო პარტიული გამოცემა და, კიდევ ვიტყვი, პოლიტიკისგან (და არა იდეოლოგიისგან), თავისუფალი იყვნენ ჟურნალისტებიც. ფიზიკური კულტურა და სპორტი



სოციალურ სფეროს განეკუთვნებოდა და პარტიული საბჭოთა თუ სამეურნეო მუშაკები ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ გადაწყვეტილებები. ეს მოტივი გვიხსნიდა მწვანე გზას. ავილებდით ამონაწერს ზემდგომი ხელმძღვანელი სამთავრობო ორგანიზაციების დადგენილებებიდან და მივადგებოდით ნებისმიერ უწყებას თუ ორგანიზაციას. ხსენებულ სფეროში შექმნილ მდგომარეობაზე ყველა ხელმძღვანელს ერთნაირი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. პირდაპირ უნდა ითქვას, სისტემად ჩამოყალიბებულმა ამგვარმა დამოკიდებულებამ დიდი ბიძგი მისცა დარგის წინსვლას, რაზედაც ცხადად მეტყველებდნენ მიღწეული წარმატებები.



შემიძლია პირნათლად ვთქვა: „გაგების მდუმარებით“ არასოდეს მოვკიდებოვართ ნაკლოვანებებს. „ფაქტები დადასტურდა, მიღებულია ზომები ნაკლოვანებების გამოსასწორებლად“ – მართალია, ასეთი იყო პასუხი „ლელოს“ ყველა კრიტიკულ გამოსვლაზე, მაგრამ მთავარი, საქმიანი რეაგირება იყო და არა სიტყვიერი, ნაკლოვანებები მართლაც სწორდებოდა.

### აურზაური სპორტსმენთა ასაკის გამო

უსიამოვნებები ჟურნალისტიკის თანამდევია და მოსალოდნელი მქისე განცდებისთვის მედიის წარმომადგენლები მუდამ შემზადებულნი არიან. ეს ესება, ბუნებრივია, სპორტის სფეროში დასაქმებულ ჟურნალისტებსაც. პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ლელოელებსაც მრავალგზის დაუმსახურებიათ დაუმსახურებელი. აბა, ვინ იფიქრებდა დაპირისპირების მიზეზი, ვთქვათ, სპორტსმენთა წლოვანება თუ გახდებოდა. არადა, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, თითქმის ჩვეულებრივ ამბად იქცა მანამდე იშვიათი მოვლენა – სპორტსმენებისთვის ასაკის გადაკეთება. როცა 1960-იანი წლებიდან „ლელოს“ ჟურნალისტებმა უკვე ყალბისმქნელების საჯარო მხილება არქივებში მოძიებული საბუთებით დავიწყეთ, ბევრი არაკეთილმოსურნე გავიჩინეთ სპორტულ ორგანიზაციებსა და სპეციალისტებში. რაკი დაგემოვნებული სიყალბე არ ეთმობოდათ, მერე მათაც სისტემა დახვეწეს და ხშირად ჩანანერების შეცვლას ახერხებდნენ არქივებშიც კი. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ წლების გამოძახილი ახლაც ჩრდილივით თან სდევს ქართულ სპორტსაც და თვით ცნობილ ათლეტებსაც. ისინი, დღეს უკვე ვეტერანი სპორტსმენები, უამრავ სპორტულ გამოცემებში თავის დროზე დაფიქსირებულ დაბადების თარიღს უარყოფენ და ჟურნალისტებს იმ წყაროებით სარგებლობას უპასუხისმგებლობად და შეცდომად უთვლიან (!!).

იმას არ ვამბობ, რომ სპორტის სფეროში უწესრიგობის მონესრიგება თვითმიზნად გვქონდა დასახული ლელოელებს, უბრალოდ იმ საქმეს ვაკეთებდით, რაც მოვალეობად მიგვაჩნდა, შეზღუდული და დაფალმანდებული კი იმიტომ არ ვიყავით, რომ სპორტზე ვწერდით და არა პოლიტიკაზე, თუნდაც ცხოვრების სხვა სფე-





1964 წ. ლელოელები და მათი მეგობრები

როზე. ამასთან, ცხადია, ზედმიწევნით ვუფრთხილდებოდით გაზეთის ავტორიტეტს და მკითხველის ნდობას. საერთოდ, არ ვლაღატობდით ობიექტურობას, არ ვკადრულობდით, სიძულვილის ენით ლაპარაკს – ყოველი სიტყვა იწონებოდა. კარგად ვიცოდით, რომ შიდა-რესპუბლიკური პირველობების გაშუქებისას ერთ გადაბრუნებულ სიტყვას შეიძლება გამოენვია დაპირისპირება არა მხოლოდ სპორტის გულშემატიკივრებში, ქალაქებსა და რაიონებს, მხარეებს შორისაც კი. „ლელოს“ არასდროს გადაუზღვევია ამ პრინციპისთვის და ეს არც არასოდეს მოხდებოდა.

\*\*\*

ვიმეორებთ, მართალია, „ლელო“

პოლიტიკური გამოცემა არ იყო, მაგრამ მკაცრ აუცილებლობად მიიჩნეოდა უმთავრესი საბჭოური თარიღების და დღესასწაულების აღნიშვნა. არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ მისადაგებულად ამას „ლელო“ სპორტის პროპაგანდისთვის იყენებდა. სხვა საქმე იყო რედაქციის ან რედაქტორის დასჯისთვის მიზეზ-საბაბის გამო-ნახვა, თუ ეს იქ, ზემოთ, დადგებოდა დღის წესრიგში. ასე ჩამოაშორეს რედაქციას ამ გაზეთის ხელმძღვანელად უკვე მეორედ მოხმობილი **მიხეილ კაკაბაძე** 1976 წელს. ეს იყო მართლაც მთელი რედაქციის დასჯა. რამდენიმე ცნობილმა ჟურნალისტმა უხმაუროდ (მაშინ ხმაური შეუძლებელი და დასჯადი იყო) რედაქტორთან ერთად თავისი ნებით დატოვა „ლელო“. თუმცა ისინი კვლავ დარჩნენ სპორტული ჟურნალისტიკის სამსახურში და მართლაც გაამრავალფეროვნეს და უფრო საინტერესო გახადეს სხვა გაზეთები, რადიო თუ სატელევიზიო სპორტული გადაცემები.

2010 წელს **ედუარდ შევარდნაძეს** ჟურნალისტი **სალომე ხარატიშვილი** ეწვია და რუბრიკისთვის „შაბათის სტუმარი“ ინტერვიუ ჩაიწერა „ლელოს“ დავალებით. კითხვაზე თუ რა იყო 1976 წელს რედაქტორობიდან კაკაბაძის დათხოვნის მიზეზი, ცეკვას მაშინდელმა პირველმა მდივანმა უპასუხა: „ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ „ლელოს“ რედაქტორობიდან მგონი, ზესტაფონში მომხდარი ავარიის გამო გაათავისუფლეს“. აი, ასე, ესეც შენი საბაბი...

### საპარტიველო უპირველეს ყოვლისა!

იყვნენ, ნამდვილად ბლომად იყვნენ ადამიანები, საბჭოთა პერიოდის პარტიული თუ სამეურნეო დარგის მუშაკები, რომლებიც თავს მოვალედ თვლიდნენ, ხელიდან არ გაეშვათ ქართული სპორტის მაქსიმალურად დახმარება-თანადგომის შესაძლებლობა. ვინც მოინდომებდა, საამისო მიზეზი, როგორც იტყ-



ვიან, თავზე საყრელი იყო. ძნელი სათქმელია, რა მოტივით, თუმცა, სპორტის სფეროში, მოსკოვი ამას გაგებით ეკიდებოდა. არაფერს მივტირით და არაფრის ნოსტალგია გვაქვს, მაგრამ თავის მოტყუებაც არ გვინდა. რაც იყო და რისი მომსწრეც ვართ, მოვალეობად მიგვაჩნია ქართული სპორტის მატრიანეში დარჩენა სამართლიანობისთვის. როგორც ჩვენი **პატრიარქი** ბრძანებს: „ადამიანმა უნდა გააანალიზოს წარსული, ანმყო და მომავალი. ხშირად წარსულს ვაიდეალებთ. არიან ადამიანები, რომლებიც პირიქით, წარსულში ყველაფერს ნეგატიურს ხედავენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა პერიოდში არის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, თუ ესა თუ ის მოვლენა დადებითია, უნდა მივიღოთ, თუ უარყოფითია – არა“. აგრეთვე არ შემეძლია არ დავეთანხმო საქართველოს ცეკვას ყოფილ პირველ მდივანს (1985-1989) **ჯუმბერ პატიაშვილს**, რომელიც თავის წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ“ (თბილისი, გამომცემლობა „პალტრა L“, 2013) წერს: „ეს დღეს არის, რომ საბჭოეთს ცინიკურად იხსენიებენ, მაგრამ მაშინ, იმ დროსა და იმ მოცულობაში, დიახ, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა მხოლოდ სახელმწიფო კი არ იყო, რომლის წინაშეც პარტიულ მუშაკებს განსაკუთრებული ვალდებულება გექონდა, არამედ – ჩვენი სამშობლოც!“ (გვ. 31). ამ სტრიქონების ავტორის პირველკაცობისას საქართველომ ბევრი სიკეთე ნახა, სპორტი ხომ ერის ღირსების საქმედ იქცა.

არაერთი გაიხსენებს იმ დროს, როცა რეალობას არავინ გაურბოდა და ხმა-მაღლა აცხადებდა, რომ სპორტს არ უჭირდა და საქმე კარგად მართლაც იქ იყო, სადაც ამ სფეროს პარტიული ხელმძღვანელი მფარველობდა – რაიკომის თუ ქალაქკომის პირველი მდივანი, ანუ როგორც ამბობდნენ მაშინ, – პარტიულ ლიდერს „უყვარდა სპორტი“. ერთხანს საქმე იქამდეც მივიდა, რომ წამბაძველობით ერთიმეორეზე უკეთესი საქმეები კეთდებოდა და საბოლოო ჯამში ამით მოგებულნი მხოლოდ ქართული სპორტი დარჩა. „ლელო“ კვალში მიჰყვებოდა მოვლენებს – ფრთებს ასხამდა მაღალი ოსტატობისა და მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისთვის განეულ შრომას. ჩვენი მიღწევები საკავშირო თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე საფუძვლიანი სიამაყისა და ზომიერი გაამაყება-ქედმაღლობის საბაზსაც იძლეოდა. ისე კი, განსაკუთრებულ პატივში ფეხბურთი იყო. ამ „სიყვარულს“ დროდადრო სპორტული ბაზების, მათ შორის დიდი სტადიონ-არენების (მაგალითად, ტყიბულში, ლანჩხუთში) მშენებლობა ემატებოდა. სოფლადაც მთელ საბჭოთა კავშირში თითოთი საჩვენებელი, ვთქვათ, ნატანებსა და შემოქმედში (მახარაძე) და ვაზისუბანში (გურჯაანი) სპორტული კომპლექსები აღმოცენდა. იყო ურთერთის გაჯიბრება-თავმონონება და ამ ენთუზიაზმს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, აღფრთოვანებული ეხმაურებოდა საკავშირო პრესა და ტელევიზია. ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ „ლელოს“ რედაქციასთან.

\*\*\*

1970 და 1980-იანი წლების პირველ ნახევარში იგრძნობოდა, რომ საქართველოს პარტიულმა ლიდერებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში დროულად და სხვებზე უკეთ აუღდეს ალღო ორგანიზაციული სიახლეების



ძიებას, რასაც ზედმინევენით კარგად უხამებდნენ პარტიის სახელმწიფო სოციალურ პროგრამას. გამოცდილების გასაზიარებლად მოკავშირე რესპუბლიკებიდანაც კი ჩამოდიოდნენ ნოვატორობით ადრევე გამორჩეულ ჩვენს რესპუბლიკაში. და ეს არ იყო შემთხვევითი. ტრადიცია გრძელდებოდა. ჯერ ხომ კიდევ 1930-იან წლებში მთელ საბჭოეთში პირველად ჩვენთან შეიქმნა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლები განათლების სისტემაში, გაიხსნა პირველი სპორტული სკოლა-ინტერნატი, რომლის ეფექტი და აქტუალობა გაცდა საბჭოთა კავშირსაც კი – სხვებზე უნინ უცხოელთაგან გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადანერგა. შემდეგშიც მხოლოდ ჩვენგან გავრცელდა საბჭოთა კავშირში ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლების სისტემა. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გვინდა აქვე გავიხსენო ერთი ფაქტიც სერიიდან: „ინიციატივა დასჯადია“. თბილისის სპორტის სასახლე 1961 წელს გაიხსნა. სწორედ იმავე პერიოდში ჩამოვიდა თბილისში **ნიკიტა ხრუშჩოვი**, რომელმაც სხენებული ნაგებობით თავმოქმნე საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელებს იმავე სასახლის გუმბათქვეშ თავის გამოსვლაში „ცივი შხაპი“ გადაასხა. „რა დროს სპორტის ასეთი სასახლის მშენებლობა იყო, აჯობებდა ამ ფულით საბავშვო ბაგა-ბაღები აგეშენებინათო“ – თითი დაუქენია ლოჟაში გაღურსულ საქართველოს პარტიულ ბოსებს ხრუშჩოვმა. ნუ დაუკარგავთ დამსახურებას **გიორგი გეგეშიძეს**, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი იყო და მშენებლობებს კურირებდა. ეს მისი თაოსნობით აიგო მართლაც რომ ქვეყნის ერთ-ერთი სიამაყე – თბილისის სპორტის სასახლე, ისევე როგორც მეტროპოლიტენი ჩვენს დედაქალაქში.

\*\*\*

მოკლედ უნდა ითქვას სახელმწიფო სპორტკომიტეტის კოლეგიის წევრებზეც. მისი შემადგენლობა ყველაზე ავტორიტეტული სპორტული ორგანიზაციებისა და იმ დარგების (პარტია, კომკავშირი, პროფკავშირი, განათლება, ჯანდაცვა, არმია) ხელმძღვანელებით იყო წარმოდგენილი, ვისაც თავისი წილი პასუხისმგებლობა სამსახურეობრივად ეკისრებოდა მოსახლეობისთვის (ფართო გაგებით) ფიზკულტურისა და სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ყველაზე აქტიურად იყო ჩართული პროცესებში ჯერ კიდევ კომკავშირის ცეკა-დან მოყოლებული **ნუგზარ ფოფხაძე**. კომკავშირის ცეკას მდივანი ფიზიკურ კულტურასა და სპორტსაც კურირებდა. სპორტი მისთვის უცხო არ ყოფილა – თამაშობდა კალათბურთს, ხელბურთს მსაჯობდა. შესანიშნავად ესმოდა ახალგაზრდების პიროვნულ ფორმირებაში სპორტის როლი და მტკიცედ იცავდა სპორტის მასობრიობის, ბავშვთა სპორტის საფუძვლების და ამით საერთოდ ქართული სპორტის ბალავარის განმტკიცების აუცილებლობის პრინციპებს. სადაც უმუშავია, იყო მრავალი სიახლის წამომწყები და მისი არაერთი წინადადება იქცა რეალობად. ამასთან იყო ჟურნალისტიკის დიდი ქომაგი და თავადაც შესანიშნავად უჭრიდა კალამი.

რაკი განზრახული გვაქვს „ლელოს“ 80 წლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით იმ ადამიანების ღვაწლიც გავიხსენოთ, ვინც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებაში და ჩვენი





ეროვნული სპორტული მატჩანეს გამდიდრებაში, ბარემ აქვე ვიტყვი **ნუგზარ ფოფხაძის** სხვა დამსახურებებზე. მისი პირდაპირი მოვალეობა სამსახურეობრივად არასდროს ყოფილა პროცესების უშუალო მართვა ქართულ სპორტში. ის ან კურატორი იყო და სპორტისადმი ყურადღებას სამსახურეობრივი ცენზი ავალდებულებდა. ყველაზე მნიშვნელოვნად კი უნდა მივიჩნიოთ განათლების მინისტრის მოადგილედ მისი მუშაობის პერიოდი, სადაც, როგორც უნარიანმა ორგანიზატორმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. მანამდე არასდროს ყოფილა ისე დახვეწილი და სისტემურად გამართული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და ბავშვთა სპორტის განვითარება—სრულყოფის პროცესი საქართველოში, როგორც ხსენებულ თანამდებობაზე ნუგზარ ფოფხაძის მუშაობის დროს. მისი ძალისხმევით გაფართოვდა სპეციალიზებული და ოლიმპიური რეზერვის მომზადების სპორტული სკოლების ქსელი, გაჩნდა მოზარდთა ახალი სპორტული შეჯიბრებები. პირადად ვარ მოწმე და მონაწილე, მისი ინიციატივით როგორ შეიქმნა პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდური დამატების საფართო სპორტული ჟურნალი „მართვე“. მანვე დიდი როლი ითამაშა ამ ჟურნალის სახელის შერჩევა-დამტკიცებაში, ახალი გამოცემის რედაქტორსა და მის მოადგილესაც პირადად გაუწია რეკომენდაცია. მერე შეიქმნა მისივე ინიციატივით ბავშვთა საკალათბურთო გუნდი „მართვე“, ბევრი სიკეთის ჩამოთვლა შეიძლება... და კიდევ, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, როცა სათავეში ედგა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტს, გაატარა რეფორმები, უნივერსიტეტში პირადი თაოსნობით გახსნა გაზეთ „ლელოს“ მასტერკლასი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი სპორტის ჟურნალისტიკით იყვნენ. მასტერკლასის გაძლოლა მე მომანდო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიყავი, არამედ იმიტომაც, რომ ადრე იგივე ფაკულტეტი, აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი მქონდა დამთავრებული. „ლელოს-თვისაც“ და ჩემთვისაც, ცხადია, ეს დიდი პატივი იყო.



აქვე გავიხსენებ იმ ადამიანებსაც, რომლებიც სპორტის განხრით პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ თუ განათლების სისტემაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობისას ყველაფერს აკეთებდნენ ქართული სპორტის სასიკეთოდ. აი, ისინიც: **ნუგზარ ენდელაძე, ნუგზარ ფოფხაძე, ჯუანშერ კვარაცხელია, ვახტანგ მახარაძე, ოთარ ქინქლაძე, როზა პოპოვა, ომარ სიამაშვილი, ზურაბ ლომიძე, რამაზ ლომინაძე, გიგლა ბარამიძე, ივანე ბოჭორიძე, ვაჟა შუბლაძე, თემურ ჟღენტი, გიორგი მაკასარაშვილი, ლევან თეფიაშვილი, ვლადიმერ ისელიძე, რევაზ აინურაძე...**

60-იანი წლები იწურებოდა საქართველოში „სპორტვაჭრობის“ ქსელი რომ გაიხსნა. მაშინ ეს ჩაითვალა ღირსსახსოვარ მოვლენად – ერთხელ და სამუდამოდ გვარდებოდა სპორტული ფორმით და ინვენტარით ქართული სპორტის მოთხოვნილების უზრუნველყოფის პრობლემა. **ავთანდილ პაიჭაძე** იყო თავიდან ამ ქსელის ხელმძღვანელი. მერე, კერძოდ, 1983 წლიდან ნამდვილად დიდი გულის კაცს და პატრიოტ **მელორ ტყეშელაშვილს** ანდეს ეს საქმე. ნდობა და ავტორიტეტი მალე მოიპოვა მან და მთელმა მისმა სისტემამ, რასაც უპირველ-





*ქეთევან ლოსაბერიძე*

სად თვით ხელმძღვანელის საოცარი გულისხმიერება განაპირობებდა.

იმავედროულად საქართველოში სპორტული ნაწარმის ქსელის გაფართოებაც დაიწყო. პატარა და უმნიშვნელო საამქროების გვერდით გაჩნდა გიგანტი – თბილისის სპორტ-ნაწარმის ფაბრიკა „ლელო“, რომლის გენერალურ დირექტორად დაინიშნა ლეგენდარული ფალავანი **რომან რურუა**. ამ მსხვილმა საწარმომ მალე სახელი გაითქვა მთელ საბჭოთა კავშირში, იღებდა დაკვეთებს. მოგვიანებით ამ საწარმოს გაფართოება და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე აყვანა პარტნიორის, ცნობილი ფირმა „კაპას“ საქართველოში შემოსვლით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა პროექტი ჩაიშალა და სხვებმა ისარგებლეს მოსალოდნელი სიკეთით.

\*\*\*

საბჭოთა პერიოდში ძალოვან სტრუქტურებში დიდი მოთხოვნა იყო სპორტსმენებზე. ცნობილ ათლეტთა

უმეტესობა ან პირდაპირ იურიდიულ განათლებას იღებდა ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მაინც ეუფლებოდა ამ პროფესიას. **ნიკო კეცხოველის** რექტორობის პერიოდიდან მოყოლებული, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის წყალობდა ასეთ ათლეტებს და ეამაყებოდათ კიდევ მათი.

თუ რა განაპირობებდა ძალოვანი სტრუქტურების დაინტერესებას, ძნელი ასახსნელი არ არის. სპორტში ამ ადამიანებს მიღებული ჰქონდათ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი წრთობაც, იყვნენ კომუნიკაბელურები და ხალასები ურთიერთობებში, ჰქონდათ ავტორიტეტი საზოგადოებაში. და, რაც მთავარია, ისინი მუდამ მზად იყვნენ მხარში ამოსდგომოდნენ სპორტსმენებს და სპორტულ ორგანიზაციებს პრობლემების მოგვარებაში. იქ, სადაც საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე იდგნენ ყოფილი სპორტსმენები, მაღალი იყო საზოგადოების ნდობაც. რალა თქმა უნდა, მეგობრობდნენ „ლელოსთან“, რომელიც თითოეული მათგანისთვის ესოდენ ახლობელი იყო მთელი მათი სპორტული კარიერის განმავლობაში. „ლელო“ სპეციალურ რუბრიკაში აშუქებდა ვეტერან სპორტსმენთა საქმიანობას საზოგადოებრივ სარბიელზე. შსს-ს მაღალჩინოსანთა რანგში მათ ხშირად ვხვდავდით „დინამოს“ სტადიონზე თუ სხვა სპორტულ ობიექტებზე გამართულ მნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებებზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მეტწილად სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ. ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ განსაკუთრებით დაგვაზახსოვრდა შესანიშნავი პიროვნებების,



ვეტერანი სპორტსმენების, ფეხბურთელ **დემურ მიქაძის** და მოჭიდავე **მერაბ ლუღუშაურის** სპორტისადმი თანადგომა და საქმისადმი მაღალპროფესიული დამოკიდებულება.

\*\*\*

1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონრეალში ჩატარებამდე გაცილებით ადრე გახდა ცნობილი, რომ მომდევნო თამაშებს, 1980 წელს, მოსკოვი უმასპინძლებდა. ბუნებრივია, ამის გათვალისწინებით, საბჭოთა სპორტულ მოძრაობაში პასუხისმგებლობის ხარისხი კიდევ უფრო ამაღლდა. მოთხოვნები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმიც გაიზარდა. იმ პერიოდისთვის წინა ოლიმპიადებში საქართველოს სპორტსმენთა მიერ უკვე მოპოვებული წარმატებების განზოგადება „ლელომ“ მთავარ ამოცანად დაისახა, რაც სპორტსმენთა ახალ თაობას – ჩვენი ოლიმპიელების მეგვიდრეებს დიდ სტიმულს აძლევდა.

გადავხედოთ მოსკოვში გამართულ ზაფხულის XXII ოლიმპიურ თამაშებში ქართულ მონაგარს. სტატისტიკა ასეთია: 16 მონაწილე, 12 მედალი. რა თქმა უნდა, შთამბეჭდავი მაჩვენებელია. კარგად მახსოვს როგორი მკაცრი იყო მოთხოვნები ნაკრებ გუნდებში სპორტსმენთა მოსახვედრად. თანაბარი სიძლიერის რამდენიმე ათლეტიდან, სხვათა შორის, შერჩევა უკვე ნაციონალობის მიხედვითაც კი ხდებოდა. ცხადია, ხმამაღლა ამას არავინ ამბობდა, მაგრამ ყველასთვის ყველაფერი კარგად იყო გასაგები. რამდენიმე ჩვენი ოლიმპიური კანდიდატიც დაიჩაგრა, განსაკუთრებით ჭიდაობის სამყაროდან.

არა მხოლოდ საქართველოდან და საბჭოთა კავშირიდან, არამედ ევროპიდანაც მოსკოვში **ქეთევან ლოსაბერიძე** პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქალი გახდა მშვილდოსნობაში. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბადალი არ ჰყავდა **ვანტანგ ზლაგიძეს**; ძიუდოში – **შოთა ხაბარელს**. ოთხ ჩვენს ოლიმპიელს წილად ხვდა ვერცხლის მედალი – **ვიქტორ სანევეს** და **საიდა გუნბას** მძლეოსნობაში, **თეიმურაზ სუბულურს** ძიუდოში და **ალექსანდრე ანპილოგოვს** ხელბურთში. ოლიმპიური ბრინჯაოთი გაიმდიდრეს თავისი სპორტული ბიოგრაფია **ალექსანდრე ჩივაძემ**, **თენგიზ სულაქველიძემ** და **რევაზ ჩელებაძემ**, კალათბურთელმა **ნიკოლოზ დერიუგინმა**.

მოსკოვის ოლიმპიადა „ლელოს“ ფურცლებზე ამ გაზეთიდან მივლინებულმა ერთადერთმა ჟურნალისტმა **ოთარ ნოზაძემ** ფართოდ გააშუქა.

### „ლელო“ და საზოგადოება

სულაც არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა პერიოდში არც ერთ ქართულ გამოცემას ისეთი საყოველთაო ყურადღება და სიყვარული არ რგებია, როგორც ეს ხვდა წილად „ლელოს“. ამას დიდ პატივად მიიჩნევა და და მუდამ პასუხისმგებლობით აღიქვამდა თითოეული ლელოელი. ხშირად სტუმრობდნენ რედაქციას არა მხოლოდ სახელოვანი სპორტსმენები და სპორტის სპეციალისტები. აქ შეხვედბოდით კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს, სხვა სფეროების ცნობილ ადამიანებს. მათი უმეტესობა მიხეილ კაკაბაძის, ირაკლი უგულავას, ბიჭიკო ქორქიას, ნოდარ გუგუშვილის, თენგიზ გიორგაძის მეგობრები იყვნენ.





**1973 წლის 7 ივნისი. ლელოს რედაქციის სტუმრები. მარცხნიდან: ბორის პაიჭაძე, ოთარ კალაძე, ვახტანგ ბალავაძე; მასპინძელი – თენგიზ გიორგაძე**

გამოჩენილი ადამიანების მოსაზრებები, შეხედულებები და შეფასებები სპორტის რაობაზე და ამ ფენომენის მნიშვნელობაზე, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა ჩვენს რესპუბლიკაში როგორც მაღალი მიღწევების, ისე მასობრივი სპორტის განვითარებას.

საზოგადოებრივ მოღვაწეთა „ლელოსთან“ ურთიერთობას საფუძველი ჩაუყარეს მარჯანიშვილებმა. 1950-იან წლებში, როგორც უკვე ვთქვით, ელბაქიდის აღმართზე №13 სახლში ბინადრობდა „ლელო“. მარჯანიშვილის თეატრი კი, მოგეხსენებათ, იქვეა, ვერის ხიდი ჰყოფდა ერთმანეთისგან. მსახიობებს და ჟურნალისტებს სპორტის სიყვარული აერთიანებდათ. ამასთან, იმ ავადსახსენებელ დროს, პოლიტიკაზე გულდია მსჯელობა, 30-იანი წლებიდან გამოყოფილი შიშით ოფიციალურად არა, მაგრამ მაინც ტაბუდადებული იყო. ადამიანებმა

გულწრფელი ურთიერთობისთვის გამოსავალი სპორტში ჰპოვეს – ილაპარაკე და იმსჯელე რამდენიც გინდა, თუ გსურს, იკამათე კიდევ, გამოთქვი საკუთარი აზრი! ეს სჯავ-კამათი, პირდაპირ თუ ირიბად, იმ სატყვივარის ქვეტექსტებსაც შეიცავდა, რაზეც ღიად და პირდაპირ ლაპარაკი სარისკო საქმე იყო. სპორტის თემა ასეთ ინტერპრეტაციებს მეტ-ნაკლებად მაინც იტანდა.

ქართული სპორტის იმდროინდელი გაქანება ნამდვილად იძლეოდა ამოუწურავი განსჯა-შეფასების საბაბს. სტადიონი კი, მოგეხსენებათ, გულში ჩაგუბებული ჩუმი პატრიოტიზმის ემოციური გახმოვანების ადგილი იყო. „ლელო“ მხარს უჭამდა საერთო განწყობას და ზღვარგადაუსვლელად, მაგრამ პატრიოტთა გულისთქმას ყველასთვის გასაგებად ეხმიანებოდა. აი, მაშინ კი გაჩნდა საფრთხე, როცა რეჟიმმა ეროვნულ ენებზე გამოშვებული გაზეთების რუსულად დუბლირებული გამოცემის გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ, თუ რატომ ვერ იხილა დღის სინათლე რუსულენოვანმა „ლელომ“, მოგვიანებით გიაბობთ.

\*\*\*

დღისით თუ რედაქციაში იყო ხშირი სტუმრიანობა, საღამოობით იმავე შენობაში, საამქროშიც, გამომცემლობის მუშაკები თუ ყველასთან გაშინაურებული საზოგადოდ ცნობილი ადამიანები იმ დაზგასთან იყრიდნენ თავს, სადაც „ლელოს“ გვერდები იკვრებოდა. ერთხელ, მსჯელობის თემა გახდა ერევანში თბილისის „დინამოსთან“ „არარატის“ დამარცხება. ეს იყო ერევნელებთან ადრე წაგებისთვის თბილისელთა საპასუხო დამაჯერებელი გამარჯვება.





რედაქტორი **მიხეილ კაკაბაძე** „ლელოს“ დამკაბადონებელთან საქმეს მორჩა თუ არა, მოკამათებებისკენ შებრუნდა, მსჯელობაში ჩაერია და გამოაცხადა: მატჩის მიმოხილვა მზადაა, ვინც კარგ სათაურს მოიფიქრებს, პრემიას ჩამოვდივარო. „რევანში, ერევანში!“, ეს მყისიერი გართიმვა თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა **ქართლოს კასრადემ**. უკეთესს ვინ იტყოდა! გაზეთში ასეც დაიბეჭდა.

სმირად საინტერესო მასალებს „ლელოს“ ქომაგები უშუალოდ საკორექტორო ანაბეჭდებში იქვე, გაზეთის გვერდების დასაკაბადონებელ მაგიდასთან კითხულობდნენ და ყოფილა შემთხვევები რედაქციას (ნომერზე მორიგე რედაქტორს) მათი შენიშვნები გაუთვალისწინებია.

მაღალკვალიფიციური კადრები ყოველთვის და ყველა დროში ფასობდნენ. „ლელო“ არა მხოლოდ თავისი საქმის ზედმინევენით კარგად მცოდნე შემოქმედებითი ადამიანებით, არამედ მაღალი დონის ტექნიკური პერსონალითაც ცნობილი იყო.

სპორტული გაზეთი, სხვა გამოცემებთან შედარებით, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ პერიოდის ტექნიკური პროგრესის კვალობაზე რთული საკეთებელი იყო. ამიტომ პირდაპირ ნადირობდნენ ჩვენს ტექნიკურ მუშაკებზე, განსაკუთრებით დიდი იყო მოთხოვნა გვერდების დამკაბადონებელ თავის საქმის ნამდვილ ოსტატებზე. სხვებზე მეტად პარტიული გაზეთები აქტიურობდნენ, რომელთანაც უარის თქმა არ გამოგვდიოდა, კომპარტიის ცკ-ის გამოცემები იყვნენ და იმიტომ. ბუნებრივია, ამ გაზეთებსაც ჰქონდათ უკანასკნელი ახალი სპორტული ამბების მკითხველამდე სხვებზე დასწრებით მიტანის ამბიცია. დასაბეჭდად გაზეთის გაგზავნის გრაფიკს ცეკა გვიწესებდა ყველა გამოცემას. მთავარი პარტიული გაზეთები სტამბაში ჩვენზე ორი საათით გვიან იგზავნებოდა, რაც სრულიად საკმარისი იყო მკითხველს დილით სპორტის ცინცხალი ამბები მათგან შეეტყო. ეს ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც ამ გაზეთების ავტორიტეტის, ისე ტირაჟის გაზრდაში. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ „კომუნისტში“, საერთოდ, ბრწყინვალე ადამიანები და ისეთი ლიტერატორები მუშაობდნენ, უკეთესი რომ არ შეიძლება. ჩვენ გვექონდა სამაგალითო მეგობრული ურთიერთობა, როგორც კოლეგებს ერთმანეთთან. ინიციატივები და მითითებები სპორტის გაშუქებაშიც კი მათთან ცეკ-დან მოდიოდა. დილით „კომუნისტი“ მაგიდაზე ხვდებოდა ყველა მაღალჩინოსანს და ეჭვიც არ მეპარება, ისინიც კი ამ გაზეთის კითხვას სპორტის ახალი ამბების გაცნობით იწყებდნენ.

საბჭოთა პერიოდის უპირველეს ქართულ გაზეთ „კომუნისტში“ სხვადასხვა დროს, სპორტს მეტწილად აშუქებდნენ „ლელოდან“ გადასული ჩვენი ჟურნალისტები.

## ის, რაც საზოგადოებას ვერ იხილა

„ლელოს“ ისტორიაში არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი და ზოგიერთ მათგანზე აუცილებლად უნდა ითქვას. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მოსკოვმა კონტროლის გამკაცრება გადაწყვიტა ეროვნულ ენაზე გამოშვებულ დარგობრივ რესპუბლიკურ გაზეთებზე.

საქართველოში, ცენტრის ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, რუსულ ენაზე დუბლირებული გამოდიოდა „სოფლის ცხოვრება“, „სახალხო განათლე-



ბა“, „ნორჩი ლენინელი“... რედაქციებს ემატებოდა მთარგმნელთა შტატი, რედაქტორს – 10 მანეთი.

გრძელდა „საიდუმლო“ შეტყობინება სპეცფოსტით, ცხადია, ჩვენც მივიღეთ. ამოიწურა ვადები, მაგრამ „ლელო“ რუსულად დუბლირებული არ გამოსულა. ვიცოდი, ასე იოლად არ დასრულდებოდა საქმე. ერთ დღესაც მთავრობის ტელეფონმა დარეკა – ცეკაში დამიბარეს. ჯერ სექტორის გამგეს, **რევაზ აინურაძეს** შევხვდი. ავუსხენი მიზეზი. მიმიყვანა **ნუგზარ ენდელაძესთან**, ის პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო. ახლო ურთიერთობა ამ ბრწყინვალე ადამიანთან მანამდე არასდროს მქონია, მაგრამ ვიცოდი, რომ ვეტერანი მორაგბე იყო და რაინდული თვისებებით გამორჩეული კაცის სახელი ჰქონდა საზოგადოებაში. „ლელო“ ძალიან უყვარდა. რეზოს გადახედა. რეზომ კი... თავად გეტყვითო.

გულდასმით მომისმინა, მერე წამოდგა, მომიახლოვდა, მხრებზე ღონიერი მკლავები მომხვია და მითხრა: კარგი, ყველაფერი გასაგებია, **ენუქიძეს** თავად დაველაპარაკებო – ერთად აღარ შევსულვართ ცეკას იდეოლოგიის მდივანთან.

ვიმეორებ, ხალხს იმიტომაც უყვარდა „ლელო“, რომ სპორტის მეშვეობით შეფარულად, მაგრამ გონივრულად ეხმიანებოდა პატრიოტულ გრძნობებს. პირდაპირ თუ ქვეტექსტით, საგაზეთო პუბლიკაციებში, შეძლებისდაგვარად, არც მსაჯებისა და მათი დამკვეთ-მფარველების აშკარა ძალმომრეობის მხილვას ვერიდებოდით.

„როგორც კი ყველაფერ ამას რუსულად წაიკითხავენ (თანაც არანაირი გარანტია არ იყო, რომ თარგმანში მინიშნებებს ვინმე გვერდს აუვლიდა და თავისი სახელი არ დაერქმეოდა ქვეტექსტს), გაზეთ „პრავდის“ მონინავეში ხშირად ვიქნებით კრიტიკის ობიექტი და არ აგვცდება უსიამოვნებები, ხოლო თუ გარდავიქმნებით, დავკარგავთ ხალხის სიყვარულს“ – აი, ეს იყო ჩემი არგუმენტი. ყველაფერი ამით დამთავრდა. ჩემთვის უცნობი დარჩა, რა არგუმენტი ჰქონდა მოსკოვთან საქართველოს ცეკას.

## ტირაჟი და შემოსავალი

სპორტზე ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად პრესის ჯიხურებთან რიგში დგომით იწყებოდა ყოველი დღე ჩვეულებრივი მკითხველისთვის. ამ ჯიხურებთან ბოლო ეგზემპლარის გაყიდვამდე ტრადიციული ფრაზა გაისმოდა: „ლელო“, „თბილისი, „კომუნისტი“! ბევრი რჩებოდა უგაზეთოდ. გადანოდება და „მეც ამიღე“ გამორიცხული იყო, ამას რიგში მდგომნი არ დაანებებდნენ. თუ შეგაგვიანდებოდა, პრესის ჯიხურებში ჩვენი გაზეთი ისევ ნაცნობობით ან რომელიმე პარტიულ გამოცემასთან დამატებით უნდა აგელო. მერე ასეთი ტენდენციაც დამკვიდრდა – დახლქვეშ გადამაღული იყიდებოდა „ლელო“ ორ და სამამაგ ფასში. სხვათა შორის, „დინამოს“ სტადიონზე, სპორტულ ბაზებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებშიც, მსხვილ საწარმოებში, სხვაგან და სხვაგან სპეციალურ შემინულ სტენდებზე გამოკრული იყო „ლელოს“ ყოველი ახალი ნომერი და ნებისმიერს ეძლეოდა ამ გაზეთის წაკითხვის შესაძლებლობა. აღარაფერს ვამბობთ ბიბლიოთეკებზე, სადაც ახალი პრესის გასაცნობად მკითხველის აბსოლუტური უმრავლესობა „ლელოსთვის“ შედიოდა. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ახსოვთ იმ თაობის ადამიანებს.



80-იანი წლების მეორე ნახევარი. „ლელო“ პოპულარობის ზენიტშია. ყოველდღიურმა ტირაჟმა 365 ათასს მიაღწია. მაგრამ ეს ზღვარი არ იყო. იქნებოდა მეტიც, შეზღუდული რომ არ ყოფილიყო ხელმოწერა. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში, „ლელოდან“ მიღებული, ყოველწლიური მოგება მილიონ 200 ათას მანეთი იყო გეგმიური. რატომღაც, გადაჭარბებით გეგმის შესრულება, ამ შემთხვევაში, სულაც არ მიიჩნეოდა სასურველად. ამას არც არავინ ითხოვდა რედაქციებისგან, ჩვენ მხოლოდ შემოქმედებით საქმიანობაზე ვიყავით პასუხისმგებლები. ერთი რამ რედაქტორებისთვის კი ცნობილი იყო – მაშინ არავინ დაუშვებდა სხვა გამოცემათა ტირაჟი რესპუბლიკის მთავარ პარტიულ გაზეთზე მეტი ყოფილიყო. თანაც „კომუნისტი“ და ორჯერ დიდი ფორმატის სხვა გაზეთები – ორი კაპიკი, მათი ნახევარი ფორმატის „ლელო“ კი... ერთი კაპიკით მეტი ღირდა. მაღალი წლიური შემოსავლის გარანტი ესეც იყო.

ჩვენ ცალკე ბუღალტერია არ გვქონია. ფინანსურ საკითხებს წარმართავდა ცეკას დაქვემდებარებული გამომცემლობა „სამშობლო“. ფული პარტიულ ბიუჯეტში შედიოდა, საიდანაც გამომცემლობას მხოლოდ რედაქციების მიერ ფაქტობრივად განეული ხარჯები უბრუნდებოდა. ყოველი ახალი წლის დასაწყისში, როგორც წესი, რედაქტორებს გვიგზავნიდნენ განვლილი წლის ფინანსურ ანგარიშს. იმ ეპოქის ბოლო წლებში „ლელოს“ ყოველწლიური შენატანი ბიუჯეტში მილიონ 200 ათასი მანეთი იყო. შედარებისთვის ვიტყვი, რომ, როგორც მაშინ ამბობდნენ, ამ თანხით ორი საცხოვრებელი კორპუსის აშენება იყო შესაძლებელი.

## „ლელო“ და საიუბილეო მოვლენები

ღირსსახსოვარ მოვლენებს შეეხებოდა თუ სპორტის ამადგარ ადამიანებს, „ლელო“ საერთოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სპორტთან დაკავშირებული საიუბილეო თარიღებისადმი. ცხადია, თავისთავად მნიშვნელოვანი იყო ღვანღმოსილთა ამაგის დაფასება. „ლელო“ ვალდებული იყო თვლიდა თავს მომავალი თაობებისათვის შემოენახა ისტორიული ფაქტები და მოვლენები. ეს ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო გაზეთის მუშაობაში. „ლელო“ თავადაც გამხდარა არაერთი საიუბილეო ღონისძიების თაოსანი და შემოქმედიც კი. მდგარა მოვლენების ეპიცენტრშიც. ერთ მაგალითს გავიხსენებ:

ფაქტია, რომ საბჭოთა ალბინიზმს საფუძველი საქართველოში ჩაეყარა 1923 წელის 28 აგვისტოს, როცა



„მცინვარწვერზე ავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 18 სტუდენტი და მასწავლებელი, მათ შორის – ხუთი ქალი; 3 სექტემბერს მწვერვალი დაიპყრო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ექსპედიციამ. პირველ ასვლას მეთაურობდა ცნობილი მეცნიერი, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, შესანიშნავი მათემატიკოსი და მრავალმხრივი სპორტსმენი, პროფესორი ნიკოლაძე“ („ლელო“, 16 ოქტომბერი, 1973 წ). 1973 წელს ამ ასვლიდან საიუბილეო 50 წელი შესრულდა, რასაც „ლელო“ ფართოდ გამოეხმაურა. მეტიც, საიუბილეო ექსპედიციაში „ლელომ“ თავისი ჟურნალისტიც მიავლინა – **ავთანდილ გურასაშვილი**, რომელიც თავადაც სერიოზულად იყო გატაცებული ალპინიზმით და ახალბედა ნამდვილად არ ეთქმოდა. იმავე წლის 4 ოქტომბერს ჩვენმა გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო ლაშქრობაში ავთოს სვანურ დღიურებს და შთაბეჭდილებებს. მისი ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ ქუთაისელ, თბილისელ და მესტიელ მთამსვლელთა მიერ დალაშქრული ორი უსახელო მწვერვალიდან ერთს „გალაკტიონი“ (პოეტის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად), მეორეს – „საბჭოთა ალპინიზმის 50-ე წლისთავი“ ეწოდა.

### ორი ბოიკოტი



ვან **ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა), **ვახტანგ ბლაგიძე** (კლასიკური ჭიდაობა) და **შოთა საბარელი** (ძიუდო); ვერცხლის მედალს დაეუფლნენ – **ვიქტორ სანევეი**, **საიდა გუნბა** (ორივე – მძლეოსნობა), **თეიმურაზ სუბულური** (ძიუდო) და **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი); ხუთმა ჩვენმა სპორტსმენმა – **ლიანა ცოტაძემ** (წყალბურთი), **კალათბურთელმა ნიკოლოზ დერიუგინმა**, **ფეხბურთელებმა ალექსანდრე ჩივაძემ**, **თენგიზ სულაქველიძემ** და **რევაზ ჩელებაძემ** კი მესამე საპრიზო ადგილზე დაამთავრეს ასპარეზობა.

რთულმა ვითარებამ და გაურკვეველობამ დაისადგურა საბჭოთა სპორტში 1980 წელს მოსკოვში გამართული ოლიმპიადის მრავალი ქვეყნის მიერ ბოიკოტირების შემდეგ.

ოლიმპიელები საქართველოშიც ჩვეულებრივად ემზადებოდნენ მომდევნო, 1984 წელს ლოს-ანჯელესში გასამართი თამაშებისთვის. უნდა ითქვას, რომ სამაგიერო ბოიკოტზე უკვე ღიად ლაპარაკობდნენ კერძო საუბრებში. პრესაში კი ამ აზრის გახმოვანებას, ცხადია, ტაბუ ჰქონდა დადებული. და მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო – საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტმა ქვეყნებმა უარი განაცხადეს 1984 წლის ოლიმპია-

საქართველოს 16 ოლიმპიელიდან მოსკოვში საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ **ქეთე-**







**ლერი ხაბელოვი**

დაში მონაწილეობაზე. ოლიმპიური მედლის მოპოვების შესაძლებლობა უამრავმა სპორტსმენმა დაკარგა, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ჩვენმაც.

უკვე სანახევროდ ახალი თაობის ათლეტებს ელოდათ გამოსვლა 1988 წელს სეულში. „ლელო“ მხარში ედგა სპორტის ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს, საზოგადოება ინტერესით ეცნობოდა ქართული სპორტის ღირსეული წარმომადგენლების მემკვიდრეებს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან.

სსრკ გუნდის შემადგენლობაში სეულშიც ტრიუმფით იასპარეხეს საქართველოს სპორტსმენებმა. 16-მა ჩვენიანმა 12 მედლი დაიმსახურა – 5 ოქრო, 2 ვერცხლი, 5 ბრინჯაო. ოლიმპიური ჩემპიონობა სეულში იზეიმა ტყვიის მსროლელმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ნინო სალუქვაძემ. იგი

იქვე გახდა ვერცხლის მედალოსანიც. ქართულ ფეხბურთს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ჩემპიონიც ამ თამაშებში მოეწვინა – გელა კეტაშვილი. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე დავით გობეჯიშვილმა (თავ. ჭიდაობა), ვლადიმერ აფციაურმა (ფარიკაობა), ვლადიმერ გოგოლაძემ (ტანვარჯიში). ვერცხლის მედალი, ნინო სალუქვაძის გარდა, ერგო ლერი ხაბელოვს (თავ. ჭიდაობა), ბრინჯაოსი – ამირან ტოტიკაშვილს და გიორგი თენაძეს (ორივე ძიუდო), ვანტანგ იაგორაშვილს (თან. ხუთჭიდი), მიხეილ გიორგაძეს (წყალბურთი), მაია აზარაშვილს (მძლეოსნობა).

წილად მხვდა ბედნიერება, ვყოფილიყავი აკრედიტებული ჟურნალისტი „ლელოდან“ სეულში. ოლიმპიადის შემდეგ, საგაზეთო სტატიების გარდა, მკითხველს თამაშების შთაბეჭდილებები მოვუთხრე ბროშურითაც „ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება“ (თბილისი, 1989).



## ბაკურიანი და 1989 წლის აპრილი

სპორტის სფეროში სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხები „ლელოს“ წარმომადგენლობითი მონაწილეობის გარეშე, თითქმის არც ერთ დღეზე არ წყდებოდა, ცხადია, თვით ხელისუფლების ჩათვლით.

1989 წლის 4 აპრილს რედაქციაში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, **ნუგზარ ენდელაძემ** დარეკა. მთხოვდა, საწრაფოდ გავსულიყავი აეროპორტში. ჩემ გარდა, უურნალისტებიდან მხოლოდ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **არმაზ სანებლიძე** მიუწვევიათ. ზამთრის 1998 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატად ბაკურიანი იყო წამოყენებული და მოსკოვიდან ჩამოსულ მაღალჩინოსნებთან ერთად საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, **ჯუმბერ პატიაშვილი** ჩადიოდა ბაკურიანში. არადა, თბილისში 1989 წლის იმ დღეს და საერთოდაც, უაღრესად დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა იყო.

ბაკურიანისკენ რომ მივფრინავდით, ჯუმბერ პატიაშვილი სტუმრებს შვეულმფრენის ილუმინატორიდან მიუთითებდა მარშრუტზე, სადაც მთებს რკინიგზა გადასერავდა ძეგვიდან ბაკურიანამდე. ეს არ იყო ფუჭი ოცნება. სახსრები კი იმ შემთხვევაში გამოიყოფოდა, თუ ბაკურიანი გაიმარჯვებდა კანდიდატებთან კონკურსში და, რაღა თქმა უნდა, თუ საბჭოთა კავშირი არ დაიშლებოდა...

მე პოლიტიკოსი არ ვარ, ამიტომაც მოვლენების პოლიტიკური კუთხით შეფასებას ყოველთვის ვერიდები, მაგრამ 1980-იანი წლების მეორე ნახევრის მოვლენები, სპორტი და ჯუმბერ პატიაშვილის მეშუარეობაში ახსნილი სიტუაცია, ვფიქრობ, მის ზურგს უკან, რაღაც კავშირში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან. ისეთ კავშირში, რომელიც მოსკოვში იქნებ სულაც წინასწარ იყო გათვლილი და დაგეგმილი. წიგნის ავტორს მოვუსმინოთ: „1 აპრილს სოხუმში ჩავფრინდი. შევგზავდი აფხაზ ინტელიგენციას, უხუცესებს და სტუდენტებს... თბილისში დაბრუნებულს შემატყობინეს, რომ ცენტრალური კომიტეტიდან ხუთკაციანი ბრიგადა გამოგზავნეს პრობლემის ადგილზე შესასწავლად. ამას დაემთხვა **გრამოვის** (საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე. **თ. გ.**). სატელეფონო ზარიც, რომელმაც მითხრა, რომ ზამთრის ოლიმპიადასთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოსვლა და ბაკურიანის დათვალიერება სურდა. ყველანაირად შევეცადე, ვიზიტის გადადებაზე დამეყოლიებინა, მაგრამ ვერ დავითანხმე.

– ვადა ინურება და ხვალვე მოვფრინავ, – მითხრა გრამოვმა...

გრამოვი საქართველოში ჩამოვიდა და ბაკურიანში გავემგზავრეთ. აღფრთოვანებული იმედს იძლეოდა, რომ ოლიმპიადის ბაკურიანში ჩატარებას დაუჭერდა მხარს, საღამოს ვახშმად დანგაძის ცნობილ ქოხში დავპატიჟეთ“.

ბარემ აქვე დავასრულებ ბაკურიანის თემას. ჩვენი „ზამთრის მარგალიტის“ სოჭისა და ალმა-ათის კანდიდატურების განხილვა მოსკოვში შედგა, მაგრამ 9 აპრილის ტრაგედია უკვე თბილისში მომხდარი იყო და გასაგებია, რისი იმედიც უნდა გვექონოდა. პრეზენტაციაზე მძიმე სიტუაცია შეიქმნა, რომლის შესახებ ამომწურავად მოვუთხრე „ლელოს“ მკითხველებს მოსკოვიდან თბილისში დაბრუნებისთანავე.

## საოპი

„ლელოს“ 1989 წლის 30 ივლისის ნომერი ათასთა და ათასთა შორის გამორჩეული იმითაა, რომ სწორედ ჩვენი გაზეთის ამ ნომრით პირველად ეუნყა ქვეყანას,



რომ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე კარგა ხნით ადრე, ჯერ ისევ საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იწყებოდა აქტიური მოძრაობა საქართველოში ოლიმპიური დამოუკიდებლობისთვის და იწყებოდა იგი „ლელოს“ რედაქციიდან.

იმ პერიოდში ჩვენში ალტყინებულ ეროვნულ მოძრაობას ვინ როგორ მოუხადა ხარკი და ვინ როგორ. თავისი ძირითადი საქმეც კი მაშინ ბევრმა გვერდზე გადადო და ეს გასაგები იყო.

ლელოელებმა განსხვავებული გზა ავირჩიეთ. მონადინებით ისე უნდა წაგვემართა ჩვენი საქმე, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმით ჩავმდგარიყავით ეროვნული ინტერესების სამსახურში, დაგვეტოვებინა რალაც კვალი და ეს შევექვით კიდევ მოკრძალებული წვლილით.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას მსოფლიო გამოეხმაურა. ყველა თანაუგრძნობდა ქართველ ხალხს. ახალ ფაზაში შევიდა ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა. დადგა დრო თავისი წვლილი ყველას შეეტანა საერთო საქმეში, მაგრამ სისტემას თაობები ისე ჰყავდა დათრგუნვილი, თავგანწირვის ყველასგან თანაბრად მოთხოვნა ძნელი იყო. მაშინ ბევრს არ შეუცვლია ნირი, მაგრამ, თავის სფეროში ვინც გარისკა, მათ შორის „ლელოც“ იყო. რა უნდა გვექნა? უბრალოდ, ყური უნდა მიგვეგდო ხალხისთვის, რომლებიც მოითხოვდნენ ცენტრთან ურთიერთობის განწყვეტას. მხარი ჩვენ იმ პატრიოტებს ავუბით, ვინც ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისგან ჩამოშორებას ხმამაღლა

აცხადებდა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა კი საჯაროდ, როგორც უკვე ვთქვით, სულაც პირველმა „ლელომ“ მიიტანა ხალხის გულებამდე.

1989 წლის გაზაფხულიდან ნელ-ნელა, უკვე სრულიად ღიად დავინწყეთ საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ი) შექმნის აუცილებლობის პროპაგანდა.



1989 წლის 11 ივლისს „ლელოში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტ პაატა ნაცვლიშვილის წერილში („საქართველოს ოლიმპიური პოტენცია“), ავტორი ყურადღებას ამახვილებდა პრეცედენტებზე. კერძოდ, უნგრეთს, ნორვეგია, ავსტრალიას კუბას, კანადას, ინდოეთს, სამხრეთ აფრიკის კავშირს და სხვა ქვეყნებს პოლიტიკურ

დამოუკიდებლობამდეც უასპარეზიათ ოლიმპიურ თამაშებში. ავტორმა ღრმად გააანალიზა ოლიმპიური მოძრაობის ისტორია და საქართველოს სპორტსმენთა წვლილი ამ მოძრაობაში. „საქართველოს ცალკე გუნდად გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში სულაც არ იქნება მხოლოდ სიმბოლური აქტი“ – ასეთი იყო დასკვნა.

საქართველოში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის იდეა მთელმა საქართველომ სიხარულით აიტაცა. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი თანამედროვეობის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე პირველი ქართველის ვინაობა. ეს იყო თავადი **ჭავჭავაძე**, რომელიც 1908 წლის ოლიმპიადაზე რუსეთის ცხენოსანთა გუნდში გამოდიოდა. მასალა ამის შესახებ „ლელოს“ მოგვანოდა **გიორგი მაისურაძემ** და ცენტრალური არქივის თანამშრომელმა **ბონდო ჩიკვაიძემ** (იხ. 1989 წლის 18 ოქტომბრის და 12 დეკემბრის „ლელო“). მოკლედ, ჩვენმა გავითმა მაორგანიზებელი როლი შეასრულა და, როგორც იტყვიან, ლომის წილი დაიდო ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის ოცნების ასრულებაში.

რედაქციაშივე ჯერ საინიციატივო და მერე საორგანიზაციო ჯგუფები თანმიმდევრულად შევექმნით. ჩემს გარდა საინიციატივო ჯგუფის პირველი წევრები ლელოელი იყვნენ: **ნოდარ გუგუშვილი**, **ავთანდილ გურასაშვილი**, **ჯემალ კასრაძე**, **ზაზა კახაძე**, **თამაზ მიგრიაული**, **პეპი ბოჭორიშვილი**, **ნინო სიმონიშვილი**, **გიორგი ჩოჩიშვილი**, **დავით ჭელიძე** და **ალექსანდრე კოტორაშვილი**. დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გემართებდა ჯგუფის ხელმძღვანელის შერჩევაში, შემთხვევით პიროვნების ნდობა არ შეიძლებოდა. მაგრამ, ვინც შევარჩიეთ, თავაზიანი უარი გვითხრა და ისევ მე დავივალე ეს საქმე.

თბილისი, 1989 წლის 28 ივლისი, პარასკევი, 17 საათი, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია კოსტავას ქუჩაზე, რედაქტორის კაბინეტი – საინიციატივო ჯგუფის პირველი სხდომის გახსნის ადგილი. აი, როგორ და საიდან იწყება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ისტორიის ათვლა.

„ლელოს“ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის მხოლოდ იდეა როდი იშვა. ისევე როგორც ჯერ საინიციატივო ჯგუფი, შემდეგ კი საორგანიზაციო კომიტეტი და, ბოლოს თვით ახალჩამოყალიბებული ეს ორგანიზაცია, ვიდრე შენობას გამოუყოფდნენ „ლელოს“ რედაქციაში მუშაობდა და საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში მის ჭერქვეშ დგამდა პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს. არც მეეჭვება, რომ დადგება დრო და ამ ფაქტის უკვდავსაყოფად აუცილებლად გაჩნდება იმ შენობაზე მემორიალური დაფა.

საკავშირო დაქვემდებარებიდან საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ჩამოსაშორებლად ჩვენი აქტიური საქმიანობა, ცხადია, შეუქმნეველი არ დარჩენილა მოსკოვში. აი, ნამდვილი ამბოხი, ეს იყო თუ იყო. **ვიტალი სმირნოვი**, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ყელგამოწევით გვემუდარებოდა, ამ ნაბიჯს ნუ გადავდგამდით, გამოგვენახა კომპრომისი და შეგვეთავაზებინა წინადადებები ახლებური ურთიერთობისთვის. არ გამოვიდა.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი 1999 წელს გამოცემული ჩემი წიგნიდან: „10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში“:

„1989 წლის 6 ოქტომბერი. თბილისის ჭადრაკის სასახლე დილიდან ქართული სპორტის სავანედ იქცა. არასოდეს არც ერთ სხვა ღონისძიებაზე არ შეკრებილა ერთად ასეთი წარმომადგენლობა. ოლიმპიური და მსოფლიო სპორტის







სეოკის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები. 1989 წლის 6 ოქტომბერი



1989 წ. 6 ოქტომბერი. სეოკის პირველარჩეული აღმასკომი.  
მარცხნიდან პირველ რიგში: პაატა ნაცვლიშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ  
სანეევი, თენგიზ გაჩეჩილაძე; მეორე რიგში: დავით კუპრეიშვილი, ვაჟა კაჭარავა,  
ავთანდილ ციბაძე, დავით კინწურაშვილი, ივანე ყიფიანი, ნოდარ გუგუშვილი



თანავარსკვლავედის თვალისმოძრელ სიკაშკაშეში იბადებოდა და ინერებოდა ეროვნული სპორტის ახალი ისტორიის თავფურცელი. ეს დღე არასოდეს ამოიშლება ქართული სპორტის მატრიანედან“.

როგორც ჯერ სეოკ-ის საინიციატივო ჯგუფის, შემდეგ კი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, მე მხვდა ბედნიერება გამეხსნა დამფუძნებელი კონფერენცია. მთელი საქართველოდან თავყრილობას 377 დელეგატი ესწრებოდა გადამწყვეტი ხმის უფლებით. მათ ერთხმად მიიღეს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის გადაწყვეტილება. ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების ისტორიაში, საქართველომ პირველმა გაჭრა სარკმელი დამოუკიდებლად შესაბამისად მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში (ბალტიისპირელებმა დაკარგული აღიდგინეს). 1990 წლის 4 მარტს, გაზეთ „ლელოს“ მეშვეობით უკვე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ემბლემაც იხილა ჩვენმა ხალხმა კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ.

არ მინდა ეს თემა ისე დავამთავრო, რომ ერთი საგულისხმო ფაქტი არ გავიხსნო. საინიციატივო ჯგუფის პირველი მოსამზადებელი სხდომა ჩემ სამუშაო კაბინეტში ჩავატარე. ნებისთ თუ უნებლიეთ, ასე გახდა რედაქციის ყველა თანამშრომელი ისტორიული მოვლენის მოწმე და მონაწილე. პირველი კრების თავმჯდომარეობა მე ვითავე, მაგრამ მდივნობის მსურველი არავინ აღმოჩნდა, არადა ვერც ვერავის ვაძიებდით. თანხმობა მოულოდნელად **პეპი ბოჭორიშვილმა** განაცხადა. მოულოდნელადო, ვამბობ იმიტომ, რომ პეპის, ამ მართლაც უნიჭიერეს ყურნალისტს (მერე კანადაში გათხოვდა, მწერალი გახდა, წიგნებიც გამოსცა), რუსული განათლება ჰქონდა მიღებული და მის წერილებს ქართულად ვთარგმნიდით ჩვენი გაზეთისთვის. პეპიმ იცოდა, ცხადია, ქართული წერა-კითხვა, მაგრამ დოკუმენტის შედგენას თუ შეძლებდა, არ მეგონა. ოქმს სამი დღე ველოდი. მერე მოვთხოვე, მომიტანა, მაგრამ ხელმოუწერელი (გაუმართავ ქართულს აღარ დავეძებდი, მთავარია, ყოფილიყო დოკუმენტი). ჩავფიქრდი, მაგრამ ხელმოწერა არ დამიძალებია. მიგზვდი, საქმე რაშიც იყო. როგორც ჩანს, გაზეთის თანამშრომლებმა და კოლეგებმა უთხრეს, რომ რისკავდა, ამიტომ თავი შეიკავა ამ თამამმა ქალიშვილმაც კი. დღესაც ჩემს არქივში ის ოქმი რელიკვიად მაქვს შენახული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ისტორიულადაც და იმჟამინდელი რეალობითაც, როცა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას ვინცებდით, ნოყიერი ნიადაგი იყო შემზადებული, ჩვენში ოლიმპიური მოძრაობა თავიდანვე ფეხზე მყარად რომ დამდგარიყო. რაც მთავარია, ოლიმპიზმისა და მისი იდეალების ზოგადსაგანმანათლებლო და შემეცნებით ფონზე მძლავრი იყო პატრიოტული მუხტი მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ათწლეულების განმავლობაში „ლელო“ პროპაგანდას უწევდა ოლიმპიზმს, ზოგადად სპორტს, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგად თეორიულ პროპაგანდას არ ემსახურებოდა. უმთავარესი იყო ფაქტები – ისტორიული და თანამედროვე. ქართული სპორტის საუკუნეობრივ ტრადიციებში, ხალხური სპორტის და ფიზიკური აღზრდის ხალხურ სისტემაში, ჩვენს სავარაუდო კავშირებში ანტიკურ ოლიმპიადებთან და თუნდაც „მესხურ თამაშებში“, მკაფიოდ აირეკლებოდა ოლიმპიზმის ისტორიული გამოცხადი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო ის, რომ საქართველო 1952 წლის ზა-



ფხულის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, მაღალი სპორტული მიღწევების წყალობით, ოლიმპიურ იმიჯს ნაბიჯ-ნაბიჯ იმკვიდრებდა თანამედროვე სპორტულ სამყაროში. ასე რომ, როცა დრო დადგა, ხელდამშვენებულებმა და თავდაჯერებულებმა შეეკაბიჯეთ მსოფლიოს ოლიმპიურ ოჯახში.

ისევ მინდა დავუბრუნდე „ლელოს“ წვლილს ოლიმპიზმის პროპაგანდაში. ახლოვდებოდა მოსკოვში 1980 წლის ოლიმპიური თამაშები. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე, საქართველოს ცეკადან სპორტის იმჟამინდელმა კურატორმა **ჯუანშერ კვარაცხელიამ** დამირეკა და ანკეტისთვის პირადი მონაცემები მომთხოვა. ასე გაჩნდა ჩემს ბიოგრაფიაში საბჭოთა პერიოდში მიღებული ერთადერთი უმაღლესი ჯილდო – მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“. მოწმობაში კი წერია, რომ ჯილდო მიღებულია „ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდაში შეტანილი წვლილისთვის“, რაც ნამდვილად მეამაყება. არც მეეჭვება, რომ ამ დაფასებაში არა მხოლოდ ჩემი, გაზეთის საერთო წვლილი აისახებოდა. ანკეტა რომ წარვადგინე, ჯერ კიდევ არ მჯეროდა, ჯილდოს უეჭველად თუ მივიღებდი. თურმე ცვდებოდი. ასე გამოვცადავ საკუთარ თავზე საბჭოთა პრინციპი, – როცა ვინმეს სადმე ან რაიმეზე წარადგენდნენ, საქმე საჭოჭმანოდ აღარ გახდებოდა. აქვე ვიტყვი, რომ ასევე მოულოდნელი იყო თითქმის იმავე პერიოდში „ბუდიონის მედლით“ ჩემი დაჯილდოება, თუმცა გასაკვირი არც ეს ყოფილა. 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ცხენოსნობის და მეცხენეობის თემა აქტიურად შუქდებოდა „ლელოში“ ჩემს პუბლიკაციებში.

ფვიქრობ, საინტერესო იქნება ზემოთქმულს დავამატო ერთი ამბავი, რაც მოგვიანებით შევიტყვე: კრემლის იდეოლოგიის მდივანს **ლიგაჩოვს** და ჩემ მიერ ზემოთ უკვე ხსენებულ **ვიტალი სმირნოვს**, **მიხეილ გორბაჩოვისთვის** მოუხსენებიათ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დამოუკიდებლობისთვის წამოწყებული პატრიოტული მოძრაობის შესახებ. „და ნუ იხ კჩორტუ, რაზბერიტე სამი“, – უთქვამს გორბაჩოვს. უნდა ვივარაუდოთ, რომ **ვიტალი სმირნოვმა** თბილისში სტუმრობა სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა. ასეთ ნაბიჯს კრემლის ნების გარეშე ის ვერ გადადგამდა.

ეს სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა და გაოგნებული დავრჩი, როცა ჩემ მიერ უკვე ხსენებულ **ჯუმბერ პატიაშვილის** წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ“ ასეთი რამ ამოვიკითხე: „რასაკვირველია, დისიდენტური და ანტისაბჭოთა განწყობის ნახალისება არც ჩემი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობის პერიოდში ხდებოდა, მაგრამ პირადად მე ვერ ვისხენებ ვერც ერთ შემთხვევას, რომ კრემლს აკრძალვის დირექტივა გაეცა ან უკმაყოფილება გამოეხატა ყველა იმ ლონისძიების მიმართ, რომელიც საქართველოში ქართული კულტურის, სულიერებისა და, გნებავთ, ეროვნული სულისკვთების გამოვლენასა და განმტკიცებას უწყობდა ხელს“ (გვ. 42).

## ასე იწყავოდა ფიზიკურის დამოუკიდებლობა

ახლა კი იმ მშფოთვარე 1989 წლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ უფრო დანწრილებით მინდა მოგითხროთ. ერთ დღეს „ლელოში“ გვეწვია კინორეჟისორი **ალექსანდრე ჟღენტი** და, როგორც იტყვიან, „წერილი





ბომბი“ – „საჭიროა თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში“, – მოგვიტანა გამოსაქვეყნებლად. რედაქტორებს გაგვანჩია „დასწრების“ ეფექტის ცდუნება. ამ შემთხვევაში პირადად ვლასპარაკობ – საკუთარი თავისთვის უნდა დამესწრო, ღამეგათეულ ფიქრს რომ რამეში არ დავეჭვებინე, თორემ სხვა მხრივ, ასეთი „ბომბის“ პუბლიკაციას ვინ დაგვასწრებდა, ათი თავი ვის ჰქონდა. ალექოს წერილი იმავე ნომერში ჩავდე, რომელსაც მეორე დღისთვის გამზადებდით. ვისაც ახსოვს, დაგ-

ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გაქრობისას. „ლელომ“ და მწერალთა კავშირის „ლიტერატურულმა გაზეთმა“ ერთდროულად გამოვამშვიდობეთ მკითხველი ზემოხსენებულ პროლეტარულ სლოგანს.

უნდა ვთქვა, რომ ფეხბურთზე ხსენებულ წერილთან და მის პათოსთან დაკავშირებით სასტიკ წინააღმდეგობას წავანყადით ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელებისგან. არაერთ მათს გამოსვლაში გაისმა დაუნდობელი კრიტიკა პირადად ჩემი მისამართით. ძალიან მწყდებოდა ამაზე გული. ისინი ვერ ხვდებოდნენ ან არ სურდათ გაეგოთ, რომ ეს სჭირდებოდა სამშობლოს და არა მარტო ფეხბურთის ინტერესებს. შეადარეთ გამოძახილი: „ლიტვის კომპარტიის გამოყოფას საკავშირო დაქვემდებარებიდან არ მოჰყოლია ისეთი მწვავე რეაქცია მოსკოვში, როგორც საბჭოთა ფეხბურთიდან საქართველოს ფეხბურთის გამოყოფას,“ – წერდა მსოფლიო პრესა.

„ლელომ“ არა მხოლოდ ზემოხსენებული პუბლიკაციით იღგა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის სათავესთან, არამედ საქმითაც. 1989 წლის 26 დეკემბერს, სეოკ-ის შექმნის გამოცდილების გათვალისწინებით, საინიციატივო ჯგუფის პირველ სხდომაზე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დავით კვინიკაძემ** მიმინვია და ეს სხდომა ჩემი მონაწილეობით ჩატარდა. იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით ფიფა-უფეფასთან საქართველოს ფედერაციის ურთიერთობა გამორიცხული იყო, რადგან წინასწარ ვიცოდით, რასაც გვიპასუხებდნენ: „უერთიერთობთ მხოლოდ აღიარებულ ეროვნულ ფედერაციებთან, მიმართეთ სსრ კავშირის ფედერაციას!“



ვეთანხმება, რა ამბავი ატყდა მაშინ საზოგადოებაში, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გამოძახილზე აღარაფერს ვამბობთ. რაც მთავარია, საქართველოს კომპარტიის ცეკადან არავის დაურეკავს, ისევე როგორც მანამდე გაზეთის ტიტულის თავზე ყველა გამოცემისთვის სავალდებულო მონოდების – „პროლეტარებო



ფეხბურთში საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება მკითხველთა სახელით, იმ სტადიონზე წამოყენებული ჩემი წინადადებით, „ლელომ“ ითავა. ეს ცდა წარმატებული გამოდგა. ფიფა და უეფა ჩვენს არც ერთ მიმართვას არ ტოვებდა უყურადღებოდ. ბურუსით მოცულ ბევრ საკითხსაც მოეფინა ნათელი, რაც ძალიან წაგვადგა დამოუკიდებელი ეროვნული ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობისთვის მზადების პროცესში.

საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა „ლელოსთან“ **ნოდარ ახალკაცს**. ეს კავშირი კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც „ლელოს“ თანადგომით და მონაწილეობით ჯერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოვიდა საკავშირო დაქვემდებარებიდან და მერე – როცა ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზაზე დგამდა პირველ ნაბიჯებს.

საქართველო ფიფა-უეფას სრულფუნქციანი წევრი გახდა და, ბუნებრივია, ჩაერთო ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. 1997 წელს ბელგიის ქალაქ გენტში, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ახალი ციკლის წილისყრაზე, საქართველოს წარმომადგენლებიც მიიწვიეს. **ნოდარ ახალკაცმა** გადაწყვიტა, ამ მოვლენის მონაწილე ყოფილიყვნენ ქართველი ჟურნალისტებიც. ფედერაციის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა **დავით კვინიკაძემ** მაცნობა **ახალკაცის** განზრახვა. ჩემთან ერთად გენტში გამგზავრების პატივი წილად ხვდა გაზეთ „სარბიელიდან“ **ილია ბაბუნაშვილს** და გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ რედაქტორ **ნოდარ კობერიძეს**. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ნოდარ ახალკაცი უდროოდ და უეცრად მალე გარდაიცვალა.

პირველი ქართული გაზეთი და ქართული ფეხბურთი დღემდე განვლილი მთელი 80 წლის განმავლობაში მხარდამხარ მოაბიჯებენ. ჩვენი გაზეთის ფურცლებზეა შემონახული ყველა მნიშვნელოვანი თუ ნაკლებად ყურადსაღები ფაქტი და მოვლენა, პროცესები, დაკავშირებული სპორტის ამ უაღრესად პოპულარულ სახეობასთან. „ლელოში“ მუდამ იყო წამყვანი თემა ქართული ფეხბურთი, ასეა დღესაც. ჩვენი გაზეთის სხვადასხვა თაობის ჟურნალისტები არიან თვითმხილველი ყველა იმ სახელოვანი წარმატებისა, რომლებსაც ქართულმა ფეხბურთმა და მისმა ფლაგმანმა თბილისის „დინამომ“ მიაღწია განვლილ ათწლეულებში. არასდროს განელდება ეს დამოკიდებულება და მეტის მიღწევის სურვილი.

## შვეიცარია, შეხვედრა სამარანჩთან

1990 წელს გუდაურმა სათხილამურო სპორტში ჟურნალისტთა ტრადიციულ მსფლიოს პირველობას უმასპინძლა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას მაშინ მე ვხელმძღვანელობდი და, ბუნებრივია, ლელოელები ჩემთან ერთად აქტიურად ვიყვნენ ჩართულები ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. განსაკუთრებით დიდი სამუშაო გასწია **პეპი ბოჭორიშვილმა**. პეპი ინგლისურს კარგად ფლობდა, განათლება კი, როგორც ადრე უკვე ვთქვი, რუსული ჰქონდა მიღებული. მეტი რა გვინდოდა – მაშინ მეტწილად თითქმის მსოფლიოს ერთი ნახევარი ინგლისურად, მერე ნახევარი კი რუსულად ლაპარაკობდა.

მომდევნო 1991 წელს უკვე შვეიცარიის ზამთრის საკურორტო ქალაქი კრას-მონტანა იქცა მეთხილამურე ჟურნალისტთა მასპარეზად. ჩვენც მივიღეთ



მინვევა. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ წინა პირველობის მასპინძლობა დაგვიფასეს. მძიმე დრო იყო. შესაძლებლობა მაინც როგორღაც გამოინახა **ზეზვა ლულუნიშვილისა და ვახტანგ მიქელაძის** დიდი ძალისხმევით და საქართველოდან პირველად გაემგზავრა დელეგაცია ამ სპორტულ შეჯიბრებაზე. მონაწილე ორნი ვიყავით – საქართველოს

და. გავრისკე და დილით, სასტუმროში დაბინავებისთანავე დავერეკე ლოზანაში. დამაიმედებელი ვერაფერი მითხრეს. მათივე ნებართვით შევეხმიანე სადამოსაც და გამიმართლა კიდევ. მითხრეს: სამარანჩი ხვალ მანდ ჩამოსვლას და ჟურნალისტებთან შეხვედრას აპირებსო.

ჩემთან გასაუბრებას სოკის პრეზიდენტი დათანხმდა და ჩვენ იმ პრესკონფერენციამდე რამდენიმე წუთით ადრე შევხვდით ერთმანეთს პირისპირ. ეს დიალოგი სრულად აღვწერე 1999 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში „10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში“, ამიტომ აქ ვრცლად აღარ შევჩერდები. ვიტყვი მთავარს: სამარანჩმა იცოდა, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის დაშლამდე და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების წარმოქმნამდე გამოვეყავით საბჭოთა ოლიმპიურ მოძრაობას და ვესწრაფოდით აღიარებას, რაც უკვე პოლიტიკურ საკითხად იქცა.

1991 წლის დასაწყისისთვის აშკარად იგრძნობოდა საბჭოთა კავშირის დაშლის გარდუვალობა, რაც წლის ბოლოს რეალობად იქცა კიდევ. ახლოვდებოდა 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ბარსელონაში. გაურკვეველად დიდხანს ყოფნა უკვე შეუძლებელი იყო, სოკი საგონებელში ჩავარდა. ახალწარმოქმნილი ქვეყნები თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობას მოითხოვდნენ, რაც სოკს შეუძლებლად მიაჩნდა, რადგან თავს იჩენდა უამრავი პრობლემა ორგანიზაციულ საკითხებში.

სოკის პრეზიდენტის **სუან ანტონიო სამარანჩის** პირადი წარმომადგენელი **ფრანსუა კარარი** 1991 წლის 21-22 ნოემბერს მოსკოვში უკვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომად-



1991 წ. სუან ანტონიო სამარანჩის და თენგიზ გაჩეჩილაძის შეხვედრა შევიცარიაში

სახელმწიფო ტელევიზიიდან **კობა წაქაძე** (უმცროსი) და მე – „ლელოდან“. კობა სამთო პროგრამაში გამოდიოდა, მე – რბენაში. ცხადია, მონაწილეთა ასაკი დიფერენცირებული იყო.

სოკის შტაბბინა შევიცარიაში, ლოზანაშია განთავსებული. იმხანად ახალშექმნილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი. შევიცარიაში ჩასულს არ მინდოდა, ხელიდან გამეშვა სოკის შტაბბინაში მოხვედრისა და სამარანჩისთვის დაწვრილებით ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა, თუკი ეს მოხერხდებო-





1991 წ. მოსკოვი. მარცხნიდან: ემზარ ზენაიშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე და პაატა ნაცვლიშვილი

გენლებს შეხვდა. კატეგორიულობის მძიმე და ამაღლებელი წუთები გადაიტანეს შეხვედრის მონაწილეებმა. დათმობაზე არავინ მიდიოდა, მით უფრო ჩვენი დელეგაცია, რომელსაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტები – მე, პაატა ნაცვლიშვილი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი წარმოვადგენდით.



საბოლოოდ გადაწყდა, რომ ყოფილი საბჭოეთის ყველა სპორტსმენი გამოვიდოდა გაერთიანებულ გუნდში, მაგრამ თავისი ეროვნული დროშის ქვეშ და გამარჯვების შემთხვევაში აჟღერდებოდა ეროვნული ჰიმნი. ეს იყო სათადარიგო ვარიანტი, რომელიც საქართველომ შეიმუშავა და მიიღეს კიდევც.

ბარსელონაში საქართველოს 12 სპორტსმენი ასპარეზობდა სპორტის 11 სახეობაში. ჩემპიონი გახდა ძიუდოსტი დავით ხახალაიშვილი, თავისუფალ წიდაობაში ლერი ხაბელოვი და ძალოსანი კახი კახიაშვილი, ხუთმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი – გიორგი კოლუაშვილმა (ბ/რ წიდაობა), დავით გობეჯიშვილმა (თავ. წიდაობა), რამაზ ფალიანმა (კრივი), ლეილა მესხმა (ჩოგბურთი) და ხათუნა ქვრივიშვილმა (მშვილდოსნობა).

ბარსელონაში მე ორ ფრონტზე ვასრულებდი ჩემს მოვალეობას – „ლელიოდან“, როგორც ჟურნალისტი და სეოკ-იდან, როგორც ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი.



## ლილეჰამერი, პირველად დამოუკიდებლად



1994 წ. ლილეჰამერი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიელები

წარმოუდგენლად ბედნიერი ვიყავით ყველა, როცა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ზამთრის XVII ოლიმპიადაში მონაწილეობის ოფიციალური მიწვევა მოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან. ეს ოლიმპიადა 1994 წელს ჩატარდა ნორვეგიის ზამთრის კურორტ ლილეჰამერში. სპორტის ზამთრის სახეობებს იმხანად სეოკში, როგორც ვიცე-პრეზიდენტი, მე ვკუთრივები. გადაწყდა, რომ საქართველოს სპორტისა და, საერთოდ, ქვეყნის ისტორიაში პირველ ოლიმპიურ მისიას ლილეჰამერში მე ვუხელმძღვანელებდი, რაც მაღალ პასუხისმგებლობასთან ერთად, ბუნებრივია, დიდი პატივი იყო. მაშინ არანაირი ორგანიზაციული გამოცდილება ჩვენ არ გვქონდა. მანამდე რამდენიმე ოლიმპიადას ყურნალისტის სტატუსით კი ვესწრებოდი, მაგრამ ის სულ სხვა იყო. ახლა ორივე ფუნქცია უნდა შემეხრულებინა.

ამ ოლიმპიადაზე არანაირი ლაფსუსი არ მოგვევლია, რაც ჩვენი ეოკის გენერალური მდივნის **ემზარ ზენაიშვილის** თანადგომის დამსახურება უფრო იყო. სავსებით ობიექტური ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ამ ბრწყინვალე პიროვნებას, ორგანიზაციულ საკითხებში გამობრძმედილს, სეოკის დაფუძნების პირველი დღიდანვე საერთოდ, შეიძლება, თამამად ითქვას, საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის დანერგვა-განმტკიცებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ყველაზე დაუვინყარი და ამაღლებელი მთელი ჩვენი ოლიმპიური დელეგაციისთვის იყო ლილეჰამერის ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ეროვნული დროშის საზეიმოდ აღმართვა ოლიმპიადაში მონაწილე სახელმწიფოების აღმების გვერდით.

ერთი წლის შემდეგ უკვე პირველად ჩავერთეთ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში, რომელსაც ჩვენი კონტინენტის ციციქნა





ქვეყანამ, ანდორამ 1995 წელს უმასპინძლა. მაშინაც სიდუხჭირე და უმწეობა სუფევდა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ანდორაში სპორტსმენები მაინც წავეყვანეთ. დელეგაციის ხელმძღვანელობა ისევ მე დამევალა. ორგანიზაციულ საკითხებში ამჯერად ქართულ დელეგაციას სპორტის დიდმა მცოდნემ, იმხანად სეოკ-ის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა **თამაზ თევზაძემ** გაუწია ფასდაუდებელი დახმარება.

## **„ლელოს“ და ქართული სპორტის პრობლემები 1990-იან წლებში**

ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის მოპოვებას მასმედიის დამოუკიდებლობაც მოჰყვა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჟურნალ-გაზეთები გამოვიდა ცეკას დაქვემდებარებული გამომცემლობა „სამშობლოს“ მართვიდან, მაგრამ ისე, რომ რედაქციებს მემკვიდრეობით არანაირი ფულადი სახსრები არ მიუღიათ. ბუნებრივია, გაუჭირდათ გამოცემებს. ეგ იყო, გამომცემლობაში ფართი და ინვენტარი შეგვინარჩუნდა, თუმცა 2007 წლის ზაფხულში ისიც წაგვართვეს და ქუჩაში აღმოვჩნდით.

უნდა ვთქვა: „ლელომ“ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, იმდენი გაჭირვება-განსაცდელი გამოიარა, ჩასაძირად განწირულისთვის ვინმეს სამაშველო რგოლისკენ ხელიც კი არ წასცდენია. პირადი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ისევ სპორტის სამინისტროს და სპორტის დეპარტამენტის იმედად ვრჩებოდით. გულთან ახლოს მიიტანა გაზეთის პრობლემა ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ. ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **ვალერი ჩოლარიამ**, რომელმაც, სადაც კი იმუშავა, ყველგან გამოიჩინა თავი ორგანიზატორული უნარით, შემოგვთავაზა „ქართული ფეხბურთის“ ჩანართი „ლელოში“, რითაც ორივე მხარისთვის გამოიხატა ფინანსური მხარდაჭერის ოფიციალური გზა თანხვედრი ინტერესების გათვალისწინებით. მოკლედ, სპორტის სამინისტროს და სფფს-ს გარდა, ყველამ დაივიწყა ამ გაზეთის დამსახურება. ვერ ვიტყვი, რომ დრო იყო ასეთი და იმიტომ. ვის ესწავლება, მძიმე დრო-ჟამს სიკეთე და მხარდაჭერა რომ უფრო ფასობს. არავის არაფერს ვავალდებულებდით, მაგრამ მაშინ იმათაც კი, ვისაც თავისი სოციალური თუ საზოგადოებრივი მდგომარეობით თანადგომის შესაძლებლობა ჰქონდათ, ვისი სახელისა და მიღწევების განდიდების სამსახურში იდგა გაზეთი, ვისი სიყვარულიც ამ გაზეთს ხალხის გულებამდე მიჰქონდა და ეს სიყვარული თაობებსაც შემოუნახა, შორს დაიჭირეს... საერთოდაც რომ შეწყვეტილიყო „ლელოს“ გამოცემა, ბევრი, ალბათ, ამას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა, რადგან საბჭოთა პერიოდის ჟურნალ-გაზეთები ერთიმეორის მიყოლებით წყვეტდნენ არსებობას. აი, რა მადარდებდა ყველაზე მეტად.

იმ ძალმომრეობა-ძარცვის პერიოდში რედაქციის ავტომანქანა გაზ-31, რომელიც მთავრობის დადგენილებით უკვე პრივატიზებული გვქონდა, მძღოლმა მიიტაცა. მისთვისაც ყაჩაღებს მალე წაუერთმევიათ. ერთ ღამეს შინ ორი გამომძიებელი მომადგა. მანქანის ამბავი გამომკითხა. თურმე „ლელოს“ რედაქტორის სახელით დადიოდა ვილაც იმ მანქანით. კი, მანქანა ჩამოუერთმევიათ, მაგრამ... მორიდებით მითხრეს, თხოვნა დათმო, საფასურს მიიღებთო. ესეც





წყალობად მივიჩნიე, მიხვდვი კეთილი ნება „ლელოს“ თაყვანისმცემელი რომელიც ჩინოსნისგან, იქნებ სულაც ორგანოში მომუშავე რომელიმე ყოფილი სპორტსმენისგან მოდიოდა. რატომ ასეთი ინტერესი ამ მანქანისადმი? საქმე ის არის, რომ გაზ-31 მარკის ატომანქანა მაშინ ძალზე იშვიათობა იყო და რედაქციებიდან მხოლოდ „ლელოს“ გამოუყვეს თავის დროზე. თუ რატომ, ამასაც ვიტყვი. მთავრობის ავტოფარეხიდან გამოთავისუფლებულ ვასილ მუჟავანაძის ოჯახზე მიწერილ ამ მარკის ავტომობილის დაუფლებაზე თურმე სხვადასხვა სამინისტრო ეცილებოდა ერთმანეთს. ნუგზარ ენდელაძემ, ის მაშინ ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე იყო, დამიბარა და მითხრა, „ლელოს“ გაზ-31 უნდა გადმოგცეთ, არავინ მინდა მოვიმდურო, რედაქციაზე კი საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებო. ასეც მოხდა. მოკლედ, ჩემდა გასაოცრად, ფული გადაიხადეს და ერთხანს, უმძიმესი გაჭირვებისას, გაზეთს სწორედ იმ თანხით ვბეჭდავდით. აი, ამიტომ უფრო გავიხსენე ეს ამბავი ახლა.

**კახი ასათიანი**



1985 წ. თბილისი. მარცხნიდან: ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანუი, კახი ასათიანი და დავით ყიფიანი (ფოტო „ლელოს“ არქივიდან)

სახელოვან ფეხბურთელ კახი ასათიანს პირველს არგუნა ბედმა, ყოფილიყო დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის თავკაცი. იგი თხემით ტერფამდე ქართული სპორტის განსახიერება იყო. ახლო ურთიერთობა გეჭონდა, ვიცნობდი მის საქმიან თვისებებს (მით უფრო, რომ მისი მინისტრობისას კარგა ხანს კოლეგიის წევრი ვიყავი) და უნიკალურ ადამიანურ ღირსებებს. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, საკუთარ ბიზნესს უფრო ქართული სპორტის ტრადიციების შენარჩუნებას უკავშირებდა და არა პირად კეთილდღეობას. მაშინ ძალიან უჭირდა ქვეყანას ეკონომიკურად, წლების განმავლობაში უფრო ნაკლები კი არა, წარმოუდგენლად მცირე იყო ბიუჯეტი დღევანდელთან შედარებით. შედარებისთვის ვიტყვი, რომ დღეს სპორტის პრიორიტეტულ ერთ სახეობაზე გამოიყოფა რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მაშინ საქართველოს წლიური ბიუჯეტი იყო.

თუ არა ისევ და ისევ საკუთარი ბიზნესი, ქვეყნის სპორტის თავკაცს, გამოსავალი სად უნდა გამოეძებნა იმ განუკითხაობის წლებში. ცხადია, მოთხოვნების სრული დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. „ლელოს“ ფურცლებზე სამარადჟამოდ შემორჩა იმ რთული პერიოდის ქართული სპორტის მძიმე სუნთქვა და საგანგაშოდ შეწვდებული მაჯისცემა. კახის ტრაგიკულად დაღუპვის

შემდეგ, რამდენადაც ვიცი, შენირულობების გამოკლებით, მისი ბიზნესთვის სახელმწიფოს სოლიდური თანხა დარჩა უკან დასაბრუნებელი.

იყო პერიოდი, კახი ასათიანი ისევე ზრუნავდა „ლელოს“ გადარჩენაზე, როგორც ქართულ სპორტზე – უერთმანეთოდ ვერ წარმოედგინა. შემწეობა არაერთხელ მიგვიღია და მე ვიცოდი, რომ ეს იყო მისი პირადი დახმარება, რომელზეც თავად სიტყვაც კი არასდროს დაუძრავს.

არ შემიძლია, არ გავიხსენო: გამოჩნდნენ მაშინ ადამიანები, უპირველესად, თვით სამინისტროს ფინანსურ სამსახურში, რომლებმაც მინისტრი დაარწმუნეს, რომ თავად გამოეცათ სპორტული გაზეთი და ამ საქმიდან ფინანსურ სარგებელსაც ნახავდნენ. საქმე დაიწყეს, მაგრამ ეს უფრო მცდელობა გამოდგა – უდიდესი დავალიანების გამო კრახი მალე იწვინეს და ის გაზეთი უსახელოდ ჩაბარდა ისტორიას. ამას რომ ვამბობ, ბოდიშს ვიხდი ჩემი კოლეგების წინაშე. მათ თავის მხრივ ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ ტრადიციული „ლელოს“ და უკვე სახელმწიფოვეჭილი „სარბიელის“ გვერდით ახალი სპორტული გაზეთის, როგორც კონკურენტის გამოჩენა, თანაც იმ ძნელბედობის ჟამს, არანაირად არ აღმოჩნდა გამართლებული.

### ატლანტა

დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ პირველად 1996 წელს ატლანტაში იასპარეზა (შეგახსენებთ, რომ ასეთი სტატუსით საერთოდ პირველი 1994 წლის ზამთრის ოლიმპიადა იყო ლილეჰამერში). ამ ოლიმპიურმა ციკლმა საქართველოსთვის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე ჩაიარა. სპორტის სახელმწიფო ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც სათავეში **კახი ასათიანი** ედგა, და ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქვეყანაში დასადგურებული ვითარების გათვალისწინებით იმაზე მეტსაც კი აკეთებდნენ, რისი შესაძლებლობაც მაშინ იყო. ასე წვალებით გაემგზავრა საქართველოს სპორტული დელეგაცია ატლანტაში ზაფხულის XXVI ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. შემადგენლობა რაოდენობრივად სოლიდურად გამოიყურებოდა – 36 ათლეტი ჩაება ოლიმპიური პროგრამით



სპორტის 14 სახეობაში საასპარეზოდ. სამწუხაროდ, მხოლოდ ორმა შეძლო დაუფლებოდა ოლიმპიურ ჯილდოს. დამოუკიდებელი ქართული სპორტის ისტორიაში პირველი მედალი ჩვენს ქვეყანას მოუტანა ძიუდოსტმა **სოსო ლიპარტელიანმა**, რომელიც ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, ასევე, მესამე ადგილზე გავიდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ელდარ კურტანიძე**.

ამ ოლიმპიადაზე საქართველო რამდენიმე ყურნალისტი იყო წარმოდგენილი. „ლელოდან“ ოლიმპიადას მე და ფოტორეპორტიორი **ალექსანდრე კოტორაშვილი** ვაშუქებდით.

### სტარეოტიპების მსხრევა

საბჭოთა სისტემის რღვევის პროცესი არ ყოფილა სპონტანური მოვლენა, ყველაფერი გაუთვითცნობიერებლად, შეპარვით და ადამიანთა ფსიქოლოგის რყევით დაიწყო. ამიტომ გაჩნდა არერთგვაროვანი დამოკიდებულება საზოგადოებაში. სითამამეს მედიაც ერიდებოდა. ამის შანსი სპორტში მეტი გვეკონდა და გამოვიყენეთ კიდევ.



*მაღალჩინოსნები ქართულ ენაზე პრესკონფერენციის თარჯიმნის მეშვეობით ჩატარებამ გააოცა*

1989 წელს თბილისი ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა. პრესცენტრში ძირითადად ქალები დავასაქმე, რადგან გამოცდილება მათ მეტი ჰქონდათ. მე, როგორც საქართველოს სპორტულ ყურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარეს და ტურნირის პრესცენტრის ხელმძღვანელს, პრესკონფერენცია უნდა გამემართა სპორტის სასახლეში ასპარეზობის გახსნის წინ. შევიკრიბეთ და... პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, და ალბათ არა მხოლოდ ამ სფეროში, საერთაშორისო ღონისძიების, პრესკონფერენცია ქართულ ენაზე ჩავატარე. ჯერ ყველას ეგონა, რომ ეს იყო მხოლოდ მისაღმეზა ეროვნულ ენაზე, მაგრამ, როცა თარჯიმანმა – ინგლისური ენის შესანიშნავად მცოდნემ, „ლელოს“ ყურნალისტმა **პეტი ბოჭორიშვილმა** უკვე მომდევნო წინადადებაც გადათარგმნა, მოსკოვიდან ჩამოსულმა სტუმრებმა (უცხოელე-





ბისტვის სულერთი იყო, რუსულიდან უთარგმნიდნენ თუ ქართულიდან) და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა გაოცება და ირონია ვერ დამალეს (იხ. ფოტო). ამ ამბავსაც არ მოჰყოლია არანაირი გართულება. სტერეოტიპების მსხვრევა გარდაუვალი იყო.

### ხიზანი „ლელოს“ თაოსნობით

1989 წელს „ლელო“ კიდევ ერთი თაოსნობით გამოვიდა – წამოვნიეთ თბილისში დიღმის ტყეპარკში „სპორტული დიდების“ ხეივანის მოწყობის საკითხი, რასაც მალე მოჰყვა თბილისის ხელისუფლების შესაბამისი გადაწყვეტილება. ხეივანი ზარზემით გაიხსნა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების – ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების მონაწილეობით. მერე დაიწყო „პრისხვატიზაცია“ და კერძო მესაკუთრეებზე ნაკვეთებად დანაწილდა ის ტერიტორია, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი სპორტის მაშინდელი ხელმძღვანელების დაუკითხავად და დაუთმობლად არ მომხდარა.

### შეტივა ახალკაცზე

1990–იანი წლების დასაწყისში ძალიან დაიძაბა ქართულ ფეხბურთში ვითარება. „ლელო“ ეროვნული ჩემპიონატის დამკვიდრების მხარდამჭერად რჩებოდა და ეს ბევრს, განსაკუთრებით, ჩვენს ღვანღმოსილ ფეხბურთელებსა და სპეციალისტებს ალიზიანებდა. ჩვენთვის ვის რა უნდა დაეკლო, მაგრამ დაიწყო შეტევა **ნოდარ ახალკაცზე** და როგორც სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კოლეგიის წევრმა, ხელმძღვანელთა პოზიციის საწინააღმდეგოდ, ჩემი განსხვავებული აზრი კოლეგიის სხდომაზე ღიად დავაფიქსირე. სამაგიერო იმით გადამიხადეს, რომ ქართული სპორტის ამ ხელმძღვანელი ორგანოს მომდევნო სხდომაზე უკვე კოლეგიის წევრთა სიაში აღარ ვიყავი. ეს მაშინ, როცა კოლეგიის შემადგენლობა მთავრობის მიერ იყო დამტკიცებული, მაგრამ მაშინ არავინ არაფრად დაგიდევდათ წესსა და კანონს.

ჩვენი რედაქცია, განსაკუთრებით ქართულ ფეხბურთში მომუშავე ჟურნალისტები, ეროვნული ჩემპიონატისა და მისი ღირსების შესანარჩუნებლად თავს არ ზოგავდნენ. „ლელოს“ ჟურნალისტი **ჯემალ ჭიპაშვილი**, მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე კომისრადაც კი დადიოდა ფედერაციის მივლინებით და სამოქალაქო ომის დროს, დიდი რისკის ფასად, ხობიდან ფოთში გადავიდა ფეხით, თანაც საშინელ ამინდში. დიახ, სამოქალაქო ომის დროსაც არ შეწყვეტილა ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში და, ვიმეორებ, ეს დიდი გამოცდა იყო „ლელოსა“ და ლელოელებისთვისაც.

### „ლელო“ და პარლამენტი

1992 წელს საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოს ახალი შემადგენლობა დაკომპლექტდა. მაშინ სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისია შეიქმნა და მისმა ხელმძღვანელმა, ვეტერანმა ნიჩბოსანმა და ბიზნესმენმა **ბეჟან ხურციძემ** გასაუბრებაზე მიმინვია. მითხრა, რომ კომისიის მუშაობა ვერ წარმოუდგენია „ლელოსთან“ ახლო ურთიერთობის გარეშე და თანამშრომლობა შემომთავაზა. სპეციალისტის თანამდებობაზე მიმინვია





შეთავსებით. ძალიან საშური საქმე იყო სპორტის შესახებ კანონპროექტის მომზადება და ეს საკითხი დადგა უპირველესად დღის წესრიგში. ჩვენც ამით დავიწყეთ. უამრავი სპეციალისტი ჩავრთეთ საქმეში და ის კანონი, რომლის პროექტიც მაშინ შევიმუშავეთ, დღემდე კანონობს, ერთ-ერთი დღეგრძელი გამოდგა. ცხადია, დროის მოთხოვნების შესაბამისად მასში გარკვეული ცვლილებები შევიდა.

იმ პერიოდიდან მოყოლებული „ლელოს“ და პარლამენტის თანამშრომლობა საერთო საქმის სასიკეთოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არ შეწყვეტილა. ამ დრომდე შეთავსებით ვიყავი ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი და ბავშვთა სპორტის საკითხებში საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციას ვასრულებდი. საბჭოს სპორტის გამოჩენილი მოღვაწე, ბრწყინვალე ორგანიზატორი და პიროვნება ვაჟა შუბლაძე ხელმძღვანელობდა. პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე იყო. მთავარი კი ისაა, რომ კომიტეტმა და საბჭომ, ვაჟა შუბლაძის თავკაცობით, არაერთი პრობლემა წამოწია წინა პლანზე, რაც მთავარია, გაეროს ბავშვთა ფონდის იუნესკოსის მხარდაჭერით და, ჩვენი განათლების სამინისტროს მონაწილეობით, ეგიდით „ჯანსაღი სკოლისათვის“ შემუშავდა და სტამბურად გამოიცა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ განათლებასა და სპორტში მასობრივად ჩაბმისათვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სამწუხაროდ, ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად დანერგვისათვის აღარაფერი გაკეთდა, არადა, ეს აუცილებელი იყო და არის ევროპისკენ სავალ გზაზე.

### სიდნეი ატლანტის გადასახედიან

1996 წლისთვის ამერიკაში, კერძოდ, ატლანტაში უკვე საკმაოდ ცხოვრობდნენ ქართველები და ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით მათგან. საქართველოს ოლიმპიელებს და, საერთოდ, მთელ დელეგაციას, გამოორჩეულად გვედგა მხარში ნიკა რურუა, რომელიც იმ ხანებში ამერიკაში სწავლობდა.

ბუნებრივია, ევალეობოდა კიდევ და ყურადღებას არ გვაკლებდა საქართველოს ელჩი ამე-

რიკის შეერთებულ შტატებში თედო ჯაფარიძე. აქვე ვიტყვი, რომ თედოს მამა ზურაბ ჯაფარიძე დიდხანს იყო „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე, თედო კი თავადაც წერდა საინტერესო წერილებს ამ გაზეთში. ატლანტაში თედო მატერიალურადაც დაგვეხმარა – რედაქციას კარგი ფოტოაპარატი შეუძინა.

შორეულ სიდნეიში 2000 წლის ოლიმპიდაზე საქართველოდან გამიგრიებულ



თანამემამულეებს იშვიათად თუ სადმე შევხდებოდით. ატლანტაში შექმნილი გამოცდილება, კარგიც და ცუდიც, ჩვენმა დელეგაციამ მაქსიმალურად გაითვალისწინა. სამწუხაროა, რომ სწავლამ საკუთარ შეცდომებზეც მოგვინია. ატლანტაში ხომ ჩვენი ფავორიტი ძიუდოისტი შეჯიბრებიდან იმიტომ მოიხსნა, რომ აწონვაზე ვერ მიიყვანეს დროულად.

რაოდენობრივად სიდნეიში იმდენი სპორტსმენი გვყავდა, რამდენიც წინა თამაშებზე ატლანტაში – 36. ეს იყო ჩვენთვის „ბრინჯაოს ოლიმპიადა“ – მხოლოდ სწორეთ ამ ხარისხის მედლით დაბრუნდა სამშობლოში 6 ქართველი ოლიმპიელი. აი, ისინიც: **გიორგი ვაზაგაშვილი** (ძიუდო), **გიორგი ასანიძე** (დალოსნობა), **აკაკი ჩაჩუა**, **მუხრან ვახტანგაძე** (ორივე – პირ ჩიდაობა), **ვლადიმერ ჭანტურია** (კრივი), **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჩიდაობა).

### ირაკლი მექმარიაშვილი

**ირაკლი მექმარიაშვილი** ქართული სპორტისთვის უცხო სულაც არ იყო – ხელბურთს თამაშობდა და წარმატებითაც. 2000 წელს მან მძიმე მექვეიდრეობა ჩაიბარა ქართული სპორტის ხელმძღვანელად მოსვლისას. ვალები და არავითარი პერსპექტივა. მისდამი ნდობის გამოცხადებისას, მთავრობაში ალბათ იფიქრეს, უნარიანი მეურნეა და პრობლემებს თავს სხვებზე უკეთ გაართმევსო. მას მართლაც კარგ ორგანიზატორად იცნობდნენ, განსაკუთრებით ემადლიერებოდნენ მერიაში მუშაობის დროს.

„ლელოსთან“ მჭიდრო თანამშრომლობის უფრო გაღრმავების ინიციატივა მისგან პირადად წამოვიდა. განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა, როგორც ვეტერანი სპორტსმენებისადმი, ისე სპეციალისტებისადმი. მათთვისაც და მოქმედ სპორტსმენ-სპეციალისტებისთვისაც მუდამ ღია იყო მისი კაბინეტის კარი. ჟურნალისტებსაც გვთხოვდა, ღირსეული და დამსახურებული ადამიანებისადმი ყურადღება ჩვენც გაგვეაქტიურებინა. აქვე ვიტყვი, რომ „ლელოს“ მაორგანიზებელი როლი ამ ხელმძღვანელსაც ჩინებულად ესმოდა. დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ გვთხოვა „ლე-



ირაკლი მექმარიაშვილი

ლოში“ შემოგველო რუბრიკა „მე რომ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიყო“, რასაც საზოგადოების მხრიდან დიდი აქტიურობა მოჰყვა. ხშირად უთქვამს, რომ ეს გაზეთი მას და, საერთოდ, ქართული სპორტის მესვეურებს დიდად ეხმარებოდა როგორც სპორტის სამყაროსთან, ისე, საზოგადოებასთან ურთიერთობაში და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. სამწუხაროა, რომ იგივეს მკაფიოდ ვერ ვიტყვით იმ სტრუქტურების და უწყებების მიმართ,





სობრივი სპორტიდან ოლიმპიური სარბიელისკენ მოუწოდებდა ბრწყინვალე სლოგანი: „მშდ კომპლექსიდან – ოლიმპიურ მედლამდე!“ თუნდაც რა იყო არაბუნებრივი და გადაჭარბებული ხატოვნად ნათქვამში, რომ „ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაში დევს!“. მართლაც, დიდი სპორტისკენ მიმავალ ბილიკზე პირველი ნაბიჯები იდგმებოდა საბავშვო ბაგა-ბაღიდან მოყოლებული და ისევე, როგორც წერა-კითხვის სწავლას, სპორტს და სპორტულ განათლებასაც ადრეულ ასაკშივე – სკოლიდან ეყრებოდა მტკიცე საფუძველი.

**ირაკლი მემძარიაშვილი** იმითაც იყო შეშფოთებული, რომ მოზარდ სპორტსმენტა სამედიცინო კონტროლი ჯანდაცვის სამინისტროსგან ხელმიშვებული იყო. საერთოდ აღარავის ეეჭვებოდა, რომ ის, რაც ხდებოდა, სახელმწიფოს ნება იყო.

როგორც ანარეკლი სარკეში, ისე აისახებოდა „ლელოს“ ფურცლებზე ის, რაც საქართველოს სპორტში ხდებოდა. ამ სფეროში ჩამორჩენას, ადრინდელი ჩვენი სპორტული წარმატებებით განებივრებული მოსახლეობა მტკივნეულად განიცდიდა. მაგრამ არც სპორტულ ორგანიზაციებს და არც ჩვენს გაზეთს იმაზე მეტი ნამდვილად არ შეეძლო, რასაც ახერხებდა. ყველანი მოლოდინის რეჟიმში ვიყავით...

### ათენის ოლიპიადა

ახლოვდებოდა ათენში 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. უკან დარჩა ჩვენი ლატაკი ქვეყნის ოლიმპიადისტთვის მზადების უმძიმესი წლები. „ლელო“ ყველაფერს აკეთებდა, რომ საზოგადოება ინფორმირებული ობიექტურად ყოფილიყო ჩვენი ოლიმპიელების თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით. ცხადია, გულგატეხილობას არ ვწერგავდით, მაგრამ არც ის გვინდოდა, ცრუ მოლოდინი გასჩენოდა ხალხს. ჩვენი დამოკიდებულება დაახლოებით იგივე იყო, როგორი ნდობაც ამინდის პროგნოზთან დაკავშირებით არის ხოლმე. ამ დროისთვის სუვერენულ საქართველოს ჯერაც არ ჰყავდა ოლიმპიური ჩემპიონი. მოლოდინი ყოველთვის იყო და ახლა ათენის ოლიმპიადას უკავშირდებოდა ჩვენი გენეტიკური თვისება – იმედი და გაუწელებელი ოპტიმიზმი.

ათენში აღსრულდა ოცნება – 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ძიუდოს

ტურნირის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა 23 წლის ახმეტელი ფალავანი ზურაბ ზვიადაური. ოლიმ-



ზურაბ ზვიადაური



პიური ჩემპიონის და მისი ქვეყნის პატივსაცემად ეროვნული ჰიმნის თანხლებით აფრიალებული ქართული დროშა მსოფლიომ პირველად ამ თამაშებზე იხილა.

ათენის ოლიმპიადის პერიპეტიებს „ლელო“ პირდაპირი რეპორტაჟებით აშუქებდა. ჩემთვის ეს ოლიმპიადა რიგით მეექვსე იყო, რომელზედაც, როგორც ჟურნალისტი, „ლელოდან“ ვიყავი აკრედიტებული.

საბერძნეთს ძალიან სურდა 1996 წლის თამაშებისთვის ემასპინძლა, მაგრამ არ გამოვიდა. სურდა იმიტომ, რომ იმ წელს საუკუნე სრულდებოდა ოლიმპიურ თამაშების აღორძინები-



დან – პირველი თამაშები ბერძნების საპატივცემლოდ ათენში 1896 წელს ჩატარდა.

2004 წელს ათენში გამართულ რიგით 28-ე ოლიმპიადაში ქვეყნებისა და სპორტსმენთა სარეკორდო რაოდენობა მონაწილეობდა – შესაბამისად 201 და 11 099. საქართველო წარმოდგენილი იყო 33 სპორტსმენით. როგორც უკვე ვთქვით, ჩემპიონი გახდა **ზურაბ ზვიადაური**, კიდევ ერთი ოქროს მე-

დალი კი ჩვენს ქვეყანას მოუტანა ძალოსანმა **გიორგი ასანიძემ**. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ **ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო) და **რამაზ ნოზაძე** (ბ/რ ჭიდაობა).

### პეკინი ომის ფონზე

ნამდვილად ვერ გეტყვით, უბრალოდ დამთხვევა იყო თუ წინასწარ ჩაფიქრებული და რაღაც ფარული პოლიტიკური ავანტიურის გამოძახილი, მაგრამ ფაქტია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ძმათა შორის ორ სისხლისმღვრელ ომში აღმოჩნდა ჩათრეული და ორივე ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს დაემთხვა. თანაც, ორივე აგვისტოთი თარიღდება. მე პირადად საომარი მოქმედებების შესახებ ამბავი ორივე შემთხვევაში 1992 წელს ჯერ ბარსელონაში და შემდეგ კი 2008 წელს პეკინში, ოლიმპიურ თამაშებზე შევიტყვე, სადაც ჟურნალისტის აკრედიტაციით მივლინებული „ლელოდან“ ვიყავი.

ცხინვალში საომარი მოქმედებები პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს დაიწყო, 2008 წლის 8 აგვისტოს. საომარი მოქმედებები რატომ მაინცდამაინც ოლიმპიადის დღეებში იწყებოდა, ოლიმპიზმის ფუძემდებლური პრინციპის – მშვიდობის და მეგობრობის სანინაალმდეგოდ?

პეკინში ლამის შარში გავხვებით. თბილისი კატეგორიულად მოითხოვდა, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო სამშობლოში საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ქართიის ქვეთავში „სოკ-ის როლი“ ვკითხულობთ: „წინააღმდეგება სპორტისა და სპორტსმენების პოლიტიკური ან კომერციული მიზნებით გამოყენებას“. გასაგებია, რომ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, ოლიმპიადის დატოვების შემთხვევაში,



სანქცია არ ასცდებოდა. კიდევ კარგი, რომ სეოკ-ის გენერალური მდივნის **ემზარ ზენაიშვილის**, ჩვენი ოლიმპიური დელეგაციის წევრების **ვაჟა შუბლაძისა** და **ნანა ალექსანდრიას** ძალისხმევით თბილისმა გადაიფიქრა და უკან წაიღო ემოციით მიღებული გადაწყვეტილება.

ოლიმპიადის დღეებში იკრძალება საპროტესტო აქციების გამართვაც. ჩინეთში საქართველოს საელჩომ ამ საქმეში დახმარება საქართველოდან აკრედიტებულ ჟურნალისტებს გვთხოვა – ჩვენ უნდა გამოგვეხატა პროტესტი პეკინში რუსეთის საელჩოს წინ. მანქანით მოგვაკითხეს, მოგვცეს ინგლისურენოვანი ტრასფარანტები წარწერით „სტოპ რაშა“ და რუსეთის საელჩოსთან მოშორებით, მანქანა რომ არ დაფიქსირებულიყო, დაგვტოვეს.

დიდი ხანი არ იყო გასული, პოლიციამ რომ ალყა შემოგვარტყა და

ასე გაგვარიდა იქაურობას. არც ვიცოდით, რას გვიპირებდნენ. ბოლოს

გამოჩნდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები. ისეთი „გაოცებულები“ იყვნენ და გამომეტყველებაც ისეთი მჰქონდათ, თითქოს მათ საერთოდ არაფერი იცოდნენ.

გადავჩინო, პოლიციამ საქართველოს საელჩოს ჩააბარა ჩვენი თავი.

პეკინში საქართველოს 35 ოლიმპიელიდან მედალს ექვსი დაეუფლა. ჩემპიონობა ხვდათ წილად **ირაკლი ცირეკიძეს** (ძიუდო), **რევაზ მინდორაშვილსა** (თავ. ჭიდაობა) და **მანუჩარ კვიციანიას** (ბ/რ ჭიდაობა); სამი მედალიც ბრინჯაოსი იყო – **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა), **გიორგი გოგშელიძე** და **ოთარ თუშიშვილი** (ორივე – თავ. ჭიდაობა).

ლონდონში **ნინო სალუქვაძეს** შეეძლო გამხდარიყო სამი ოლიმპიური მედლის ერთადერთი მფლობელი საქართველოდან და მან ეს შანსი ჩინებულად გამოიყენა – ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, თანაც მის კოლექციაში უკვე სამივე სინჯის ოლიმპიური მედალია, რაც თავისთავად ასევე უნიკალური ფაქტია.



### ურთიერთობა კოლეგებთან

„ლელოს“ ჟურნალისტებმა საფუძველი პირველებმა ჩაუყარეს თბილ ურთიერთობას კოლეგებთან. სხვა სფეროს ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ჩვენს თემში არ იყო შუღლი და შური, ჯიბრს ვერ დავარქმევ, მაგრამ ჯანსაღი კონკურენცია ნამდვილად არსებობდა და ერთმანეთის წარმატებითაც გულწრფელად ხარობდნენ. არ ვლაპარაკობ მხოლოდ პრესის წარმომადგენლებზე, მას შემდეგ, რაც ელექტრონულმა მედიამ ფეხი მყარად მოიკიდა, შესანიშნავი კოლეგიალური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ტელევიზიის სპორტულ რედაქციასთან. არა მხოლოდ კონკრეტულ თემატურ გადაცემებში გვიწვევდნენ, საა-





ვტორო პროგრამებიც ჰქონდათ „ლელოს“ ჟურნალისტებს. მე პირადად 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების სატელევიზიო გადაცემების ციკლი მიმყავდა. **თენგიზ გიორგაძემ** სულაც სატელევიზიო საჭადრაკო ჟურნალი „სამორინე“ ჩამოაყალიბა და ძალიან დიდხანსაც იყო მისი ავტორი და წამყვანი. **თამაზ ხომერიკი, გივი ჭელიძე, დავით ქლიბაძე** უნარიანად, სიახლის გამუდმებული ძიებით ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო ტელევიზიის სპორტულ რედაქციას. ბუნებრივია, რომ ტელევიზიამდე ახლო ურთიერთობა „ლელოს“ ჟურნალისტებს ჩამოუყალიბდათ საქართველოს რადიოს სპორტულ გადაცემათა რედაქციასთან, რომლის ლიდერები სხვადასხვა დროს იყვნენ მართლაც რომ თავისი საქმის გამორჩეული სპეციალისტები **რევაზ ურუშაძე, ლერი ჩანტლაძე, ვალერიან სულაკაური...** სხვადასხვა დროს რადიოში სპორტულ გადაცემათა რედაქციას ხელმძღვანელობდნენ

**ნოდარ (აშხენ) გიორგობიანი, გიორგი გიგაური, არჩილ გოგელია, თამილა კახიძე...**

ხელბურთი ახალი დანერგულიყო, როცა ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის დაკვეთით,



ბიძინა ბარათაშვილი





სპორტის ამ სახეობის ხალხისთვის ახლოს გაცნობის მიზნით, პირველი გადაცემა მოვამზადეთ მე და **ჯამლექ ხუხაშვილმა** კიროვის (ახლანდელი ვერის) პარკიდან. თანამშრომლობა თითქმის არასდროს შეწყვეტილა. ასე მხარში ვედექით ერთმანეთს.

„ლელოში“ გადადგა სპორტულ ჟურნალისტიკაში პირველი ნაბიჯები **ბიძინა ბარათაშვილმა**. თავად მას მოეუხსინოთ: „... ჩემი თანამშრომლობა ამ გაზეთთან იმით დაიწყო, რომ რამდენიმე შეცდომა ვიპოვე გაზეთში და წერილებს ვუგზავნიდი რედაქციას. ბოლოს მითხრეს, ან მოდი იმუშავე, ან დაგვანებე თავიო. ჩემი მეუღლის მამა, ნოდარ გუგუშვილი, ჩემი აზრით, უპირველესი ქართველი სპორტული ჟურნალისტი იყო, რომლისგანაც უამრავი რამ ვისწავლე, სამწუხაროდ, აღარ არის ცოცხალი. როცა ნანა შევირთე ცოლად, უფრო პროფესიულად დავიწყე თანამშრომლობა „ლელოსთან“ (ჟურნალი „რეიტინგი“, 2011).

### ორი გაზეთის გაერთიანება

მძიმე წლები ჯერ კიდევ გვედგა, როცა ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა, მუდამ სასიკეთო საქმისთვის შემართულმა **პაატა ნაცვლიშვილმა** ერთ დღეს რედაქციაში შემოიარა და, როგორც სჩვევია, კარგად ნაფიქრი წინადადება – გაზეთ „სპორტისა“ და „ლელოს“ ერთ გამოცემად გაერთიანება შემომთავაზა. „სპორტი“ იმჟამად უკვე სოლიდური და ავტორიტეტული სპორტული გაზეთი იყო. ვაკეკვირვე, მაგრამ შერწყმის მიზეზის ღრმად ჩაძიების არანაირი ეჭვი არ გამჩენია. რაკი ოლიმპიურმა ფონდმა და მისმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** ამ ორი სპორტული გამოცემის გაერთიანებაზე თანხმობა განაცხადა, წინადადება იმ პირობით მივიღე, რომ ჩვენი გაზეთი სახელს და სახეს სრულად შეინარჩუნებდა, მხოლოდ გაძლიერდებოდა. ოღონდაც ამ მცდელობას სასურველი შედეგი მოეტანა, გაზეთის 50 პროცენტი წილი უსასყიდლოდ გადაეცემა ოლიმპიურ ფონდს.

„სპორტში“ მართლაც უნიჭიერესი ჟურნალისტები მუშაობდნენ. 2007



ნუგზარ შატაძე

წლის პირველი იანვრიდან „ლელო“ გახდა უკვე 16-გვერდიანი გამოცემა და კონცეფცია, რომელიც **პაატა ნაცვლიშვილს** მეგობრებთან ერთად „სპორტისთვის“ ჰქონდა ადრე შემუშავებული, გადმოვიტანეთ „ლელოში“. ფაქტობრივად, ის გაზეთი მივიღეთ, როგორც დღეს არის „ლელო“, ოღონდ გარე და შიდა გვერდები მოგვიანებით გაფერადა.



**ნუგზარ შატაიძის** მოგონებიდან: „ლელოში“ 1978 თუ 79 წელს დავინწყე მუშაობა. იქ ისეთი ხალხი დამხვდა, საოცარი ადამიანები, გამოცდილი ჟურნალისტები, რომლებსგანაც მე ძალიან ბევრი რამე ვისწავლე. „ლელო“ პოპულარული გაზეთი იყო. კიოსკებთან, დილაობით, რიგი იმართებოდა ხოლმე და ადამიანები ასე ამბობდნენ: „ლელო“, „თბილისი“, „კომუნისტი“, ასე სთხოვდნენ გამყიდველს. ჩვენ გვეამაყებოდა ამ ტრადიციულ გაზეთში მუშაობა. ეს გახლდათ მიზა კაკაბაძის ტრადიციები, შესანიშნავი ტრადიციები. დღეს ორი გაზეთი – „სპორტი“ და „ლელო“ გაერთიანდა. ეს სასიხარულო ამბავია იმიტომაც, რომ არსებობს საქართველოში გაზეთი, რომელსაც „ლელო“ აწერია“.

ამ შერწყმას ორივე მხარის ჟურნალისტთა ამქარი გაგებით მოეკიდა. გავიდა რამდენიმე თვე და მერე გავიგე, რომ „სპორტს“ ვალები ჰქონია. დამფინანსებელს რედაქცია დონორობის შეწყვეტის თაობაზე გაუფრთხილება. მდგომარეობა, სამწუხაროდ, არც ამ ორი გაზეთის გაერთიანების შემდეგ გამოსწორებულა. ვალს ვალი ემატებოდა, დავალიანება გაიზარდა. მიზეზთა გამო, არ გაამართლა „ლელოს“ ბრენდზე გათვლილმა მოლოდინმა. პირველი, რაც დამფინანსებელმა გააკეთა, მე, როგორც მთავარ რედაქტორს, შემინყვიტა ხელფასი. არ შემიძლია, რაიმე დავამტკიცო, მაგრამ ფაქტია, ძალიან ცუდად გამოვიდა. არც ის ვიცი, ეს რა სვლა იყო და რაზე იყო გათვლილი, რა ქვეტექსტი ჰქონდა ამ ყველაფერს.

## გამონათება

აქვე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ათწლეულობით აპრობირებული სისტემის ნგრევას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ და ყველაფერი ძველის გადმონაშთად არ მოუნათლავთ. წარმოუდგენელია, რა უნდა ყოფილიყო მიუღებელი, დასაწუნი და თავიდან მოსაშორებელი იმაში, სახელმწიფო თუ ერის ჯანმრთელობაზე და სპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე ზრუნვას, გარკვეულწილად მაინც, კვლავინდებურად შეინარჩუნებდა?

ურთიერთობას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან, 2004-ში თავმჯდომარის პოსტიდან **ირაკლი მექმარიაშვილის** წასვლის შემდეგ ჩვენი გაზეთისთვის სასიკეთო პირი აღარ უჩანდა. ეტყობა ასე ადვილად დასათმობი არ ვიყავით. განსაკუთრებით აქტიურობდა „ლელოს“ ძველი მეგობარი, აწ განსვენებული ქალბატონი **ნარგიზა მესხი**. ათეული წლები იმუშავა მან სპორტის ხელმძღვანელ უმაღლეს სახელმწიფო სტრუქტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამმართველოს უფროსად. მესვეურები იცვლებოდნენ, ის კი რჩებოდა. უნარიანი, მრავლის მომსწრე და მნახველი მუშაკის ცოდნა და ავტორიტეტი ყველას სჭირდებოდა. ქალბატონი ნარგიზა ბევრ პრობლემას არეგულირებდა, ანეიტრალებდა კონფლიქტურ სიტუაციებსაც კი. მისი თაოსნობით, იმ დროს ახალმოსული ხელმძღვანელებიდან ერთ-ერთს **ირაკლი სამყურაშვილს** შევხვდი, რომელსაც მანამდე არ ვიცნობდი, მაგრამ ამ ახალგაზრდამ პირველივე ურთიერთობისას კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში.

**ირაკლი სამყურაშვილს** 2007 წლის იმ ავადსახსენებელი 7 ნოემბრის ამბების შემდეგაც შევხვდი და, არ დავმაღავ, მიუკიბავად, მაგრამ მოკრძალებულად



ვთხოვე, იქნებ მასაც ეფიქრა გაზეთის გადასარჩენად გამოსავლის ძიებაზე. მას ამ დროს უკვე ვიცნობდი, როგორც გულისხმიერ პიროვნებას და შესანიშნავ მენეჯერს. ზუსტად არ მახსოვს, რამდენი დრო გავიდა, მაგრამ ერთ დღეს მისგან უკვე საიმედოდ დამამშვიდებელი შემოთავაზება მივიღე. ღმერთმანი, გაოცებულნიც კი დავრჩი – ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, ანუ არაფრის სანაცვლოდ სპონსორს მთავაზობდა. და იმ ადამიანმა, **კობა სვინტრაძემ**, რომელიც ადრე ჩემთვის კარგად ნაცნობი, სპორტის და ჩვენი გაზეთის დიდი ქომაგის შვილი აღმოჩნდა, გულწრფელად გამოგვინოდა დახმარების ხელი, ამოგვიდგა მხარში. **ირაკლი სამყურაშვილს** გულთან ახლოს სხვა დროსაც არაერთხელ მიუტანია ჩვენი პრობლემები.

2007 წლის შემოდგომაა. არასასიამოვნო ამბები ყოველდღე გვესმოდა იმ დერეფანში, რომელიც საზიარო გექონდა „იმედის“ ტელევიზიის ერთ-ერთ სამსახურსა და „ლელოს“ რედაქციას. იჯარას ვიხდიდით – შენობა „კინოსტუდია ქართული ფილმის“ იყო. რაც 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა, უბედურებადაც იქცა ამ გაზეთის ისტორიაში და დაუვიწყარ სათაგადასავლო ამბად დარჩება პირადად ჩემთვისაც. დიახ, „იმედის“ დარბევის არეალში მოექცა „ლელოს“ რედაქციაც. მრბეველთაგან მაშინ არავინ დაინწყებდა იმის გარჩევას, ვისი რომელი ოთახი იყო, ან კომპიუტერული ტექნიკა, ან საბუღალტრო საქმეები ვის ეკუთვნოდა. პირწმინდად განადგურდა ყველაფერი. წაიღეს საბუთები, რედაქციის ბეჭედიც კი.

„იმედის“ ტერიტორიაზე ჩოჩქოლი რომ ატყდა, სერიოზულად შევშფოთდით, მით უფრო, რომ ცნობილმა პოლიტიკოსებმა, უცნობმა ადამიანებმაც კი დაინწყეს რედაქციაში თავის შეფარებმა. კატეგორიულად გვაფრთხილებდა დაცვა, დაგვეტოვებინა შენობა. ჯერ თავს ვიკავებდი, მაგრამ მალე იძულებული გავხდი, თანამშრომლებისთვის გამომეცხადებინა, შეენწყვიტათ უკვე სანახევროდ მომზადებულ გაზეთის ახალ ნომერზე მუშაობა და გასცლოდნენ იქაურობას. ეს დროულად მოხდა, ამიტომ უვნებლად გადავრჩით ყველანი.

## სიზნად

გაზეთ „სპორტის“ ერთ-ერთ ოპერატორ-დამკავადადონებელად მუშაობდა შესანიშნავი პიროვნება **დავით გეგეჭკორი**, რომელიც ამავე დროს გაზეთ „განათლების“ თანამშრომელი იყო. „ლელოსთან“ „სპორტის“ შემოერთების შემდეგ, დავითი შეთავსებით კვლავ დარჩა ჩვენთან. მისი შემწეობით, 2007 წლის იმ ტრაგიკული 7 ნოემბრის ღამეს ნომრის ჩავარდნის მეორე დღესვე „განათლების“ რედაქციაში შევქელით გაზეთის გამოცემის გაგრძელება. საკუთარი აღარაფერი გავგაჩნდა, გარდა ინტელექტუალური რესურსისა. „განათლებამ“ და კოლეგებმა დათრგუნვილები გავგამხნევეს, უშურველად მოგვცეს თავიანთ კომპიუტერულ ტექნიკაზე მუშაობის შესაძლებლობა. იქ, კინოსტუდიის ტერიტორიაზე კი „ლელოს“ რედაქცია დიდხანს იყო დალუქული, ან რა აზრი ჰქონდა კაბინეტებსა და ოთახებზე ლუქის ახსნას, როცა მუშაობის გაგრძელება იქ უკვე შეუძლებელი იყო. რამდენიმე თვე დაგვჭირდა ფეხზე წამოსადგომა, წელში გამართვა – ნურას უკაცრავად!

პრობლემების მარწმუნები ყელში გვწვდა, ხსნა კი ჯერაც არსაიდან ჩანდა.



## პალიტრა მედიაში

2007 წლის გაზაფხული იყო. იმ დღეს და რიცხვს, „ლელოს“ ახალი სიცოცხლის ათვლის ნერტილად რომ იქცა, ზუსტად ვერ ვიხსენებ – ერთ სოლიდურ ღონისძიებაზე ვიყავით მინვეულები მასმედიის წარმომადგენლები. მე და **კობა სვინტრაძე** წავედით. რალაც მომენტში „მედიაპალიტრის“ ხელმძღვანელებთან ერთად მოვხვდით. გავიხსენე, დიდი გაჭირვების ჟამს როგორ იზიარებდა ჩვენს პრობლემებს მათი სტამბა. იქვე ვთქვი, რომ ურიგო არ იქნებოდა, „მედიაპალიტრის“ საგამომცემლო სახლის ქოლგის ქვეშ „ლელოც“ თუ გაერთიანდებოდა. მეტი იქ ნამდვილად არაფერი გვითქვამს, მაგრამ შემდეგ, სხვა დროს, თემა კობას განუვრცია. ჩვენი სურვილების დამთხვევის შემდეგ დრო დავთქვით, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად. პრობლემას მხოლოდ „იმედის“ დარბევისას განადგურებული ბუღალტერია გვიქმნიდა. თუ როგორ იჩინა თავი ამ დილემამ მოგვიანებით და რის საზღაურად პირადად ჩემთვის, გახსენებაც არ მინდა.

ძალიან თბილად მიგვიღეს „მედიაპალიტრის“ დიდ და ჯანსაღ ოჯახში. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დიდი ხნის ნანატრი ნევრი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. შეგვიქმეს შესანიშნავი სამუშაო პირობები, მოგვეხსნა გაზეთის წარმოებასა და რეალიზაციასთან, სხვა ურთულეს პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები. ურთიერთობის პირველი დღიდანვე ვიგრძენი: მორჩა, ბოლო მოეღო ამ ისტორიული გაზეთის მომავალ ბედზე დიდი ხნის გაუნელებელ წუხილს და დარდს. „მედიაპალიტრა“ და მისი ხელმძღვანელობა ამ ყველაფრისთვის, „ლელოს“ ყველა თაობის მკითხველთა და საერთოდ, ქართული სპორტის სამყაროს სახელით ალალ მადლობას იმსახურებს.

გაზეთის გასაძლიერებლად და მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობის მმართველობის საგამომცემლო სახლთან ერთიან სისტემაში მოყვანის უზრუნველსაყოფად, საგამომცემლო სახლმა თავისი წარმომადგენელი ჩართო „ლელოს“ ორგანიზაციულ საქმიანობაში. ამ ნაბიჯის წყალობით ბევრი პრობლემა მოგვარდა და მართლაც გაზეთს დიდად წაადგა ასულიყო ახალ სიმაღლეზე.

\*\*\*

ფაქტია, რომ „მედიაპალიტრის“ ორბიტაში მოქცევამ, ბოლო წლებში „ლელოს“ სარედაქციო და საგამომცემლო საქმიანობის ხარისხობრივი გაუმჯობესების რეალური პირობები შექმნა. ახალი რუბრიკები ინტერესით მიიღო მკითხველმა. განსაკუთრებით გამოვეყოფდი რუბრიკას „ლელოს“ სტუმარი. საგამომცემლო სახლის საკონფერენციო დარბაზში „ლელოს“ ბანერის ფონზე ტარდება ეს შეხვედრები. მოწვეულთა მიღება-გამასპინძლებების ჩინებული პირობები და ატმოსფერო ამაღლებულ განწყობას ქმნის. არა მხოლოდ ლეგენდარული და საყოველთაოდ ცნობილი სპორტსმენები თუ სპორტის სპეციალისტები, არამედ გვსტუმრობდნენ ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერების აღიარებული წარმომადგენლები, რომელთა ცხოვრება – შემოქმედებაში სპორტს გარკვეული ადგილი ეკავა თუ უკავია დღესაც.

ყველამ კარგად იცის, სიახლე თავისთავად მგარკვეულ რისკსაც რომ შეიცავს. შოკისმომგვრელი აღმოჩნდა რედაქციის ზოგიერთი მუშაკისთვის გზა, რომე-





ლიც მე და კობა სვინტრაძემ ავირჩიეთ. იყვნენ ამ გზის მომხრეებიც, მონინაალმდეგეებიც და ნეიტრალეებიც – უფრო მოვლენების დამკვირვებლები. ჩვენი მხრიდან გადანყვეტილების შეცვლა პრინციპულად გამოირიცხა. მერე ყველამ ყველაფერი კაცურად დავივინყეთ. მაშინ პირველად დამაფიქრა იმან, რომ ზეციდან დაგვეყურებდა გარდაცვლილ ლელოელთა სულები და მოგვიწოდებდა ერთიანობისა და სიყვარულისკენ, რითაც „ლელოს“ რედაქცია ქართულ მედიასივრცეში აშკარად სამაგალითო იყო ყოველთვის.

2013 წლის ბოლოს კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ნაბიჯი გადაიდგა „ლელოს“ ისტორიაში – შაბათობით გაზეთის ნაცვლად გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი „ლელო ნეეკ“, რომელიც ფერადია და გამოირჩევა ბექტვის მაღალი დონით.

„მედიპალიტრაში“ „ლელომ“ ზაფხულისა და ზამთრის ორ-ორი ოლიმპიური თამაშები მიითვალა. მეც მხვდა წილად ბედნიერება, მივლინებული ვყოფილიყავი ოთხივე ოლიმპიადაზე. თანამედროვე ტექნიკით კი შესაძლებელი გახდა არა მარტო გაზეთისთვის, არამედ ჩვენი საგამომცემლო სახლის სხვა მედიასაშუალებებისთვისაც შეუფერხებლად და ოპერატიულად მომეწოდებინა ინფორმაციები.

ბარემ აქვე ვიტყვი ლონდონში გამართულ ზაფხულის ოლიმპიადაზე.

ამჯერადაც ჩვენმა 35-მა ათლეტმა მოიპოვა თამაშებში გამოსვლის ლიცენზია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ყველაზე მეტი მედალი სწორედ ლონდონში დავიმსახურეთ. მონაგრიდან ერთი ოქრო იყო, სამ-სამი ვერცხლი და ბრინჯაო. მანამდე სამივე სინჯის ოლიმპიური ჯილდო ერთ თამაშებში ერთბაშად არასდროს დავიმსახურე-



ბია. ჩემპიონი გახდა გორში აღზრდილი ძიუდოისტი, 20 წლის **ლაშა შავდათუაშვილი**; ვერცხლის მედალს ამ ოლიმპიადაზე დაეუფლნენ მოჭიდავეები **დავით მოძმანაშვილი** და **ვლადიმერ სინჩეგაშვილი** (ორივე – თავისუფალი), **რევაზ ლაშვი** (ბ/რომაული); თავისუფალ ჭიდაობაში **გიორგი გოგშელიძემ** პეკინის შემდეგ ამჯერადაც ბრინჯაო მოიპოვა, იგივე წარმატება მის თანაგუნდელ **დავით მარსაგიშვილსაც** ხვდა წილად ლონდონში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ასევე მესამე იყო **მანუჩარ ცხადაია**.



### იპოდრომი, რაგბი და გაზეთი ლელო

ყმანვილობაში ცხენოსნობათ ვიყავი გატაცებული და ვარჯიში დელისის მინდორზე, ჯერ კიდევ მშენებარე იპოდრომზე დავიწყე. დედაქალაქში იპოდრომის აღდგენის (აღრე იპოდრომი დიდუბეში იყო) მოთავე, მეცხენეობის და ცხენოსნობის დაულალავი მოამაგე, გენერალი, ლეგენდარული **კაპიტონ ნაჭყეზია** იყო. თავისი ქვეყნის ამ დიდმა პატრიოტმა, საქართველოში ცხენოსნობისა და მეცხენეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების აღდგენის ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად ირგვლივ შემოიკრიბა უკვე თადარიგში გასული კვა-



ლერიის ქართველი ოფიცრები. მოხდა ისე, რომ მათი დაუჯერებელი ენთუზიზმის მომსწრე და მონაწილეც კი გავხდით. კაპიტონ ნაჭყებიას მაღალ ავტორიტეტს ყველა სცემდა პატივს, ყველგან მიესვლებოდა. გენერლის ფორმით ამ ახოვანი ვაჟკაცის ხილვა ერთ რამედ ღირდა. სხვათა შორის, გენერლობა მას ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას დაუმსახურებია. ეს ის ნაჭყებია გახლავთ, თეირანში „დიდი სამეულის“ (რუზველტი, ჩერჩილი, სტალინი) შეხვედრაზე 1943 წელს რომ ახლდა საბჭოთა ჯარების მთავარსარდალს **იოსებ სტალინს**.

შთამომავლობა საქართველოში ქართული საცხენოსნო კულტურის აღორძინებას ამ ღირსეულ მამულიშვილს უნდა უმადლოდეს და ცხენოსარბიელის (ასე იწოდებოდა ისტორიულად) გაშენებას თბილისში, რომლის მიზანძვით შემდეგ ბევრგან გაჩნდა იპოდრომები საქართველოში.



**პირველი თაობის მორაგბეები**

**კაპიტონ ნაჭყებია**მ თავად გამოიკვლია ქართული მეცხენეობისა და ცხენოსნობის ტრადიციები, აღადგინა ქართული ცხენოსნური თამაშები და ჩაატარა პირველი შეჯიბრებები. შრომითი საქმიანობა მისი ხელდასმით დავინწყე, მენდობოდა და მათამამებდა. წიგნი, რომ გამოსცა ქართულ ცხენოსნურ თამაშებზე ერთ-ერთ პირველს მისასხოვრა ძალიან თბილი წარწერით. 1960-იანი წლების დასაწყისში, თბილისის იპოდრომზე საბჭოთა კავშირში პირველი კემპინგი გაიხსნა საბჭოთა და უცხოელი ავტოტურისტებისთვის. კემპინგის ტერიტორიაზე ერთ-ერთ ფინურ სახლში მისი კაბინეტი და იპოდრომის ადმინისტრაცია იყო განთავსებული. ბევრჯერ შევსწრებივარ მის შეხვედრებს საბჭოთა თუ უცხოელ ტურისტებთან. საოცარი ის იყო თითქმის ყველა მათგანს ან მათსავე ან ყველასთვის გასაგებ ენაზე ებაასებოდა. 16 ენაზე ლაპარაკობდა, მათ შორის კავკასიის ხალხთა ენებზე.

1950-იანი წლების მეორე ნახევარში ბევრს ლაპარაკობდნენ საქართველოში ხელბურთის და რაგბის დანერგვაზე. საკითხი სერიოზულად განიხილებოდა



სპორტულ ორგანიზაციებში. სიახლეებზე „ლელო“ მუდამ მიყურადებუი იყო და რეაგირების გარეშე, ბუნებრივია, არც ეს ამბავი დარჩებოდა. რაგბიზე ჩვენ გაზეთში რამდენიმე გაცნობითი წერილი დაიბეჭდა, ფიქსირდებოდა სპორტის ამ სახეობის დასაწერად გადადგმული ნაბიჯები. პირველი ნაბიჯებით, ვერ ვიტყვი, რადგან ჯერ კიდევ 1930-იან წლებში დასტურდება საქართველოში რაგბის არსებობა. ანდა, ვინ იცის, იქნებ სულაც გაცილებით დიდი ხნით ადრე იხილეს ქართველებმა ჭიათურაში მომუშავე ინგლისელების რაგბის თამაში. უნდა ითქვას, რომ 1930-იან წლებში ქართველთა ტრადიციული, მამაპაპური ლელობურთი უკვე აღორძინებული იყო მთელ რესპუბლიკაში და ტარდებოდა შეჯიბრებები. ასე რომ, რაგბთან ესოდენ ახლოსმდგომი ჩვენი ეროვნულ ლელობურთს უკვე შესანიშნავი ნიადაგი ჰქონდა შემზადებული ინგლისის ქალაქ რაგბიდან წამოსული ამავე ქალაქის სახელით ცნობილი თამაშის სამასპინძლოდ თუ ერთხელ და სამუდამოდ გასათავისებლად.

ჩემდა უნებურად მხვდა წილად ბედნიერება ვყოფილიყავი საქართველოში რაგბის ოფიციალურად დაბადების თვითმხილველი, ანუ თვალი მიმედევნებინა იმ ერთუზიასტი ბიჭების საქმიანობისთვის, რომლებიც თბილისში დელისის ველზე ახალგაშენებულ იპოდრომის მოედნის ცენტრში პირველად შეიკრიბნენ და დაიწყეს თამაში ბურთით, რომელსაც რაგბი ერქვა. სტუდენტი ვიყავი, იპოდრომზე ვცხოვრობდი და იქვე ღამით ვმუშაობდი კიდევ დარაჯად.

იპოდრომის დირექტორმა, გენერალმა **კაპიტონ ნაჭყებია** მის მორაგბე ბიჭები მოგვიანებით შენიშნა და, როგორც თავის თანამშრომელს მიხვოვა, გამერკვია, თუ ვინ იყვნენ და რას აკეთებდნენ. რადგან მე უკვე ვიცოდი, ყველაფერი ვუთხარი მათ შესახებ. კარგია, კარგი, ხომ ხედავ, იპოდრომი სპორტის სხვა სახეობებისთვისაც საჭიროაო, – თქვა. სხვათა შორის, მეერ ავტომობილებმაც მოაკითხეს იპოდრომს, ერთხანს მათაც ილაღეს, მაგრამ ცხენებისა და ავტომობილების, თანაც ერთმანეთის „მტრების“ (ტექნიკურმა პროგრესმა ხომ ფუნქცია გარკვეულწილად მინიმუმამდე შეუმცირა ცხენთა მოდგმას), ჯირითი ერთ სარბიელზე შეუთავსებელი აღმოჩნდა.

რაგბმა ჭეშმარიტად გულანთებული ბიჭები აიყოლია. პირველი თაობის იმ ვაჟკაცებთან ვმეგობრობდი კიდევ. ზაალ გიგინეიშვილის დამსახურებაა, რომ რაგბის ტერმინოლოგია, ჩვენდა საამაყოდ, გაქართულდა და დაიხვეწა, რაშიც დიდა ჩენი ხალხის ყოფით წიაღში აღმოცენებული და საუკუნეებში გამოტარებული ლელობურთის წვლილი.

ერთ-ერთმა პირველმა წერა რაგბიზე ქართულ პრესაში მე დავიწყე. ძალიან კრიტიკული ვიყავი მათ მიმართ, ვინც ჩვენში სპორტის ამ ახალი სახეობის დაწერვისადმი იჩენდა გულგრილობას, მხარში ვედექი ერთუზიასტებს და სპეციალისტებს. ზაალ გიგინეიშვილმა საქართველოში რაგბის დამკვიდრება-განვითარების ისტორია დაწვრილებით შეისწავლა და ნაშრომიც გამოაქვეყნა, სადაც ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ამასაც წერს: „ლელოში“ შეჯიბრს სისტემატურად აშუქებდა **თენგიზ გაჩეჩილაძე** და მწურთნელთა გულის-ტკივილსაც დაუფარავად წერდა. უნივერსიტეტი ჩიოდა, დარბაზში არ გვიშვებნო; ქუთაისი წუხდა, ქალაქში სულ 18 რეგბისტი ვართო; ლოკომოტივის აზრით, რეალურად არაფერს აკეთებდა ფედერაცია, ამისი თავმჯდომარის



მოადგილეს, გივი მრელაშვილს კი ადარდებდა ფიზკულტურის ინსტიტუტის კვლავაც თამაშვარეთ ყოფნა და ლელობურთის რაიონებისადმი ქრონიკული უყურადღებობა“ (სტილი დაცულია).

## გადაინახა

1950-1960-იან წლებში ჩვენი სპორტსმენები მეტწილად მატარებლით მიემგზავრებოდნენ მოსკოვში თუ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებზე. მატარებლით ბრუნდებოდნენ შინაც. საზღვარგარეთ კი მოსკოვის გვერდის ავლით გამგზავრება ყოველად შეუძლებელი იყო. მაგალითად, საქართველოდან საბჭოთა ნაკრებში გამოძახებული, ვთქვათ, ბათუმელი სპორტსმენი, თურქეთში დაგეგმილ ასპარეზობაზე აუცილებლად მოსკოვის გავლით უნდა ჩასულიყო.

მატარებლით მგზავრობა იმიტომაც ვახსენე, რომ რკინიგზის ბაქანზე გასვლა ზემოაღნიშნულ წლებში ფასიანი იყო. და მაინც, ხალხი გამარჯვებული სპორტსმენების შესახვედრად თბილისის რკინიგზის სადგურზე ყოველთვის მრავლად იყრიდა თავს. განსაკუთრებით ხალხმრავლობა დედაქალაქის ვაგზალზე 1962 წელს შეინიშნებოდა. რა ასაკის და პროფესიის ადამიანს არ შეხვდებოდით იქ იმ ისტორიულ დღეს. ბაქანი დამხვდურებს ვერ იტევდა და მიმდებარე ქუჩებშიც იყო გადაჭედული. თბილისში ბრუნდებოდა ელიზავეტა ბიკოვას მძლეველი, მსოფლიოს ახალი, რიგით მეხუთე ჩემპიონი ქალ მოჭადრაკეთა შორის **ნონა გაფრინდაშვილი**. მაშინ, დელისის იპოდრომზე დილის ვარჯიშს მოვრჩით თუ არა, ცხენოსნებმა გადავწყვიტეთ ასე ამხედრებულები გავსულიყავით რკინიგზის სადგურზე ჭადრაკის ახალი დედოფლის შესახვედრად. წინ ცხენშებმული ეტლი მიგვიძლოდა. რალა თქმა უნდა, ნონა ვაგზლის მოედანზე გამოვიდა თუ არა, ეტლში ჩასვეს. ასე გავიარეთ ქუჩებში. დიდებული სანახავი იყო ეს ყველაფერი, მთელი თბილისი ფეხზე იდგა. ნონა ეტლით პირდაპირ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში მიიყვანეს (მაშინ ერთი ტელევიზია იყო).

## XX საუკუნის ბაზთი

„ლელო“ XX საუკუნე დამსახურებული აღიარებით დაამთავრა. 2000 წელს საყოველთაო გამოკითხვით გამოვლინდა სპორტის სფეროში სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული. ეს წარმატება ქართულ სპორტულ გამოცემებს შორის ჩვენს გაზეთს ხვდა წილად. და ეს იყო „ლელოს“ ყველა თაობის, თითოეული ლელოელის ღვაწლის დაფასება. ის სპეციალური ჯილდო, საზეიმო საღამოზე ფილარმონიაში, 2001 წლის იანვარში, მე გადმომეცა – კარგად იყო ჩაფიქრებული – „ლელოს“ რეფორმატორი რედაქტორის **არჩილ გოგელიას** ხელით.

## მეცნიერება და „ლელო“

„ლელოს“ ფუნქციას ამაღლებდნენ და წარმატებით აძლიერებდნენ მეცნიერები და მკვლევარები, რომლებიც მოღვაწეობდნენ სპორტის სფეროში. თანაც რა ფართო იყო სპექტრი: პედაგოგია, ფსიქოლოგია, მედიცინა, ფიზიოლოგია, ანატომია, ბიოქიმია, ბიომექანიკა... ეს ის მეცნიერებებია, ურომლისოდაც სპორტში შეუძლებელია დიდი და თვალსაჩინო წარმატებების მიღწევა. ეს საგ-





ნები სპორტის აკადემიაშიც ისწავლებოდა. „ლელოში“ გამოქვეყნებული მეცნიერული პუბლიკაციები წარსადგენად აუცილებელი იყო ავტორებისთვის დისერტაციის დაცვისას, რაც სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისთვის სარწმუნო და ოფიციალურ წყაროდ ითვლებოდა თავიანთი დასკვნების გასამტკიცებლად.

## პარდუბიცი

1990 წლის გაზაფხული იწურებოდა. „ლელოში“ ცხენოსნობის ფედერაციის წარმომადგენლები და ვეტერანი მხედრები შევიკრიბეთ. უცხოეთში დამოუკიდებლად გასვლის გზებს ვეძებდით. პარდუბიციც ტრადიციულ სტიპლჩეიზე შევაჩერეთ არჩევანი. გადაწყვეტით ჩხეთში ორგანიზატორებთან დაკავშირება და ნიადაგის მოსინჯვა – შეგვეძლო თუ არა ამ პოპულარულ ცხენოსნურ ღონისძიებაში მიგველო ჩვენი ცხენ-მხედრებით მონაწილეობა. ჩვენდა გასაოცრად, თანხმობა მივიღეთ. დავინწყეთ მზადება, წამოიჭრა უამრავი ორგანიზაციული საკითხი. **მურმან ომანიძე**, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი, მხარში ამოგვიდგა. მთა-



ზაზა გონჯილაშვილი

### 1991 წელი. პარდუბიციში აღლუმზე ამერიკისა და საქართველოს სახელმწიფო დროშები გვერდიგვერდ ფრიალებდა

ვარი პრობლემა ცხოველების ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაყვანის წეს-კანონებთან მორგება იყო. ესეც მოგვარდა და ჩავედით კიდეც პარდუბიციში. არ ვიცი, ვის ეცა ელდად, ვინ ვის რა დონეზე აცნობა ეს ამბავი, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის დელეგაციამ პარდუბიციში ასპარეზობის ორგანიზატორებს კატეგორიულად მოსთხოვა, ქართველები არ დავეშვიტ ცალკე საასპარეზოდ – რუსებთან ერთად გამოვსულიყავით ერთიან გუნდში. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მასპინძლები. მოკრძალებით შემოგვთავაზეს რუსთა პირობა, მაგრამ პრინციპულად ვიუარეთ. სხვა გზა რახან აღარ რჩებოდა, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, გადაწყვეტილების მიღება ჩემ თავზე ავიღე. რადგან რუსები ორგანიზატორების შუამავლობით გველაპარაკებოდნენ, მეც მათი პირით შევეუთვალე კატეგორიული უარი ულტიმატუმით: ან გამოვიდოდით ცალკე გუნდად ან შევეკრებდით მასმედიის წარმომადგენლებს და ჩვენს პოზიციას მიზეზის დასახელებით დავაფიქსირებდით პრესკონფერენციაზე, რაც დასრულდებოდა პროტესტის ნიშნად შეჯიბრების დატოვებით და შინ დაუყოვნებლივ დაბრუნებით. ამ საუკუნოვან ღონისძიებას, რა თქმა უნდა, ეს ჩრდილს მიაყენებდა. რა არგუმენტები ჰქონდათ მასპინძლებს, რომ რუსებს უკან დაეხიათ, ჩვენ ვერ გავიგეთ, მაგრამ ფაქტია, დაგვიშვეს. როგორც ამ ასპარეზობის, ისევე ქართული სპორტის ისტორიაში, ჩვენი მხედრები პირველად



იბრძოდნენ წარმატებისთვის ევროპის უძლიერეს ცხენ-მხედართა მხარდამხარ. და კიდევ, იქ, პარდუბიციეში, 1990 წლის 14 ოქტომბერს საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე პირველად აფრიალდა საქართველოს ეროვნული დროშა და ამავე დროშით გამოვედით შეჯიბრების გახსნის აღლუმზეც. ეს ფაქტი „ლელოს“ 1990 წლის ოქტომბრის ნომერშია დაფიქსირებული.

1991 წლის შემოდგომაზე უკვე დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყავით. ახლა უფრო თამამად მიგვიწვიეს მასპინძლებმა და დიდი პატივითაც მიგვიღეს. აქვე ვიტყვი, რომ „კაპიტან პოპლერის პრიზზე“ ქართველმა მხედარმა **ზაზა გონჯილაშვილმა** მეხუთე ადგილი დაიკავა, ანუ საპრიზო ხუთეულში მოხვდა, რაც ნამდვილად კარგი მიღწევა იყო. მთავარი კი ისაა, რომ ამ ისტორიული და უზოპულარეს ასპარეზობაში მონაწილეთა ტოლ-სწორად გვეცნეს ორგანიზატორებმა და პირობა მოგვცეს ყოველწლიურად მიგვიწვევდნენ. სამწუხაროდ, საქართველოში იმ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ამის შესაძლებლობა აღარ მოგვცა.

## ნუ კაკ „ლელო“

1976-1977 წლებში ლვოვში ვმსახურობდი ჯარში. ქართველები ერთ ნაწილში 24 ვიყავით. მე მშობლებმა „ლელო“ გამომიწერეს ჩემი თხოვნით, რადგან სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგი ვიყავი და სამხედრო სამსახურში რომ გამიწვიეს, ერთადერთი სადარდებელი ის მქონდა, „ლელოს“ ველარ წავიკითხავდი. ამაზე ყველგან ვამბობდი და ბევრი მეუბნებოდა, რა პრობლემაა, გამოავაზენე მისამართი, სად იქნები, აქ გამოგიწერენ და გამოგიგზავნიანო. დავმშვიდდი. მერე ასეც მოვიქეცი. უნდა გენახათ, ნაწილში რა ამბავი იყო. ყველა ქართველს სურდა „ლელოს“ წავითხვა. ბოლოს გაცრეცილი მიბრუნდებოდა.

ერთ დღეს პოლიტნაწილის უფროსმა დამიბარა და განმარტება მომთხოვა, რა გაზეთს ვიღებდი, ყველა ქართველი ასე რომ მოელოდა მის მიღებას და წავითხვას. ავუხსენი ყველაფერი.

გასაგებია, რომ დისიდენტურ გაზეთს არავინ გამოავაზენიდა. მივუტანე იმ ვიცე-პოლკოვნიკს ერთი ახალი ნომერი და წავაკითხე ტიტულის ქვემოთ რუსული წარწერა, სადაც ამოიკითხა, რომ ეს იყო „საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტისა და საქართველოს პროფკავშირის ორგანო“. ის კაციც დანყნარდა და ჩვენც. პირიქით, ქართველებს შეგვაქებდა ხოლმე სიტყვებით: „ნუ კაკ „ლელო!“ – კარგად დაიმახსოვრა გაზეთის სახელი.

*ბადრი შერგელაშვილი, ქუთაისი*

## „ლელო“ სუპინირი

**მეკლუდ მიმინოშვილი** იგონებს: „1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ავსტრია – ჰოლანდიას მსაჯობა დამავალეს. ჩემი ასისტენტები **ანატოლი მილჩენკო** და **მკრტიჩიანი** იყვნენ, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ასეთი რანგის მატჩს ამიერკავკასიის მსაჯთა ბრიგადა ემსახურებოდა.

ვენაში სტადიონზე ბევრი ქართველი-ებრაელი მოვიდა. ისინი ტრიბუნიდან შეძახილებს არ გვაკლებდნენ. როცა ვენის სტადიონზე ქართული ხმამაღლა გესმის, ეს ძალიან სასიამოვნოა და, რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება ძალიან დასაფასებელია. ავსტრიაში საქართველოდან წასულ ებრაელებს თამაშის შემდეგ

უნდოდათ ჩვენი მონახულება, მაგრამ სტადიონის დაცვამ ჩვენამდე არ მოუშვა.

მატჩის მეორე დღეს ვენის იმ უბანში მოვხდით, სადაც საქართველოდან წასული ებრაელების მალაზიები იყო – მალაზია ჩახვაშვილი, მალაზია მიხელაშვილი.... ერთ-ერთ ასეთ მალაზიაში შევედით, ძალიან გაუხარდათ. ებრაელებმა გვითხრეს, აქ მეტი თავისუფლება კი არის, მაგრამ საქართველო და ქართული ურთიერთობები მაინც ძალიან გვენატრებაო. მათ ისიც გვითხრეს, მალაზიაში რასაც ხელს დაადებთ, საჩუქრად მოგართმევთო. მოკლედ, ჩვენ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინეს. მეც გადავწყვიტე, ქართული სიმღერების ჩანაწერებიანი კასეტები მეჩუქებინა. ჩემდა გასაკვირად, მათი აღტაცება კასეტებზე მეტად გაზეთმა „ლელომ“ გამოიწვია – კასეტები სწორედ „ლელოში“ მქონდა გახვეული. არასდროს დამავიწყდება „ლელოს“ ხილვის სიხარულით გამოწვეული ცრემლმომდგარი მათი თვალები...”

### პირველი რეჟირენდუმი

„ლელოს“ ჟურნალისტთა თაოსნობით 1964 წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ ჩაატარა პირველი რეჟირენდუმი წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ არჩევანი საკმაოდ სოლიდური იყო – იმ წელიწადს ოლიმპიური თამაშები ჩატარდა – ორი ჩემპიონი და ცხრა პრიზიორი გვყავდა, საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა საუკეთესოდ აღიარეს **სლავა მეტრეველი**, რაც იმაზე მიანიშნებს, რა უსაზღვრო იყო ფეხბურთისადმი სიყვარული და როგორ პატივს მიაგებდნენ ჩვენი ფეხბურთის ლიდერებს.



შეტევაშია სლავა მეტრეველი

### კაკაბაძის სტუდია

90-იანი წლების დასაწყისში „ლელოში“ ამ გაზეთის ამაგდარი რედაქტორის **მიხეილ კაკაბაძის** სახელობის სპორტულ ჟურნალისტთა მომზადების სტუდია შეეკმენით, რამაც საოცარი დაინტერესება გამოიწვია. მერე მსმენელთაგან



ბევრმა დაიწყო მუშაობა მედიაში, ბევრიც სპორტის ცნობილი ფუნქციონერი ან მწვრთნელი გახდა. სხვათა შორის, მსმენელთა შორის იყვნენ სპორტის ცნობილი სპეციალისტებიც, რომლებსაც თავიანთ ვალდებულებად მიაჩნდათ, გარკვეულიყვნენ ჟურნალისტიკის პრინციპებში, რაც მათ სასიკეთოდ წაადგებოდათ ურთიერთობაში საზოგადოებასთან.

## ფიფა და ლელო

1985 წელს თბილისმა ფეხბურთში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის მატჩებს უმასპინძლა. ტურნირს „დინამოს“ სტადიონზე ფიფას პრეზიდენტი **ჟოაო აველანჟი** დაესწრო, რომელიც უაღრესად კმაყოფილი დარჩა ასპარეზობის მასპინძლობით და ორგანიზაციით. მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა პრესცენტრის მუშაობამ, რომლის მთელმა სიმძიმემ „ლელოს“ ჟურნალისტების მხრებზე გადაიარა. იმ წლიდან მოყოლებული ფიფა მუდმივად გვილოცავდა ყოველი ახალი წლის დადგომას საუკეთესო სურვილებით. მერე, 2007 წელს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა რედაქციებს რომ დაგვატოვებინეს, ფოსტა ჩვენი სამყოფელის მოძიებით და გზავნილის მოწოდებით თავს აღარ იწუხებდა და კონტაქტი ფიფასთანაც გაწყდა.

## ლელო“ სახელმძღვანელო

2013 წლის გაზაფხულზე რედაქციაში ქალბატონი გვენჯია, რომელიც გაგვეცნო როგორც აშშ-ში სხვა ხალხების ენების შესწავლის მსურველი სტუდენტების კოორდინატორი კომპანიის წარმომადგენელი საქართველოში. მისგან საინტერესო ამბავი შევიტყვეთ. გვითხრა, რომ ამერიკის მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია ქართული ენის შესწავლის მსურველთა სტუდენტური ჯგუფები და სპეციალურ ჟიურის, რომელიც განიხილავდა საკითხს, ქართული პერიოდული გამოცემიდან რომელი შეერჩიათ სახელმძღვანელოდ, უპირატესობა მიუნიჭებია „ლელოსთვის“. ცხადია, დავინტერესდით, როგორი იყო ჟიურის მოთხოვნები და რამ განაპირობა „ლელოს“ უპირატესობა. „უპირველესი პირობა იყო, რომ გაზეთი არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური გამოცემა, დანარჩენი ყველა მოთხოვნა მისაღები აღმოჩნდა“; – გვითხრა სტუმარმა. დანარჩენში იგულისხმებოდა გაზეთის ასაკი, ტრადიციულობა, ყოველდღიურობა, ფერადი გვერდები და გვერდების რაოდენობა, შინაარსობრივად მრავალფეროვნება, ქართული ენის ნორმების დაცვისადმი ერთგულება და ა.შ. მოკლედ, მოთხოვნის ყველა გრაფაში „ლელოს“ დადებითი შეფასება დაუშასურებია. თანამშრომლობის მემორანდუმში უმაღლესი შევიმუშავეთ და აშშ-ში ქართული ენის შემსწავლელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ „ლელოს“ აღიარება ოფიციალურად გაფორმდა. ეს ფაქტიც ოქროს ასოებით შევიდა ჩვენი გაზეთის ისტორიაში.

## „კუნას თასი“

ახალბედა ჟურნალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებსაც სპორტის ჟურნალისტიკაში გზის გაკვალვა სერიოზულა გადაეწყვიტათ, პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს დგამდნენ „ლელოს“ შესწავლით (ამ სიტყვის ფართო გაგებით). საჯარო ბიბლიოთეკაში თუ ჩვენთან, რედაქციაში, ისინი უფროსი





თაობის კოლეგების პუბლიკაციებს გულმოდგინედ ეცნობოდნენ და მათი ნაწერებიდან ბევრსაც სწავლობდნენ. აქ მხოლოდ ერთ მათგანზე – **სალომე ხარატიშვილზე** შევჩერდები. თუ რატომ, ქვემოთ გაიგებთ. სალომე განსაკუთრებით დააინტერესა „ლელოს“ ფეხბურთზე გამოქვეყნებულმა წერილებმა. მერე გაბედა და თავადაც აიღო კალამი ხელში. კარგად გამოსდიოდა წერა ახალი თაობის ფეხბურთელებზე, საფეხბურთო კლუბებზე, აშუქებდა ცალკეულ მოვლენებს. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ ენერგიულმა ქალიშვილმა გაზეთ „ლელოს“ საქმიანობის შესწავლით გამოიკვლია ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ისტორია 1934-1939 წლებში და ერთ-ერთ სოლიდურ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2010 წლის ოქტომბერში **სალომე ხარატიშვილმა** ჩანაფიქრი გამომიხილა – ფეხბურთში ქალთა შორის „ლელოს“ პირველი რედაქტორის **მიხეილ კაკაბაძის** – „კუნას“ თასი გავათამაშოთო. ამ თიკუნით მიმართავდნენ ხოლმე ისევარულით „ლელოს“ ლე-



გენდარულ რედაქტორს. შევეთანხმდით, „ლელოს“ გარდა, სალომემ აიყოლია გაზეთები „მსოფლიო სპორტი“, „11X11“, ტელევიზიები – „I არხი“, „რუსთავი-2“, „იმედი“, რადიო „ჯაკო“ და რადიო ფმ-93,9, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია, ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერაც მოიპოვა და ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა. ასე, მისდაუნებურად გააგრძელა ამ დამწყებმა ჟურნალისტმა „ლელოს“ ტრადიცია. ანუ, გაზეთი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო-მეცნიერებითი და პროპაგანდისტის ფუნქციით, არამედ მუდამ იყო სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზატორიც. აი, ამიტომ გამოვარჩიე ახლა ეს გოგონა სხვებისგან.



### დამსახურება

დაუსრულებლად შეიძლება წერა „ლელოს“ ღვაწლსა და დამსახურებაზე, ამიტომ მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვან წვლილზე შევჩერდები. შეუფასებელია ის დამსახურება, რაც სპორტულ ჟურნალისტთა თაობების აღზრდაში, ქართული სპორტული ტერმინოლოგიის გამდიდრებასა და დახვეწაში გასწია „ლელომ“.

ერთ ღირსსახსოვარ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქართული ენის სინამდის პრინციპების დაცვა. ამ ეროვნულ საქმეში ქართველი ენათმეცნიერები გვერდით ედგნენ ჩვენ გაზეთს. მათ რჩევებს დიდი გულისყურით ეკიდებოდა და ღირსეულადაც აფასებდა რედაქცია. როცა რომელიმე ჟურნალისტი ახალი ტერმინის დამკვიდრებას ან ძველის ახალით შეცვლას მოისურვებდა, ჯერ რედაქციაში იმართებოდა დისკუსია, საბოლოო სიტყვას კი მეტწილად, ამბობდნენ ქართული ენის აღიარებული სპეციალისტები. ასე შეცვალა „კლდეზე ცოცვა“ მეკლდეურობამ, „სამმაგი ხტომა“ სამხტომმა, „პლიაჟის ფრენბურთი“ პლაჟბურთმა, „დამცველი“ მცველმა და ა.შ. ბეისბოლი რომ



შემოვიდა საქართველოში, **პეპი ბოჭორიშვილი**მა, რომელიც სპორტის ამ სახეობას პირველი უწევდა პროპაგანდას „ლელოში“, შემოგვთავაზა შესატყვისი ქართული ტერმინის დამკვიდრება. განიხილებოდა ორი ვარიანტი – „ბაზბურთი“ და „კეტბურთი“. ენათმეცნიერებმა „კეტბურთი“ გვირჩიეს, რადგან მეორე ტერმინი ისევე უცხო სიტყვას („ბაზა“) შეიცავდა. ჩვენმა ფედერაციამ არ მიიღო ეს სახელი და დაჟინებით ამკვიდრებდა „ბეისბოლს“, რაც ნაწილობრივ შეძლო კიდევ, ყოველ შემთხვევაში, გაურკვეველობას მისცა გასაქანი. ვინც იცნობს გსული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს სპორტულ მოძრაობას, იცის, მაშინ სპორტის ჩვენმა სახელოვანმა მოღვაწეებმა რა ბრძოლა გადაიტანეს, რომ „ფუტბოლი“ „ფეხბურთით“, „ტენისი“ კი „ჩოგბურთით“ შეცვლილიყო. მაშინ ასე გაჩნდა „ტანვარჯიში“, „თამაშგარე“, „არეკნი“ და ა.შ...

სპორტის მეცნიერებაზეც უთუოდ უნდა ითქვას. ვერავინ, ვერასდროს, ვერსად ვერ მიაკვლევს იმდენ დოკუმენტურ მოძიებულ-დადასტურებულ ისტორიულ წყაროს საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგან გავრცელებული, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, სპორტის სახეობებისა და ვარჯიშობების თუ ორთაბრძოლების მრავალფეროვნებას, რამდენსაც „ლელოს“ ფურცლებზე. მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე პასუხგაუცემელი არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კითხვა ქართული სპორტის წარსულთან დაკავშირებით.

## ჯილდოები

„ლელოს“ ჟურნალისტები ყოველთვის შორს იდგნენ პოლიტიკისგან. თუმცა მათ ჰქონდათ თავისი პოლიტიკა – სპორტი, სპორტის პოლიტიკა. „პოლიტიკა“ ბერძნულია და უცხო სიტყვათა ლექსიკონში ორი განმარტება აქვს. მეორე მნიშვნელობა ასეთია: „2. (საუბ.). მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება“. აი, რა არის ჩვენი პოლიტიკა სპორტის სფეროში. სპორტში მოღვაწე „ლელოს“ ჟურნალისტთა თაობები ერთგულად ემსახურნენ ამ პოლიტიკას, მთელი ცხოვრება მიუძღვნეს მას და თავიანთი „ლელოც“ გაიტანეს დროსთან და ცხოვრებასთან ჭიდილში. ფუქემყარი ტრადიცია კი გრძელდება. ჩვენ არ ვიბრძოდით რეგალიებისთვის, მაგრამ დაფასება, მე ვიტყვოდი, ღირსეულად ნაღვანიდან გამომდინარე, თავისთავად მოდიოდა.

## „ლელოს“ პიპლოთიკა

ახლა ნამდვილად ვერ ვიხსენებ „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით ქართულ ენაზე სპორტული ლიტერატურის გამოცემის იდეა პირველად ვისგან წამოვიდა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს სიახლე დროული იყო და მონონებით აიტაცეს როგორც სპორტის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებმა და მწერლებმა, ისე საზოგადოებამ. გამომცემლობა

„საბჭოთა საქართველოში“, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩის №5-ში ბინადრობდა, უკვე შექმნილი იყო და მუშაობდა განყოფილება, რომელიც სპორტისა და ტურიზმის განხრით გეგმავდა და ახორციელებდა გამომცემებს. ეს საქმე მინდობილი ჰქონდათ შესანიშნავ ადამიანებს, რომელთაგან ავტორთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა განყოფილების ხელმძღვანელი **ნოდარ ძონენიძე**.



ნიგნები „ლელოს“ ბიბლიოთეკის“ სერიით გამოდიოდა გამომცემლობის მიერ დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად და გამორიცხული იყო ჩავარდნა. ხსენებული სერიით ძირითადად სპორტის თემაზე შექმნილი მხატვრული ლიტერატურა იბეჭდებოდა. ჩვენი გაზეთის ლოგოთი ეს გამოცემები საბჭოთა კავშირის დაშლამდე არ შეწყვეტილა. რაც მაშინ მოესწრო, „ლელოს“ ბიბლიოთეკამ“ შემოინახა როგორც საქართველოს, ისე მსოფლიო სპორტული სამყაროს გამოჩენილი სპორტსმენებისადმი თუ ღირსსახსოვარი სპორტული მოვლენებისადმი მიძღვნილი გამოცემები, რომლებიც არასდროს დაკარგავს მკითხველთა ინტერესს.



„ლელოს“ ბიბლიოთეკით“ შეგულიანებული მრავალრიცხოვანი მკითხველის სათქმელი შესანიშნავად გამოხატა ცნობილმა ჟურნალისტიმა **დიტო გელოვანმა**, რომელმაც 2013 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში გაიხსენა: „ჩემს ბავშვობაში იყო ნიგნების ასეთი სერია „ლელოს“ ბიბლიოთეკა“. მქონდა სტენლი მეტიუზის – „35 წელი მარჯვენა ფრთაზე“, ანდრო ჟორდანისა – „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“ და მქონდა „რამდენიმე ეპიზოდი სპორტული ცხოვრებიდან“.

2011 წელს ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მოხვედრას მიეძღვნა ალმანახი „ევრობასკეტი“ (საქართველოს ნაკრები 1994-2011). ამ ალმანახით (ავტორი, „ლელოს“ ჟურნალისტი **ვაჟა სიმონიშვილი**) აღდგა გამოცემათა სერია „ლელოს ბიბლიოთეკა“, რომელიც ათეულობით წლებს ითვლის, რაც გამომცემლობა „მედიპალიტრის“ დიდი დამსახურებაა.

## ეს ზურაბ აზმაიფარაშვილი იყო



„ლელოს“ რედაქციაში, ცნობილი სპორტსმენების გარდა, ჯერ კიდევ უცნობ, სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ პერსპექტიულ სპორტსმენებსაც შეხვდებოდით. **თენგიზ გიორგაძეს** რა გამოეპარებოდა. 1970 წლის ერთ დღეს თენგიზმა „ლელოსში“ მოიყვანა უცნობი ყმაწვილი, რედაქციას როგორც ჭადრაკის მომავალი დიდოსტატი წარუდგინა და თანამშრომლებთან ათამაშა კიდევ. ეს **ზურაბ აზმაიფარაშვილი** იყო.





1991 წ. საქართველოს სპორტული თამაშების სიმბოლო. მხატვარი ვახტანგ რურუა

## საქართველოს სპორტული თამაშები

1991 წელს, „ლელოს“ და სეოკ-ის ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოს პირველი სპორტული თამაშების ჩატარება მოხდა. ფაქტობრივად, ამ კომპლექსურ სპორტულ ასპარეზობას უნდა ჩაენაცვლებინა საქართველოს სპარტაკიადა, რომელიც იყო საკავშირო სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილი. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში მაშინდელ ქაოსს და უმართავ სიტუაციას, ჩანაფიქრის რეალიზებას წინ ეღობებოდა უამრავი დაბრკოლება, რომელთა დაძლევის მცდელობაც კი, ჩვენს მესაძლებლობთან შედარებით, სასაცილოდ მოჩანდა. და მაინც, გავრისკეთ იმ იმედით, რომ დასაბამიდანვე სპორტი მშვიდობასთან, ურთიერთპატივისცემასთან, გენბავთ, შერიგებასთან არის გაიგივებული და იქნებ ყოველივე ამისთვის მიგვეცა კიდევ დამატებითი სტიმული არეულ საქართველოში.

სამწუხაროდ, გამწვავებულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ საშუალება არ მოგვცა, ჩანაფიქრი ბოლომდე მიგვეყვანა. არადა, ეს იქნებოდა შესანიშნავი შესაძლებლობა საამაყო ტრადიციების შესანარჩუნებლად და ქართული სპორტის ნგრევის პროცესის დაწყების თავიდან ასაცილებლად.

## ნებადართული პროვოკაცია

ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ან უკვე იყო მოქცეული ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ან ამის საჭიროებას თავად ხედავდა რედაქცია, ძალზე იშვიათი გამოწვევის შემთხვევაში, გარკვეულ „პროვოკაციაზე“ წასვლაც არ იყო გამორიცხული. მაგალითად, დიდხანს იყო სალაპარაკო... თუმცა, იმ ამბავთან დაკავშირებით, რისი თქმაც ქვემოთ მსურდა, სჯობს **თენგიზ გიორგაძეს** მოვუხსინოთ: „იმ წლებში დიდი გატაცებით ვმუშაობდით ქართული ჭადრაკის წარსულის საკითხებზე, ყველაფერზე ხელი არ მიმიწვდებოდა. დროც არ მრჩებოდა. განსაკუთრებით თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ძველი ისტორიის „ჩიჩქნა“ მიჭირდა ჭადრაკზე მასალების მოსაძიებლად. ერთხელ ჩემი გულისტკივილი **მიშას** გავუზიარე. აღარ ვიცი, როგორ მოვიტყვემეთქი, რომ ლიტერატორები, ისტორიკოსები და სხვები ვაიძულო დამეხმარონ.

- ეს ძნელი არ უნდა იყოს, – მცირე დუმილის მერე თქვა რედაქტორმა.
- შენ ისეთი რამე დაწერე, რომ მათ თავი ვალდებულად იგრძნონ, გამოგვემაურონ. დაწერე, მაგალითად, რომ თითქოს „გრიგოლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია ჭადრაკი.
- კი, მაგრამ, ორივე გრიგოლის – ნოსელიისა და ნაზიანზელის დროს ჭადრაკი საერთოდ არ არსებობდა, ეს ხომ მეც ვიცი. ასე რომ, წერილი აშკარად შეცდომიანი იქნება.
- მართალია, მაგრამ ამ წერილს რომ ნახავენ, „ლელოს“ ყველა კითხულობს, უთუოდ ხმას აიმაღლებენ, შეცდომას არ გაპატიებენ.
- მაგრამ შენ დაბეჭდავ ასეთ პროვოკაციულ წერილს?



– დავბეჭდავ. პოლემიკა ყველასთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება. ეგ არის, ცოტას გაგვეკენწლავენ, მაგრამ ნუ შეშინდები, ჭეშმარიტება მსხვერპლს მოითხოვს, – ღიმილით დაასრულა **მიშამ**.

„ლელოს“ 1966 წლის 28 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „რომელი გრიგოლის ცხოვრება?“ როგორც ველოდით, წერილს მალე გამოეხმაურნენ ცნობილი ახალგაზრდა მეცნიერები – **სარგის ცაიშვილი** (შემდგომ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) და **გურამ კარტოზია** (ცნობილი ენათმეცნიერი). მათი პასუხის დაბეჭდვას „ლელოს“ თითქმის ორი გვერდი დასჭირდა. მათ, რა თქმა უნდა, გააბათილეს ჩემი „მოსაზრებები“ და, რაც მთავარია, მოიყვანეს თითქმის ყველა ცნობა ჭადრაკზე, რომელიც მოიპოვებოდა ძველ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. ამ მასალამ დიდად შემიწყო ხელი ჩემს შემდგომ მუშაობაში“.

## ლელოდან საჯარო ბიბლიოთეკაში

2007 წელს გამომცემლობა „სამშობლოდან“ რედაქციები ძალმომრეობით რომ გამოგვაძევეს, ყველაზე მეტად დავზარაღდით ტრადიციული გამოცემები. „ლელოს“ ათწლეულობის განმავლობაში რუდუნებით შექმნილი უნიკალური სპორტული ბიბლიოთეკა გააჩნდა. ეს იყო საბჭოთა კავშირში და უცხოეთში გამოშვებული სპორტული ჟურნალ – გაზეთები, წიგნები თუ გამოცემები. ადგილიც არსად გვექონდა შესანახად. **პაატა ნაცვლიშვილმა** მირჩია საჯარო ბიბლიოთეკისთვის გადამეცა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ასეც მოვიქეცი და, რაც მნიშვნელოვნად ჩათვალეს, წაიღეს კიდევ. ჩვენ მხოლოდ „ლელოს“ კომპლექტები დავიტოვეთ.

ქუჩაში ვიდრე აღმოვჩნდებოდით, „ლელოში“ მზადდებოდა იმ დროისთვის გამორჩეული ფორმატის და კონცეფციის ახალი რუსული სპორტული გამოცემა „ფორტუნა ნიუსი“. ჩვენი რედაქცია მოსკოველმა კოლეგებმა სწორედ იმის გამო შეარჩიეს, რომ მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონები და დიდი გამოცდილების ავტორიტეტული გაზეთი ვიყავით, რაც ორგანიზატორებმა კარგად იცოდნენ. მთავარი კი ალბათ, მაინც ის იყო, რომ ჩვენთან, მოსკოვთან შედარებით, მინიმალური ხარჯებით შეიძლებოდა პროდუქციის მომზადება დასაბეჭდად, გვერდებს ინტერნეტით ვაგზავნიდით პირდაპირ სტამბაში და ეს გაზეთი, მოსკოვის გარდა, კიდევ რუსეთის სხვა მსხვილ ქალაქში ვრცელდებოდა. რამდენიმე თვეში, როცა უფრო განვითარებისთვის ახალი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის დრო დადგა, გამომცემლებმა ბოდიში მოგვიხადეს და დაგვემშვიდობნენ.

მიზეზი მე გავხდი. რუსეთელი კოლეგები, რომლებიც მიცნობდნენ, გაოცებულან – რედაქტორად ჩემი გვარი რომ უნახავთ დაფიქსირებული. კოლეგები კოლეგებად, მაგრამ კონკურენცია? თურმე რუსეთის კანონმდებლობით იკრძალება ამ ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ხელმძღვანელობდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე. ასე დაესვა წერტილი ამ საქმეს, რომელიც ხანმოკლე იყო, მაგრამ მაინც სასიკეთოდ წაადგა როგორც თბილისელ ჟურნალისტებს, ისე „ლელოს“ რედაქციას.

## სტილისტი

მოგეხსენებათ, სტილისტი რედაქციის დიდად დასაფასებელი შემოქმედებითი მუშაკია. ერთ დღეს რედაქტორის კაბინეტის კარი მორიდებით შემოაღო



შუახნის მამაკაცმა, მდივანი იკითხა. ვუთხარი, რომ დავალებით გავგზავნე სპორტკომიტეტში, მაგრამ ისიც დავსძინე, იქნებ შემედლო რამეში დახმარება.

– მე სტილისტი ვარ, დამიბარა, – მივიღე პასუხად. გავოცდი, კაცი ქართულად ვერ მეტყველებს გამართულად და... თქვენ რაღაც გეშლებათ, – ვეუბნები, მე სტილისტი არ მჭირდება და არც დამივალვია.

ბოდიშით, გადაეცით, თავად მომაკითხოს საპარიკმახეროში.

იმ კაცმა რა იცოდა, რომ სტილისტი რედაქციაში მომუშავე ენის სპეციალისტია, მე კი რას წარმოვიდგენდი, რომ პარიკმახერი სტილისტის სახელით გამომეცხადებოდა რედაქციაში.

### ლელოელი

ახლა, როცა უკვე თვალი გადავაველე ქართული სპორტისა და გაზეთ „ლელოს“ ერთად გამოვლილ ეპოქას, გვინდა მკითხველის ყურადღება იმ ადამიანებზეც შევაჩეროთ, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით, როგორ „ლელოს“, ისე ქართული სპორტის განვითარებაში.

მონინებით მინდა მოვიხსენიო „ლელოს“ შემოქმედი ადამიანები.

### მიხეილ კაკაბაძე

ადრე უკვე ვთქვი, თუ რაოდენ დიდია მიხეილ კაკაბაძის დამსახურება პირველი ქართული სპორტული გაზეთისთვის ეროვნული იმპულსის შემცველი სახელის შერჩევასა და დამკვიდრებაში. „ლელოს“ სახელით გამომავალი ამ გაზეთის პირვე-



1967 წ. ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ კაკაბაძე

ლი რედაქტორი გახლდათ მიხეილ კაკაბაძე და, რაც კარგი და ღირსეული შემორჩა, რაც გაითავისა „ლელო“, ეს უპირველესად ჭეშმარიტად დიდი რედაქტორის მიხეილ კაკაბაძის დამსახურებაა. ალლო ჰქონდა შეუდარებელი და ეს ყველაფერში იგრძნობოდა – კადრების, ძარღვიანი, მფეთქავი რუბრიკების თუ თემების შერჩევა იყო. ის დროს უსწრებდა, იცოდა, რა და როგორ მიეტანა ხალხის გულებად, რაც თითოეულ ადამიანში ეროვნული სიამაყის განცდას გამოიწვევდა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში **გიორგი ნიკოლაძემ** და მისმა თანამედროვე ქართული სპორტის მოამბეებმა დაიწყეს სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწაზე ზრუნვა. **მიხეილ კაკაბაძემ** მიზნად დაისახა ამ ტერმინოლოგიის არა მხოლოდ დახვეწა-სრულყოფა, არამედ სათავე დაუდო გაზეთში ქართული ენის სინამდის დაცვას, რასაც ჯეროვნად უფასებდნენ ენათმეცნიერები. და კიდევ, **1959 წელს მიხეილ კაკაბაძის** თაოსნობით ჩაეყარა საქართველოში საფუძველი სპორტულ ჟურნალისტიკაში საზოგადოებრივ-პროფესიულ-შემოქმედებითი ორგანიზაციის დაფუძნებას, რომელიც დღეს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტიკა ასოციაციის სახელით აგრძელებს თავის საქმიანობას. ის იყო ერთადერთი რედაქტორი, რომელიც მეორედ დააბრუნეს რედაქციაში.

**მიხეილ კაკაბაძე** სამაგალითოდ უფრთხილდებოდა გაზეთისა და თითოეული თანამშრომლის ავტორიტეტს. კრიტიკული წერილების ავტორებს მუდამ უტყვებდნენ. აი, აქ განსაკუთრებით შეუვალი იყო რედაქტორი, ჟურნალისტს არავის დააჩაგვრინებდა. ეს არაერთხელ გამოვცადა საკუთარ თავზე. ერთი ფაქტი განსაკუთრებით დამამახსოვრდა. საგანგაშო სიგნალის შესასწავლად საჩხერეში ჩავედი. ფაქტი დადასტურდა – ერთ-ერთი სკოლის სპორტულ დარბაზში გახსნილი იყო მაღაზია. კრიტიკულ წერილს რაიკომის მდივნის რისხვა მოჰყვა. ცეკვას შეხმიანებია და უთქვამს, რომ პუბლიკაცია ცილისმწამებლურია, მოითხოვდა კომისიის ჩასვლას. რედაქტორი ცეკაში დაიბარეს. მას კომისიაში ჩემი, როგორც წერილის ავტორის ჩართვა მოუთხოვია. ცალკე წავედი. ერთმანეთს შეეხვდით იმ სპორტულ დარბაზში.

– აბა, სად არის მაღაზია, სად! ზვავობდა რაიკომის მდივანი. კომისიას მიმართა: ხომ ყველაფერი გასაგებია, მორჩა, წავედი!

და ამ დროს ამოვიღე პალტოს გულის ჯიბიდან ფოტოსურათი. ნახეთ, ვეუბნები კომისიას, კედელზე ხომ ჩანს ბზარი, მის ფონზე აგერ დგას ორძელი, რომელზედაც ფართალია გადაკიდებული. მეტი რა გინდათ! გაოგნდნენ, ის ფოტო წერილთან ერთად გაზეთში ვერ დაიბეჭდა, რადგან უხარისხო გამოვიდა, თუმცა მტკიცებულებისთვის შესანიშნავი სამსახური გამიწია. ზამთარი იყო და სხვათა შორის, გამგზავრების წინ შინ პალტოს გარეთა ჯიბეები ამოვაკერინე. მოსალოდნელი იყო პროვოკაცია, შეიძლებოდა მექრთამეობა დაებრალებინათ. მასპინძლები იმიტაც გავანბილე, რომ სადილზეც არ დავრჩი, უმაღვე თბილისში მარტო დავბრუნდი.

### ბიჭიკო ქორქია

მწერალ **როდიონ ქორქიას** შვილს ეს სახელი ბავშვობიდან შემორჩა და ყველა, მისდამი გაუწელებელი სიყვარულით სიცოცხლის ბოლომდე მიმართავდა ასე. ოფიციალურად მამის მოსახელე იყო. პუბლიკაციებში გვარის წინ ზოგჯერ როდიონს წერდა, ზოგჯერ – **ბიჭიკოს**.



თამამად ვიტყვი და ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოში საფეხბურთო მიმოხილვებისა და საგაზეთო რეპორტაჟების ფუძემდებლად სწორედ **ბიჭიკო ქორქია** მიიჩნევა. მისი ეს დამსახურება ჯეროვნად შეაფასა და დააფასა ჩვენმა საზოგადოებამ, როცა რეფერენდუმის შედეგებით იგი **XX** საუკუნის ფეხბურთზე მწერალ საუკეთესო ჟურნალისტად დაასახელდა.

ბიჭიკო უაღრესად განათლებული და დიდად ერუდირებული პიროვნება გახლდათ. სწორედ ამიტომ გამორჩეული ინტელიგენციის წრე იყო მისი სამეგობრო. ყველგან, ყოველთვის და ყველასთან სასურველი სტუმარი იუმორითაც გამოირჩეოდა.



*ბიჭიკო ქორქია (მარცხნივ) და ბასა ლოლობერიძე*

ბიჭიკო ქორქიას პროფესიული სიმაღლე დიდხანს მიუწვდომელი რჩებოდა. თაობებმა, ცხადია, თავისებურად, შეითვისეს მისი წერის სტილი და მანერა, დახვეწილი საფეხბურთო ტერმინოლოგია, მაგრამ ღირსეულ მემკვიდრედ, ალბათ, ვერავის მიიჩნევდა. აი, მაშინ კი გულით გაიხარა, როცა „ლელოში“ უბრწყინვალესი კალმოსანი, **ირაკლი ბერიაშვილი** გამოჩნდა. ირაკლი ახლებურად ხედავდა ფეხბურთს არა მხოლოდ როგორც სპორტულ ფენომენს, გამორჩეული იყო მისი აზროვნება, ნიუანსებში წვდომა, ბევრისთვის შეუცნობადის შეცნობა, მსჯელობის ლოგიკა. ახალგაზრდები დააფიქრა, რომ ფეხბურთის თამაშის მსვლელობის რადიორეპორტაჟული აღწერა შორს დგას ჭეშმარიტი ჟურნალისტისაგან. ბიჭიკო ქორქია ბედნიერი იყო იმით, რომ **ირაკლი ბერიაშვილით** დაიწყო ახლებური აზროვნება საერთოდ, სპორტულ ჟურნალისტიკაში და დაიწყო იგი იქიდან, საიდანაც უნდა დაწყებულიყო – „ლელოდან“.

„ლელოში“ ახალ-ახალ ინფორმაციაზე „ნადირობას“ მინდა დავუბრუნდე. მახსენდება, გამომცემლობაში საღამოს როგორ ჩამოვივლიდნენ სხვა გაზეთებიდან და, რაც ყველაზე საინტერესო გვქონდა იწერდნენ (სისტემატურად კი





ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის გამზადებული ცხრილები მიჰქონდათ). ერთხელ **ბიჭიკო ქორქიამ** ასეთი ოინი მოაწყო – ცხრილში განგებ აურია მონაცემები იმ ვარაუდით, რომ მერე, გაზეთის დასაბეჭდად გაგზავნის წინ, კვლავ ჩაასწორებდა. ასეთი შეცდომის გამო ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა იმ გაზეთების მკითხველ ფეხბურთის გულშემატიკვერებში და შიგნით რედაქციებში. „ლელოს“, ცხადია, ვერავინ დაადანაშაულებდა. რალა თქმა უნდა, ამ ხუმრობის შემდეგ, ყველა ფრთხილობდა და მზამზარეულით ხელალებით სარგებლობასაც ერიდებოდნენ...

## ნოდარ გუგუშვილი

**ნოდარ გუგუშვილი!** ქართული სპორტის დაუღალავი მემკვიდრე, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პატრიარქი, ოლიმპიური იდეალების შეუდარებელი მქადაგებელი და დამამკვიდრებელი ჩვენს ქვეყანაში.

სულნათელ **მიხეილ კაკაბაძესთან** ერთად იდგა „ლელოს“ აკვანთან. ბიჭიკო ქორქიამ – ფეხბურთში, ნოდარ გუგუშვილმა – კალათბურთში შექმნა და დაამკვიდრა ქართულ პრესაში მოვლენათა აღწერისა და ანალიზის ორიგინალური, ძარღვიანი სტილი, რომელიც პუბლიცისტიკას გაუთანაბრდა. და განა მარტო კალათბურთში! **ნოდარ გუგუშვილის** ნიჭიერების მაღლითაა დაღდასმული მისი ყველა სტრიქონი. განსაკუთრებული გატაცებით წერდა აგრეთვე ჭიდაობაზე, ველოსპორტზე, სპორტის სხვა სახეობებზე.

თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში თუკი ვინმეა კანონმდებელი სპორტულ ჟურნალისტიკაში, ერთი პირველთაგანი **ნოდარ გუგუშვილი** გახლდათ. მისი წერილები, რეპორტაჟები, წიგნები თუ ცალკეული გამოცემები თაობებს დარჩებათ, როგორც სახელმძღვანელო.

უყვარდა ახალგაზრდები და ახალგაზრდებსაც გამორჩეულად უყვარდათ თავიანთი კერპი. მოძღვრად მიაჩნდათ, ეამაყებოდით მასთან ურ-



ნოდარ გუგუშვილი

თიერთობა. რჩევისთვის ხშირად აკითხავდნენ უკვე ჩამოყალიბებული ჟურნალისტებიც და რედაქტორებიც – ათზე მეტი ყოფილი ლელოელი, ხომ დამოუკიდებელ გამოცემებს ხელმძღვანელობდნენ.

თავადაც პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში **მიხეილ კაკაბაძის** ნახალისებით გადადგა. მაშინ ახალი დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ცხოვრების მეტი ნილი ამ გაზეთში გაატარა. ერთხანს ტელევიზიასა და რადიოში იმუშავა, მერე ჟურნალ „მართველ“ ჩაუდგა სათავეში და არც „ლელოსთან“ გაუწყვეტია ურთიერთობა. ყველაზე მძიმე წლებში ამ გაზეთმა მისი თანადგომითაც შეინარჩუნა არსებობის უფლება.

ცნობილი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე **გიგა ლორთქიფანიძე** 1996 წელს **ნოდარ გუგუშვილის** გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა: „წლებადღე თბილისობას საპატიო მოქალაქის ნოდება მომანიჭეს. ვფიქრობ, ყველაზე უფრო იგი ნოდარის სახელს მოუხდებოდა, რადგან იგი იყო პიროვნება, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი ქალაქი. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კეთილშობილებითა და ნიჭით. ამ უგანათლებულესი კაცისათვის უცხო რამ იყო ყოველგვარი ამბიციურობა. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი პროფესიაც. ზურაბ კაკაბაძესა და არჩილ ბეგიაშვილთან ერთად დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი და საასპირანტოდ იყო „გამზადებული“, რომ კუნა კაკაბაძის თხოვნით გვერდში ამოუდგა მას და თითქმის ხუთი ათეული წელი ერთგულად სწია სპორტული ჟურნალისტის მძიმე ჭაპანი.

ნოდარს სხვა რამეც ჰქონდა საამაყო – თავისი ცხოვრება წაიყვანა ისე, როგორც მას სურდა. ეს კი ბევრს არ ძალუძს“...

ნოდარ გუგუშვილი 1996 წლის 25 ოქტომბერს 69 წლისა გარდაიცვალა...



### გოგი იაშვილი



გოგი იაშვილი

ჩვენი გაზეთისთვის სახელის შერჩევის ამბავზე ადრე ვწერდით. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველმა ისიც იცოდეს, თუ როგორ შეიქმნა ლოგო, რომელიც დღეს ამშვენებს გაზეთს და მის საფირმო ნიშნად იქცა. 1949-1963 წლებში გაზეთს ჩვეულებრივი ქართული შრიფტით მოხაზული ასოებით ჰქონდა წარწერა (იხ. სურათი). მას შემდეგ, რაც მიხეილ კაკაბაძე 1964 წელს მეორედ ჩაუდგა სათავეში „ლელოს“, მრავალნაცადმა რედაქტორმა უმაღლეს დანიყო რეფორმების გატარება გაზეთში და ერთ-ერთი მთავარი

საკითხი იყო გაზეთის ლოგოს განახლება. სიმართლე გითხრათ, თავის დროზე არ დავინტერესებულვარ, ახლა კი მომგონებელი აღარავინ მეგულება, რომ დავადგინო, თუ კონკრეტულად ვისი იდეა იყო გაზეთის დასახელების ასეთი დინამიური გრაფიკით შეცვლა. შემსრულებელი კი ნამდვილად ვიცი – **გოგი იაშვილი**, რომელიც მხატვრად მუშაობდა რედაქციაში. არ გამოვირიცხავ, რომ იდეაც მასვე, ან სულაც **მიხეილ კაკაბაძეს** ეკუთვნოდა. დღესაც გაოცებას იწვევს მხატვრის ეს მიგნება, შეიძლება ითქვას, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი. მერე ეგ იყო, გოგი იაშვილის შემოქმედების თავყანისმცემელმა, თავად უნიჭიერესმა ხელოვანმა, მხატვარმა **ვახტანგ რურუამ**, 1984 წელს ახალდანიშნული რედაქტორის, **არჩილ გოგელიას** თხოვნით, სულ ოდნავი კორექტივით – ერთ-მანეთს მიაბა გაზეთის სახელის პირველი და მეორე ასოები „ლ“ და „ე“ და მივიღეთ ისეთი ლოგო, როგორიც დღეს გვაქვს.



**ბრწყინვალე პროცენტა და ხელოვანი გოგი იაშვილი რედაქციაში**

მხატვრად 1953 წლიდან მუშაობდა. იგი ყურადღებას იქცევდა მაღალი ინტელექტით, ჰქონდა დახვეწილი გემოვნება და ადამიანებთან ურთიერთობის მისაბაძი უნარიოც გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ახალბედა, დამწყებ ჟურნალისტებს გვანებიერებდა ყურადღებით, სილალის, თავისუფლების სტიმულს იძლეოდა, თუ საჭირო გახდებოდა ფარადაც გადაფარებოდა ხოლმე ნებისმიერ ჩვენგანს. დასაბეჭდად მომზადებულ ყველა ნერილს დედანშივე კითხულობდა, თუ დაინახავდა, რომ პუბლიკაციის შინაარსის გაღრმავება-გამრავალფეროვნებაში ჟურნალისტის კალამს მისი ყალამიც წაეშველებოდა, მზად იყო თავისი ნიჭით დალდასმული გრაფიკა შეეთავაზებინა რედაქტორისთვის. დროს ენერგიას არ ზოგავდა, თუ ამას გაზეთის ინტერესები მოითხოვდა. მუდამ მაღალი ოსტატობით ასრულებდა სარედაქციო დაკვეთებს. „ლელოს“ სიცოცხლეს, სილამაზეს და დინამიურობას მატებდა მისი, როგორც დახვეწილი გრაფიკოსისა და დიზაინერის გემოვნება. რუბრიკები ხომ გაზეთის უზადო მშვენიება იყო და მკითხველი თვალს შეავლებდა თუ არა, უკვე ხვდებოდა, რომ მის ხელთ არსებულ ნომერში ამ რუბრიკით საინტერესო მასალას გაცნობოდა. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი, ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო. იქნებ ამიტომაც, ჯანმრთელობა შეერყა, გული დაუსწეულდა, წნევა უჩიოდა. სხეულის მარჯვენა მხარე მთლიანად წაართვა დამბლამ. როგორია, მხატვრისთვის მარჯვენის დაუმორჩილებლობა. ჭეშ-



მარიტად „ძლიერი სულის ხელოვანი“ ბედს არ შეეპუა. მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა უმოქმედობა და არც დანებდა. თავს იმდენი ძალა დაატანა, რომ ხატვა მარცხენა ხელით განაგრძო.

**გოგი იაშვილი** მოულოდნელად გარდაიცვალა 1979 წლის 31 იანვარს. მის შემდეგ „ლელოს“ შტატიანი მხატვარი და დიზაინერი აღარ ჰყოლია.

### ცისანა

თავისი უჩინარი მსახური ყველა სფეროს ჰყავს, რომელთა მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდება და სრულყოფილებისკენ ისწრაფვის ესა თუ ის

მისი მაღლიანი ხელიდანაა გამოსული. ქედის მოხრით წარმოვთქვამ მის სახელს – ეს გახლავთ, ქალბატონი **ცისანა ნიკოლაიშვილი**.

ამ დიდებული ქალბატონისა და უზადლო სპეციალისტის მოღვაწეობას უკავშირდება „ლელოში“ სალიტერატურო ენის ნორმების მკაცრი დაცვით ამ გაზეთის სტილის დახვეწა და ყველასთვის გასაგები ენით წერის მანერის დამკვიდრება. ათეული წლების განმავლობაში ახალგაზრდა ჟურნალისტთა თაობები ეზიარა მისი სტილის გემოვნებას. და იმაშიც, რომ „ლელოში“ მუდამ სუფევდა თანამშრომელთა შორის ერთმანეთის სიყვარულით გაჯერებული თბილი დამოკიდებულება, რაც სამაგალითოდ სხვებზეც გადამდებდა მოქმედებდა, ამ „დიასახლისის“ დამსახურებაც იყო. ქალბატონი ცისანა იმდენად სახელიანი სტილისტია, რომ იმდროიდან მოყოლებული კართან დღესაც რიგი უდგას. ათეული წლების განმავლობაში სპორტული ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც კი ქართულ ენაზე გამოცემულა, მის ხელსა და გონებაში გამოვლითაა ხარისხსამაღლებული.



*ცისანა ნიკოლაიშვილი*

თავის დროზე ეს ქალბატონი **მიხეილ კაკაბაძის** თხოვნით გახდა „ლელოს“ სტილისტი. კადრების შერჩევაში ჩვენ დიდ რედაქტორს და მასწავლებელს, გუმანი არასდროს ღალატობდა. ქართული ენის სინონიმის „ლელოს“ ფურცლებზე დაცვის-

დარგი. „უჩინარს“ ვამბობ, თორემ, ქვემოთ ვიზედაც მოგახსენებთ, სპორტულ ჟურნალისტიკის დიასახლისად მიგვანჩნია და ის „გემრიელი კერძები“, რომლებიც სპორტის მოყვარულ აურაცხელ მკითხველს, ასე გემოვნებიანად ანაყრებდა და ასეა დღესაც,





თვის არაერთხელ გამოუთქვავთ გულწრფელი მადლობა ჩვენს ენათმეცნიერებს და ეს იყო უპირველესად ამ ორი ბრწყინვალე ადამიანის – **ცისანა ნიკოლაიშვილისა და მიხეილ კაკაბაძის** დამსახურება.

### არჩილ გოგელია

1984 წელს „ლელოს“ რედაქტორად **არჩილ გოგელია** დაინიშნა, მოადგილის თანამდებობაზე მან მე გამომიცხადა ნდობა. ჩვენ სტუდენტობიდან ვმეგობრობდით და ჩინებულად გვესმოდა ერთმანეთის. არჩილს მთელი საქართველო იცნობდა, როგორც უნიჭიერეს ჟურნალისტს. ყველა შეუწელებლი ინტერესით ეცნობოდა მის პუბლიკაციებს ცნობილ სპორტსმენებზე, სპორტის გამოჩენილ სპეციალისტებზე თუ სპორტის აქტუალურ საკითხებზე. მანამდე მკითხველს არ წაეკითხა საქმის ასეთი სიღრმისეული წვდომით გაანაღებული თემები, ასე ახლოს და შთამბეჭდავად არ გაცნობია ქართული სპორტის დიდების მომტანი ცალკეული ადამიანების პორტრეტებს. **არჩილი**, როგორც რედაქტორი, იყო ნიჭის გამბედავი მფარველი და დამფასებელი. იმ პერიოდის „ლელო“ ეს იყო **მიხეილ კაკაბაძის** „ლელო“ აყვანილი ახალ ხარისხში და ახალ სიმაღლეზე კაკაბაძისავე შეგირდ-მემკვიდრის მიერ.

ნიჭის მფარველ-დამფასებელიო, შემთხვევით არ მითქვამს. ვინც მისი რედაქტორობით გამოცემულ „ლელოს“ ნომრებს გაეცნობა დარწმუნდება, რომ ასეა ეს ნამდვილად. მან ჩაუყარა საფუძველი ჟურნალისტური მასალის ლიტერატურულ ნააზრევად ქცევის ტრადიციას და აიყვანა იგი პუბლიცისტიკის რანგში.

არასდროს დამავინწყდება, ერთხელ, სტამბის ერთმა მუშამ (მისი გვარი, სამწუხაროდ, ვეღარ გავიხსენე), იქვე, სტამბაში, საკორექტორო

ანაბეჭდში არჩილის წერილის წაკითხვით აღფრთოვანებულმა ექსპრომტად და მოსწრებულად როგორ წაუ-



არჩილ გოგელია

ლექსა: „ჩვენო არჩილ გოგელია, შენი ბოლო ნობელია“. არჩილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ლელოში“ ჟურნალისტობა იმიტომ დაიწყო, პოლიტიკაზე წერა არ უნდოდა. ვერ გეტყვით, ამით რა წააგო პოლიტიკამ, მაგრამ, დამერწმუნეთ, სპორტული ჟურნალისტის ნამდვილად დარჩა მოგებული.

არჩილთან მუშაობა იოლიც იყო და ძნელიც. მისი მეგობრული და უადრესად ადამიანური დამოკიდებულება თანამშრომლებისადმი უწინარესად შემოქმედებით სრულყოფაზე იყო ორიენტირებული. სტიმულს იძლეოდა, რომ მეტი მოეთხოვა თითოეულს საკუთარი თავისგან და სრულად გამოეცლინა შესაძლებლობები. მან, როგორც რედაქტორმა, ზედმინევენით კარგად იცოდა, რას ითხოვდა, მაგრამ კარგად იცოდა ისიც, ამას ვისგან ითხოვდა. ითვალისწინებდა თითოეულის უნარს, რათა ჟურნალისტი არც უხერხულობაში ჩაეგდო, მაგრამ მისგან მაქსიმალურად მიეღო, რაც გაზეთს სჭირდებოდა. ყოველი ასეთი შემთხვევა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო გაზეთის თანმიმდევრული განვითარებისა და მისი ავტორიტეტის ამაღლების გზაზე. შეიძლება ეს ცალკე აღებულ გაზეთის ნომერში ისე არ ჩანდა (თუმცა არც უამისობა იყო), როგორც საერთო შთაბეჭდილებაში. „ლელო“ ლელოობდა, აი რა იყო მთავარი.

თითქოს აქ მინდოდა ამ მოგონებასთან დამესვა წერტილი, მაგრამ უნებლიედ აი, რა გამახსენდა: **ელგუჯა ამაშუკელს** და **მერაბ ბერძენიშვილს** მათი ნამუშევრებისთვის საქართველოს ისტორიის მემატთანე უწოდა არქიტექტორმა **ვასტანგ დავითაიამ**. იგივეს თქმა თამამად და ხმამაღლა შეიძლება **არჩილ გოგელიას** უნიკალურ შემოქმედებით წვლილზე, რაც მან შეიტანა საქართველოს სპორტისა და სპორტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.



## „ლელოს“ შემოქმედებითი და ტექნიკური მუშაკები

მთავარი ის არ არის, თუ ვინ ვართ, მთავარია, ჩვენ ყველანი ერთად ლელოელები ვიყავით, ვართ და ვიქნებით!

### (გვარები დალაგებულია ანბანის მიხედვით)

ალშიბაია ბიბი  
 აროსია ილია  
 ასტვაცასატუროვი ლეო  
 აფაქიძე ნინო  
 ახალაძე გია  
 ბაბუნაშვილი ილია  
 ბაიდაური გოჩა  
 ბალახაძე ვასილ  
 ბარბაქაძე ციური  
 ბარბაქაძე გიორგი  
 ბარნოვი ამირან  
 ბაციკაძე ტატო

ბერიაშვილი ირაკლი  
 ბერიშვილი ელგუჯა  
 ბერიტაშვილი ოთარ  
 ბერძენიშვილი ავთანდილ  
 ბესელია ხათუნა  
 ბერიძე მარო  
 ბიბილაშვილი ლევან  
 ბიბილაშვილი შალვა  
 ბობოხიძე ხათუნა  
 ბოჭორიშვილი პეპი  
 ბუაჩიძე შალვა  
 ბურდული გია

გაბელია ვლადიმერ  
 გაბელია ნიკოლოზ  
 გაბრიჭიძე რაჟდენ  
 გაგნიძე მარი  
 გაგუა ოთარ  
 განუგრავა ალექსანდრე  
 გაჩეჩილაძე ბაქარ  
 გაჩეჩილაძე მედეია  
 გეგეჭკორი დავით  
 გელაშვილი ოთარ  
 გელაშვილი შაატა  
 გელაშვილი კობა  
 გვანჯი მანია  
 გიორგაძე თენგიზ  
 გიორგაძე რუსუდან  
 გოგელია არჩილ  
 გოგოლაშვილი არჩილ  
 გოგოლაშვილი ირინე  
 გოქსაძე ნანა  
 გუგუშვილი ნოდარ  
 გულისაშვილი დიმიტრი  
 გულისაშვილი ფიქრია  
 გურასაშვილი ავთანდილ  
 დანელია ვაჟა  
 დაუშვილი მანანა  
 დოლენჯაშვილი გურამ  
 ელბაქიძე ნინო  
 ენუქიძე ჯიმშერ  
 ერისთავი თამარ  
 ვადაჭკორია შოთა  
 ვაშაკიძე ვასილ  
 ზარგარიანი მიხეილ  
 ზენკო ალა  
 თავაძე ირაკლი  
 თავაძე გურამ  
 თალაკვაძე ზურაბ  
 თავართქილაძე დავით  
 თევდორაშვილი ილია  
 თვალაბეიშვილი გია

თოდაძე შაატა  
 თორდია-ძიმისტარიშვილი  
 ციალა  
 იაშვილი გოგი  
 იმერელიშვილი იური  
 იოსელიანი ოთარ  
 ინასარიძე კობა  
 იუნაევი იოსებ  
 კაკაბაძე მიხეილ  
 კაკაბაძე გიგა  
 კაკაბაძე გიორგი  
 კაკაბაძე დავით  
 კალანდაძე მერაბ  
 კარტოზია მანანა  
 კასრაძე ჯემალ  
 კაციტაძე იუზა  
 კახაძე ზაზა  
 კოსტანიანი აშოტ  
 კოტორაშვილი ალექსანდრე  
 კოსრეიძე დავით  
 კრიხელი თამარ  
 ლაშხი თამაზ  
 ლომიძე გოგა  
 მაზიაშვილი მანანა  
 მაისურაძე გივი  
 მაკარიძე გოგი  
 მალიძე ნათელა  
 მამაცაშვილი გიორგი  
 მარტიროსოვი დავით  
 მამულაშვილი მერაბ  
 მახათაძე ერემია  
 მელუხა დავით  
 მელიქიძე ია  
 მელქოევი ვლადიმერ  
 მიგრიაული თამაზ  
 მორგოშია თემურ  
 მურვანიძე ოთარ  
 მხეიძე არჩილ  
 მღებრიშვილი ვანო



ნანობაშვილი ილია  
 ნეფარიძე ნიკოლოზ  
 ნიკოლაიშვილი ცისანა  
 ნიკოლაიშვილი ილია  
 ნიორაძე მანანა  
 ნოზაძე ოთარ  
 ოსკანოვი გოგი  
 ოქრუაშვილი უშანგი  
 პაპოშვილი ალექსი  
 პაჭკორია თენგიზ  
 ჟვანია ნუგზარ  
 სამსიანი მზია  
 სამსონაძე გივი  
 სარალიძე ლიანა  
 სასანია ვენერა  
 სახენიძე პავლე  
 სეხნიაშვილი ზვიად  
 სიდამონიძე ირინა  
 სიმონიშვილი ვაჟა  
 სიმონიშვილი ნინო  
 ტაბატაძე ზურაბ  
 ტორაძე დემურ  
 ტუხაშვილი გია  
 უზნაძე ეთერ  
 ფაჩუაშვილი ლერი  
 ფიფია კოკი  
 ფოცხვერია ზურაბ  
 ქავთარაძე ქეთევან  
 ქავთარაძე გიორგი  
 ქავჭავაძე ლევან  
 ქანთარია მამუკა  
 ქაჯაია ჟანა  
 ქემაშვილი ლეილა  
 ქირია შალვა  
 ქორქია ბიჭიკო  
 ქორქია გიორგი  
 ქურდოვანიძე ქეთინო  
 ყულუმბეგაშვილი თამარ  
 ყურაშვილი რამინ

შათირიშვილი ზვიად  
 შალვაშვილი ლალი  
 შალუტაშვილი დავით  
 შატაძე ნუგზარ  
 შატბერაშვილი თინა  
 ჩახვაშვილი ინგა  
 ჩეკურიშვილი გივი  
 ჩიმაკაძე ხათუნა  
 ჩიტიშვილი ცისანა  
 ჩიხლაძე მამუკა  
 ჩობანიძე თენგიზ  
 ჩოჩიშვილი გიორგი  
 ჩუბინიძე დავით  
 ჩხაიძე ომარ  
 ცაბაძე დავით  
 ცხაკაია რევაზ  
 ცხენოსანიძე თამარ  
 ცხვირაშვილი გულიკო  
 ცინცაძე გიორგი  
 ძეძამიძე მარადი  
 ნიკლაური ლაშა  
 ნყარუაშვილი უშანგი  
 ჭეიშვილი თამაზ  
 ჭელიძე დავით  
 ჭიპაშვილი ჯემალ  
 ჭიჭინაძე უშანგი  
 ხანდამიშვილი ვანდი  
 ხარაბაძე თამაზ  
 ხატისაშვილი კობა  
 ხარებავა ნუცა  
 ხაჩიძე ანიკო  
 ხეთაგაშვილი სოფიო  
 ხერგიანი ციცო  
 ხეჩოშვილი ლელა  
 ხითარიძე ნესტან  
 ხომასურიძე ლელა  
 ხომერიკი ეთერ  
 ხოშტარია ილია  
 ხუჭუა ავთანდილ





ჯავახიშვილი ლევან  
 ჯალალანია ვეფხვია  
 ჯანგავაძე ბესიკ  
 ჯანეზაშვილი ლევან  
 ჯავერდაშვილი თამუნა  
 ჯაში მიხეილ  
 ჯაფარიძე ზურაბ  
 ჯოხარიძე ნანა  
 სალამი მომავალ  
 ლელოელებს!

**„ლელოსთან“ აქტიურად  
 თანამშრომლობდნენ**

ბარჯაძე გაბრიელ  
 ბუკინი ვიქტორ  
 გამრეკელი გივი  
 დანელია ვაჟა  
 მანია გვანჯი  
 მდივანი ვლადიმერ  
 კაკაბაძე დავით  
 კაკაბაძე გიგა  
 კაკაბაძე გივი  
 კალანდაძე მერაბ  
 კამენსკი ბორის  
 მდივანი ვლადიმერ  
 რონდელი ალექსანდრე  
 ფლავანდიშვილი ლევან  
 ფერაძე რუბენ  
 ქევხიშვილი მარიამ  
 ქობულაშვილი ვაჟა  
 ჯაფარიძე თედო  
 ხარატიშვილი სალომე  
 ხეცურიანი ლამარა  
 ხორავა ზურაბ

**მეცნიერები**

აფრიდონიძე ვალერიან  
 ბუაძე შოთა

გოგიაშვილი ომარი  
 დვალი გივი  
 დიკვაძე აკაკი  
 ელაშვილი ვასილ  
 ზალდასტანიშვილი ჯუანშერ  
 კახაბრიშვილი ზურაბ  
 კახიძე გიული  
 მამარდაშვილი შოთა  
 ნორაკიძე ვლადიმერ  
 ოყროშიძე ნოდარ  
 რატია ალექსანდრე  
 რატიშვილი გურამ  
 როგავა მედეა  
 სამსონაძე ვლადიმერ  
 სვანიშვილი რომანოზ  
 სიღამონიძე ვ.  
 ცაგარელი ლ.  
 ცაიშვილი სარგის  
 ციბაძე ავთანდილ  
 ჩანტლაძე იზა  
 ჩაჩანაშვილი მ  
 ჩახნაშვილი შალვა  
 ჩიტაშვილი დურმიშხან  
 ძაგანია ჯემალ  
 წვერავა დიმიტრი  
 ჯავახაძე ზურაბ  
 ჯორჯაძე ალექსანდრე

**სპორტის მუშაკები**

კვინიხიძე ბორის  
 კვინიკაძე დავით  
 კიზირია ისაკ  
 კიკნაველიძე ტიტე  
 იმერლიშვილი იური  
 როგავა ვალერიან  
 სხირტლაძე თედო  
 ფლავანდიშვილი ლევან  
 ფარულავა ალექსანდრე



## რედაქტორები

მისიელ კაკაბაძე – 1949 (10.VIII) – 1952 (27.II)  
 ერემო მახათაძე – 1952 (02.III) – 1953 (21.II)  
 ირაკლი უგულავა – 1953 (25.II) – 1964 (16.V)  
 მისიელ კაკაბაძე – 1964 (16.V) – 1976 (04.VII)  
 ანზორ ბასილაია – 1976 (03.XI) – 1983 (31.XII)  
 არჩილ გოგელია – 1984 (14.I) – 1985 (25.VI)  
 თენგიზ გაჩეჩილაძე – 1985 (26.VI)-დან

*1949 წლამდე გაზეთ ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია.*

## ურთიერთობა ლელოსთან გვარების საძიებელი

### ა

აინურაძე რევაზი: 28, 32  
 აველანუი შოაო: 71  
 აზმაიფარაშვილი ზურაბი: 75  
 აკოფოვი გარუნ: 14  
 ალექსანდრია ნანა: 58  
 ამაშუკელი ელგუჯა: 86  
 ასათიანი კახი: 49, 50  
 ასანიძე გიორგი: 53  
 ახალკაცი ნოდარ: 44, 52

### ბ

ბაბუნაშვილი ილია: 44  
 ბარათაშვილი ბიძინა: 60  
 ბარამიძე გიგლა: 28  
 ბერიაშვილი ირაკლი: 80  
 ბერიშვილი ელგუჯა: 15  
 ბერძენიშვილი მერაბი: 86  
 ბოჭორიშვილი პეპი: 39, 41, 44, 52, 72  
 ბოჭორიძე ივანე: 28  
 ბუკინი ვიქტორ: 22

### გ

გაჩეჩილაძე თენგიზი: 67  
 გეგეშიძე გიორგი: 27  
 გელაშვილი ოთარ: 22  
 გელოვანი დიტო: 75  
 გიგაური გიორგი: 59



გიორგაძე თენგიზ:	7, 21, 30, 59, 75, 76
გიორგობიანი ნოდარ (აშხენ):	59
გოგელია არჩილ:	59, 68, 83, 85, 86
გოგლიძე რამაზ:	20, 21
გონჯილაშვილი ზაზა:	69
გორბაჩოვი მიხეილ:	42
გორგოძე გიორგი:	15
გუგუშვილი ნოდარ:	12, 20, 30, 39, 81
გურასაშვილი ავთანდილ:	34, 39

**დ**

დავითაია ვახტანგ:	86
-------------------	----

**ე**

ენდელაძე ნუგზარ:	28, 32, 36, 49
ენუქიძე გურამ:	33
თევზაძე თამაზ:	48

**ი**

იაშვილი გოგი:	82, 83
---------------	--------

**ზ**

ზარგარიანი მიხეილ:	21
ზენაიშვილი ემზარ:	46, 47, 58, 60

**კ**

კაკაბაძე გივი:	22
კაკაბაძე მიხეილ:	6, 7, 15, 20, 25, 30, 31, 71, 72, 78, 79, 81, 82, 84, 85
კარარი ფრანსუა:	45
კარტოზია გურამ:	77
კასრაძე ქართლოს:	31
კასრაძე ჯემალ:	39
კახაძე ზაზა:	39
კახიძე თამილა:	59
კეცხოველი ნიკო:	28
კვარაცხელია ჯუანშერ:	28, 42
კვინიკაძე დავით:	43, 44
კვინიხიძე ბორის:	9
კობერიძე ნოდარ:	44
კოტორაშვილი ალექსანდრე:	39, 51

**ლ**

ლომიძე ზურაბ:	28
ლომინაძე რამაზ:	28
ლორთქიფანიძე გიგა:	82

**მ**

მახარაძე ვახტანგ:	28
მახარაძე ფილიპე:	18



მაისურაძე გიორგი:	39
მდივანი ვლადიმერ:	22
მესხი ნარგიზა:	62
მემარიაშვილი ირაკლი:	54, 56, 61
მიგრიაული თამაზ:	39
მილჩენკო ანატოლი:	70
მიმინოშვილი მეკლუდ:	70
მიქაძე დემურ:	29
მიქელაძე ვახტანგ:	45
მჭავანაძე ვასილ:	49

**ნ**

ნაცვლიშვილი პაატა:	38, 46, 60, 77
ნაჭყებია კაპიტონ:	65, 66
ნიკოლაიშვილი ცისანა:	84, 85
ნიკოლაძე გიორგი:	78

**ო**

ომანიძე მურმან:	68
-----------------	----

**პ**

პატიაშვილი ჯუმბერ:	25, 37, 42
პერტენავა დავით:	20
პაიჭაძე ავთანდილ:	28
პოპოვა როზა:	28

**ჟ**

ჟლენტი ალექსანდრე:	42
ჟლენტი თემურ:	28

**რ**

რურუა ნიკა:	53
რურუა ვახტანგ:	83

**ს**

სამარანჩი ხუან ანტონიო:	45
სამყურაშვილი ირაკლი:	62
სანებლიძე არმაზ:	37
სვინტრაძე კობა:	62, 63, 64
სიამაშვილი ომარ:	28
სიმონიშვილი ნინო:	39
სიხარულიძე გიორგი:	9, 11, 12, 18
სმირნოვი ვიტალი:	39, 42
სულაკაური ვალერიან:	59
სულხანიშვილი თენგიზ:	18
სხირტლაძე თედო:	9

**ტ**

ტყეშელაშვილი მელორ:	28
---------------------	----





**უ**

უგულავა ირაკლი:	30
ურუშაძე რევაზ:	59

**ფ**

ფარულავა ალექსანდრე:	9
ფოფხაძე ნუგზარ:	27, 28

**ძ**

ქინქლაძე ოთარ:	28
ქლიბაძე დავით:	59
ქორქია ბიჭიკო:	30, 80

**ლ**

ლუდუშაური მერაბ:	29
ლულუნიშვილი ზეზვა:	45

**შ**

შატაიძე ნუგზარ:	61
შევარდნაძე ედუარდ:	25
შუბლაძე ვაჟა:	28, 53, 58

**ჩ**

ჩანტლაძე ლერი:	59
არკვიანი კანდიდ:	8
ჩიკვაძე ბონდო:	39
ჩოლარია ვალერი:	48
ჩოჩიშვილი გიორგი:	39

**ც**

ცაიშვილი სარგის:	77
------------------	----

**ძ**

ძონენიძე ნოდარ:	74
-----------------	----

**ჭ**

ჭელიძე ალექსანდრე:	9
ჭელიძე გივი:	59
ჭელიძე დავით:	39
ჭიპაშვილი ჯემალ:	52

**ხ**

ხარატიშვილი სალომე:	25,72
ხომერიკი თამაზ:	59
ხურციძე ბეჟან:	52
ხუხაშვილი ჯამლეტ:	60

**ჯ**

ჯაფარიძე ზურაბ:	14, 16, 22, 53, 54
ჯაფარიძე თედო:	53



## სარჩევი

წინათქმა	3	ათენის ოლიმპიადა	56
„საქართველოს ფიზკულტურელიდან“		პეკინი ომის ფონზე	57
– „ლელომდე“	3	ურთიერთობა კოლეგებთან	59
ოლიმპიური ათვლა	7	ორი გაზეთის გაერთიანება	60
„ლელოს“ პირველი აკრედიტაცია		გამონათება	61
ოლიმპიადაზე	12	ხიზნად	62
ტოკიოსა და მეხიკოში	14	მედიაპალიტრაში	63
„ლელო“ და სიხარულიძის		იპოდრომი, რაგბი და გაზეთი ლელო	65
შემდგომი ეპოქა	18	გადაიხადე	67
კრიტიკა მხოლოდ		XX საუკუნის გაზეთი	68
საქმის სასიკეთოდ	22	მეცნიერება და „ლელო“	68
აურზაური სპორტსმენთა		პარდუბიცე	68
ასაკის გამო	23	ნუ კაკ „ლელო“!	69
საქართველო უპირველეს ყოვლისა!	25	„ლელო“ სუვენირი	70
„ლელო“ და საზოგადოება	30	პირველი რეფერენდუმი	70
ის, რაც საზოგადოებამ ვერ იხილა	32	კაკაბაძის სტუდია	71
ტირაჟი და შემოსავალი	33	ფიფა და ლელო	71
„ლელო“ და საიუბილეო მოვლენები	34	ლელო“ სახელმძღვანელო	72
ორი ბოიკოტი	35	„კუნას თასი“	72
ბაკურიანი და 1989 წლის აპრილი	36	დამსახურება	73
სეოკი	37	ჯილდოები	74
ასე იწყებოდა ფეხბურთის		„ლელო“ ბიბლიოთეკა	74
დამოუკიდებლობა	42	ეს ზურაბ აზმაიფარაშვილი იყო	75
შევიცარია, შეხვედრა სამარანჩთან	44	საქართველოს სპორტული თამაშები	76
ლილეჰამერი, პირველად		ნებადართული პროვოკაცია	76
დამოუკიდებლად	47	ლელოდან საჯარო ბიბლიოთეკაში	77
„ლელოს“ და ქართული სპორტის		სტილისტი	78
პრობლემები 1990-იან წლებში	48	ლელოელები	78
კახი ასათიანი	49	მიხეილ კაკაბაძე	78
ატლანტა	50	ბიჭიკო ქორქია	80
სტერეოტიპების მსხვერვა	51	ნოდარ გუგუშვილი	81
ხეივანი „ლელოს“ თაოსნობით	52	გოგი იაშვილი	82
შეტევა ახალკაცზე	52	ცისანა	84
„ლელო“ და პარლამენტი	52	არჩილ გოგელია	85
სიდნეი ატლანტის გადასახედიდან	53	„ლელოს“ შემოქმედებითი და	
ირაკლი მექმარიაშვილი	54	ტექნიკური მუშაკები	86

რედაქტორი: ვაჟა დანელია

მხატვარი: ვაჟა სიმონიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანდრო მაისურაძე





კდრები ქართული  
კინოფილმებიდან







თენგიზ თომას ძე გაჩეჩილაძე (28.IV.1939), ჟურნალისტი, პედაგოგი. დაამთავრა: საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი (1962), თსუ (ფილოლოგიის ფაკულტეტი, ჟურნალისტიკა, 1968), საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძისა და მიხეილ კაკაბაძის პრემიების ლაურეატი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს განათლების წარჩინებული მუშაკი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, სეოკ-ის მედლით.

შეყვანილია მსოფლიოს ჟურნალისტიკაში, რომლებიც 10-ჯერ და მეტ-ჯერ აშუქებდნენ ოლიმპიურ თამაშებს, რისთვისაც 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე სპეციალური ჯილდო გადაეცა. აგრეთვე აკრედიტებული იყო მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, საერთაშორისო შეჯიბრებებზე, კეთილი ნების თამაშებზე, მონაწილეობდა სპორტულ კონგრესებსა და სიმპოზიუმებში.

პრესაში თანამშრომლობს 1956 წლიდან, „ლელოში“ – 1958-დან.

ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორის მოადგილე (1974-1980), რედაქტორი (1980-1984). „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე (1984), მთავარი რედაქტორი (1985-დან დღემდე). პარალელურად (1975-2008) ლექციებს (სპორტული ჟურნალისტიკა, სპორტის და ოლიმპიზმის ისტორია, სპორტის მენეჯმენტი) კითხულობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში სპორტის აკადემიის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტიკა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი (1977-1985), პრეზიდენტი (1985-1991). საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფუძნების საინიციატივო ჯგუფისა და საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი (1989). სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი (1989-1996).

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის მთავარი სპეციალისტი (1992-დან). მუშაობდა „სპორტის შესახებ“ კანონპროექტის მომზადებაზე. საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი – ბავშთა სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (2008-2012).

ქართული სპორტის ისტორიაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიურ მისიის ხელმძღვანელი ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (1994).

თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გაიხსნა (2003) თენგიზ გაჩეჩილაძის მასტერკლასი სპორტულ ჟურნალისტიკაში.

ყოველდღიური სპორტული გაზეთის „ფორტუნა ნიუსის“ (მზადდებოდა თბილისში, იბეჭდებოდა მოსკოვში) პირველი მთავარი რედაქტორი (2003). ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ პრეზიდენტი (2005-2012).

ათამდე წიგნის ავტორი და მრავალ გამოცემათა რედაქტორი.